# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 27 იანვარი 2001 №12 (1285) | ფასი 50 თეთრი


**3**

## წერეთელი შახტარს არ ამტყუნებს

ვაი-მენეჯერებმა იმდენი ქნეს, პროკოპენკოს ქართველ მცველზე ხელი აალებინეს

**6**

## იყო არაბეთს დიეგო?



მარადონამ არაბები გადააგდო

**14**

## შვედური სოციალიზმი



ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო: მეც, შენც, მასაც

**15**

## ექვსი ერი ხუთმა დაიწყო



ინგლისს სურდო შეეყარა

# საქართველო 19 საფრანგეთი 14

## ფრანგებისა ფრანგით დამთრგუნველი

გუშინ არგენტინაში, ბუენოს აირესიდან სამხრეთით, მარ დელ პლატას „ხოსე მარია მინელას" 35-ათასიან სტადიონზე, ფრანგი მწვრთნელის, კლოდ სორელის მიერ დამოძღვრილმა ქართველმა მორაგბეებმა შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს თასის B ჯგუფის პირველ მატჩში საფრანგეთის ნაკრები 19:14 დაამარცხეს.

„მამლების" ყოყლოჩინობა სარაგბო სამყაროში ყველასთვის ცნობილია, ამიტომაც, ჩვენებურთა ეს გამარჯვება ორმაგად ფასობს. კლოდ სორელმა თვისტომთა გასაბითურებლად მინდორზე ეს ქართველები შეუშვა: გია ლაბაძე (კაპიტანი), თედო ზიბზიბაძე, პალიკო ჯიმშელაძე, ბადრი ხეხელაშვილი, ვასილ კაცაძე, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ვასილ აბაშიძე, არჩილ ქავთარაშვილი, გიო ბუგიანიშვილი.

ჩვენებურები მეორე მატჩს ტაივანთან წუხელ გამართავდნენ და, ვინძლო, ფრანგთა მძლეველთ აზიელთა დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდათ.



კლოდ სორელი: კარგად დავიწყეთ!

# დღეს ქალი, ხვალ კაცი



### ანდრე აგასი

ზედიზედ მეორედ?

### არნო კლემანი

პირველად დიდი სლემის ფინალში



მელბურნში ავსტრალიის ღია პირველობაზე გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა: 128-128 პრეტენდენტიდან სეზონის პირველ დიდ სლემის ტურნირს ორ-ორი ფინალისტიღა შემორჩა.

დღეს ქალების ფინალში ერთმანეთს მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი და საჩოგბურთო ელიტას დაბრუნებული ექს-კრიმინალი ჯენიფერ კაპრიატი შეხვდებიან (თუმცა იმ წუთებში, როდესაც თქვენ ამ სტრიქონებს კითხულობთ, მწვანე კონტინენტზე მატჩი დასრულებულიც იქნება). კაცების ფინალში კი ხვალ შარშანდელი ჩემპიონი ანდრე აგასი თავის ტიტულს ცეროდენა ფრანგის, არნო კლემანის ხელყოფისგან დაიცავს. ამ უკანასკნელმა გუშინ მარათონულ შეხვედრაში თავის ახლო მეგობარსა და მეწყვილე სებასტიან გროჟანს აჯობა.



### მარტინა ჰინგისი

1997-98-99—2001?



### ჯენიფერ კაპრიატი

შესთომილი ასულის დაბრუნება

იხილეთ მეცხრე გვერდი

გიო ახვლედიანის

სვეტი

# კალაძის გადასვლა

ეს საქმეც გამოვიდა, პირველი ქართველი ფეხბურთელი გადავიდა იტალიის სერიაში. თანაც, კახა კალაძის ახალი კლუბი მსოფლიო სახელისა და ტიტულების მპყრობელი „მილანი" შეიქნა. ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის ათი წლის თავზე ეს მეორე ქართველია, ევროპის ჩემპიონთა თასის არაერთგზის მფლობელ გუნდში რომ მოხვდა (პირველი შოთა არველაძე იყო „აიაქსში").

ახლა ეს ამბავი დიდად სახმაურო არ უნდა იყოს, სახმაურო ორიოდე პატარა საიდუმლო გამოდგა, ტრანსფერი რამდენ მილიონიანი იყოო, რატომ არ ამხელდნენ მილანში გადასვლასო და ა.შ. თორემ ისეთი ამბავი ნამდვილად არ ატეხილა, გიორგი ქინქლაძის „სიტიში" და ტყუპების „ტრაბზონსპორში" გადასვლას რომ მოჰყვა.

ის დრო პირველი ნაბიჯების დრო იყო და აჟიოტაჟიც სხვაგვარი დასდევდა. ახლა კი, ამდენი ხნის გავლის შემდეგ ეგებ ცარიელა სიხარულს და ასეთ რამეებს არ უნდა დავჯერდეთ.

კახა კალაძე 22 წლისაა და იმ ყაიდის მოთამაშეა, ბარე ორმოცი წლის ასაკამდე რომ თამაშობენ. მისი შესაძლო მოგზაურობა კლუბიდან კლუბში, მთელი მისი მომავალი კარიერა, საფეხბურთო ბიოგრაფია ბევრად უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე დღევანდელი, ქართული ფეხბურთის ისტორიაში უძვირესი ტრანსფერის ამბავი.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კალაძის ტრანსფერი საქართველოდან არ განხორციელებულა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. ფინანსები იქეთ იყოს და კალაძე საუცხოო მაგალითია სწორად წარმართული საფეხბურთო კარიერისა. ჯერაც ყმაწვილი ქართველი ფეხბურთელები ძალიან, ძალიან უნდა დაფიქრდნენ, სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამდნენ და ამოიცნონ რა ურჩევნიათ, ნამდვილი ფეხბურთელობისთვის, ვარსკვლავობისთვის ბრძოლა თუ ჩვენში არსებულ ვითარებას შეგუება და ბურთის მხოლოდ ხელობისთვის გორება.

ყველა ნიჭიერმა ქართველმა ფეხბურთელმა, რომელმაც მონდომება, ხასიათი და შრომის უნარი გამოამჟღავნა, იპოვნა თავისი გზა და თავისი წილი სახელიც დაიგდო.

კალაძე ყველაზე სტაბილური ქართველი ფეხბურთელი, რომლის თამაშის მანერაც და პოზიციაც სულაც არ იძლევა ვარსკვლავობის იოლ გზაზე შედგომის საშუალებას, ამის საუკეთესო მაგალითია.

ყოველი ახალი გადასვლა, ყოველ ახალ გუნდში ჩარიცხვა ბრძოლას ნიშნავს. გუნდში ოცდაათი კაცია, თამაშით კი მხოლოდ თერთმეტი თამაშობს. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია დიდ იტალიურ კლუბებში, სადაც ხშირად, ერთ პოზიციაზე სამი ერთმანეთზე უკეთესი მოთამაშე მოდის. მაგრამ კალაძე ძალიან ახალგაზრდაა და ყველაფერი მის ხელშია. მისი სატრანსფერო ფასიც იმიტომაა ასეთი, რომ ახალგაზრდაა. ახალგაზრდობა კი ზრდას ნიშნავს, რაც იზრდება, უკეთესდება, ძვირდება კიდეც. დღევანდელი დიდი ტრანსფერებისადმი მიდგომა კი ასეთია: ამდენი მიღირს და ვიხდი. ანუ ფეხბურთელი ზოგადად კი არ ღირს ამდენი, არამედ მე, „მილანს" მიღირს ამდენი. ღმერთმა ქნას, გამოხდეს ხანი და სხვას უფრო მეტი უღირდეს კახა კალაძე სერიოზული, მართლაც დღევანდელობის ფეხბურთელი.



ძირითადი „ჩელსის" ვარჯიშზე — პოიეტი, რანიერი და ალექსიძე

# ვერვინ მოვა ჩემზედაო...

**შეუძლია** თქვას რატი ალექსიძემ, რომელიც „ჩელსის" რეზერვებში თამაშს განაგრძობს, ამ გუნდის საუკეთესო ბომბარდირია, თუმცა საქართველოს ნაკრებში ისევ არ მიიწვიეს.

არადა, რეზერვთა ჩემპიონატის ბოლო მატჩი ლონდონისვე „ტოტენჰემთან" რატიმ უგოლოდ ჩაამთავრა. სამაგიეროდ, ჯიგრიანი თამაშითა და საგოლე პასით გამოირჩა. საბოლოოდ, ედ დე გუით, იესპერ გრონკიაერითა და გრემ ლე სოთი გაძლიერებულმა „ჩელსის" სათადარიგოებმა ჩრდილოელი მეზობლები 4:2 დაამარცხეს და 14 თამაშიდან ათი მოგებით ლიდერობას განაგრძობენ.

და კიდევ — კლაუდიო რანიერიმ ქართველი ფეხბურთელის კიდევ ერთი მოსურნე, დედაქალაქის „უიმბლდონი" გაისტუმრა უარით. პირველდივიზიონურ კლუბს ალექსიძის სეზონის ბოლომდე თხოვება ჰქონდა განზრახული.

**გიგა ძოგახიძე**

# ფინალში ქართველებს ველოდოთ

**ხვალ** დასრულდება ესენგეს თასის რიგით მეცხრე გათამაშება. შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველებმა მაინც ივაჟკაცეს. ქუთაისის „ტორპედომ", ახლა ბელგიაში რომ გადის შეკრებას, ჯგუფში ყველა თამაში მოიგო და ძლიერთა (ჩემპიონთა) რიგებში დაწინაურდა.

კახა კალაძე სწორედ მოსკოვიდან ეწვია მილანს და როგორ დამთავრდა ეს ამბავი „სარბიელის" მკითხველებმა კარგად უწყიან. ქართველი „მილანში" ჩაირიცხა.

ხვალ ფინალია და სახალხო „სპარტაკთან" რიგის „სკონტის" მოუწევს პაექრობა. ეს ამბავი, ნახევარფინალურ ჯგუფში, „სლავიასა" და „კოპეტდაღის" დაპირისპირებისას გადაწყდა. ბელარუსელებმა მეტოქეს ბდღვირი ადინეს და ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს.

„სპარტაკის" და „სკონტოს" თამაში ფორმალობადღა იქცა. მიუხედავად ამისა, თამაშს მაინც არაუშავდა. მოსკოველები პირველ ტაიმში ორჯერ დაწინაურდნენ. კორლალიძემ ერთხელ გაქვითვა მოახერხა, რომელიც რეხვიაშვილთან ერთად თავიდანვე მოედანზე იყო.

მეორე ტაიმში „სპარტაკმა" გაიტანა ერთი, მეორე... და გაიმარჯვა. რა მოხდება კვირას, ამას სამშაბათს გამცნობთ. „სკონტოს" ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება. მიზეზი ტრავმებია, და მაინც, ჩვენ ბალტიისპირელებს ვუქომაგებთ.

**დათო დანელია**

**ნახევარფინალური ჯგუფი**

**სლავია 4:0 კოპეტდაღი**

1:0 სტრიპეიკისი (28), 2:0 ვასილიუკი (41), 3:0 სტრიპეიკისი (61), 4:0 სამატოვი (78)

**სპარტაკი 4:1 სკონტო**

1:0 ლობანიოვსი (2ს.პ.), 1:1 კორლალიძე (20), 2:1, 3:1 მარკაო (45, 55), 4:1 ბულატოვი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| სკონტო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| სლავია | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |
| კოპეტდაღი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |

ფინალში ხვალ მოსკოვის „სპარტაკი" და რიგის „სკონტო" შეხვდებიან

## იტალია

სერია B. XX ტური

ჯენოა 0:1 კიევო

## ჰოლანდია

თასის მერვედფინალი

როდა 2:0 უტრეხტი

ექსელსიორი 1:3 ალკმარი

აიაქსი 1:2დ.დ. (1:1) ვიტესი

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აფრიკა

ალჟირი 1:0 ნამიბია

## გერმანია

XIX ტური

შალკე 2:0 ჰანზა

1:0 ბუმე (4), 2:0 ნემეცი (66)

## მეორე ბუნდესლიგა

XIX ტური

ჰანოვერი 0:0 ქემნიცი

ვალდჰოფი 2:1 ზანქტ პაული

## საფრანგეთი

XXIV ტური

ბორდო 3:0 ბასტია

1:0 დიუგარი (24), 2:0, 3:0 ბატლერი (45, 61)

## პორტუგალია

XIX ტური

ბრაგა 1:1 ამადორა

# ფიურტელი ქართველი დეკა

*ახალი საუკუნე წარმატებით დაიწყო „ვიტ ჯორჯიას" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრ გიორგი დეკანოსიძისთვის. ახალგაზრდა, პერსპექტიული ნახევარმცველი საახალწლო-საშობაო არდადეგებზე გერმანიას გაემგზავრა და მეორე ბუნდესლიგის „ფიურტს" მიაშურა. საბედნიეროდ, იგი მოიწონეს და რამდენიმე დღის წინ დეკანოსიძემ ოფიციალურად გააფორმა ექვსთვიანი კონტრაქტი გერმანულ კლუბთან.*

*შეთანხმება ამგვარია: „ფიურტის" შეხედულებისამებრ ექვსთვიანი ხელშეკრულება შესაძლოა 2003 წლამდეც გაგრძელდეს.*

*„მჯერა, ამ მხრივ პრობლემა არ მექნება. ცდას არ დავაკლებ, უკმაყოფილო არ დამრჩებიან ახალი ხელმძღვანელები" — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი გიორგი დეკანოსიძემ, რომელსაც გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით.*

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგად აეწყო, ჩამოსვლისთანავე ვითამაშე ამხანაგურ შეხვედრაში სამოყვარულო გუნდთან და მგონი, ურიგო შთაბეჭდილება არ დამიტოვებია. შემდეგ გუნდთან ერთად დორტმუნდში ჩავედი, მინი-ფეხბურთის ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა. შარშან „ფიურტს" მოგებული ჰქონდა ეს ტურნირი, წლეულს კი მეოთხე ადგილზე გავედით, სულ ორი მატჩი ჩავატარე და ამდენივე გოლი გავიტანე, მერე კი ანთალიაში გავემგზავრეთ შეკრებაზე...

**— იქ თუ არ ვცდები, პირველივე საკონტროლო მატჩში გოლი გაიტანე...**

— „დრეზდენს" ვეთამაშეთ, 4:0 ვძლიეთ, მწვრთნელებმა მეორე ტაიმში შეცვლაზე შემიყვანეს და მატჩის მიწურულს მეოთხე გოლი გავიტანე. მომდევნო საკონტროლო შეხვედრა კი „ვერდერთან", რომელიც 2:2 დასრულდა, სასტარტო შემადგენლობაში დავიწყე.

**— ბოლო საკონტროლო მატჩი „ფიურტმა" ავსტრიულ „შტურმთან" ჩაატარა. იმ თამაშის ოქმსა და მიმოხილვაში ქართველ „გიორგი დეკად" ხარ მოხსენიებული...**

— გერმანელებმა გვარი შემიმოკლეს, მათთვის, ალბათ, ასე უფრო მოსახერხებელია. ისე, თბილისშიც „დეკას" მეძახოდნენ და მეტსახელი იქაც გადამყვა... „შტურმთან" თამაშს არ ველოდი, ბოლო სერიოზული გამოცდა იყო ჩემპიონატის განახლების წინ და მწვრთნელებმა გუნდის ძირითად ბირთვზე გააკეთეს აქცენტი. მეორე ტაიმში რეიხელის ნაცვლად შემიყვანა მოედანზე ორკენბრეხერმა და ნამატჩევს მეგობრულად მომითათუნა მხრებზე ხელი. ის შეხვედრა 5:3 მოვიგეთ.

**— მთავარ მწვრთნელთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— ნორმალური. ორკენბრეხერი გულღია კაცია, ყველასთან კარგი დამოკიდებულება აქვს, თუმცა გუნდში საოცარი დისციპლინაა და ესეც მისი წყალობით.

**— საკონტროლო მატჩებში რა პოზიციაზე გიწევდა თამაში?**

— ძირითადად მარცხენა ნახევარმცველად. ერთი-ორჯერ ჩემს პოზიციაზე გამთამაშებლად მათამაშეს, მაგრამ ეს კარგ ფიზიკურ მონაცემებს მოითხოვს, მე კი ამ მხრივ მოვიკოჭლებ. ამის გამო, ალბათ, ჩემპიონატის პირველ მატჩებში ვერც გამოვალ მოედანზე. თუმცა საგანგაშო არაფერია. მე ფიზიკური მომზადების ციკლს მალე დავასრულებ და მერე ვნახოთ...

**— შენს გარდა გუნდს რამდენი ლეგიონერი ჰყავს?**

— ოთხი. კამერუნელი, ნიგერიელი, ტუნისელი და ბერძენი ახალგაზრდები არიან.

**— გერმანულ პირობებზე, ალბათ, ზედმეტიც კია საუბარი...**

— ყველაფერი იდეალურადაა. სტადიონის სიახლოვეს მომცეს სახლი, მართვის მოწმობის უქონლობის გამო ჯერჯერობით მანქანა არ მყავს, მალე ამ პრობლემასაც მოვაგვარებ, თუმც ამაზე დიდად არ ვნაღვლობ. როგორც გითხარით, სტადიონისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით ვცხოვრობ და ჩემი ძირითადი საზრუნავი მხოლოდ ვარჯიშია.

როდის გამოჩნდება გიორგი დეკანოსიძე მეორე ბუნდესლიგის ოფიციალურ მატჩში, ამას დრო გვიჩვენებს, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატი გუშინ განახლდა. „ფიურტს" პირველი მატჩი ორშაბათს აქვს — დეკანოსიძის გუნდი შინაურ კედლებში მეათეადგილოსან „ზაარბრიუკენს" უმასპინძლებს. თავად „ფიურტი" მეორე ბუნდესლიგაში მეექვსე ადგილზეა. მეორეადგილოსანი „ზანქტ პაული" და მესამეადგილოსანი „გლადბახი" ჩვენებურის გუნდს შესაბამისად ოთხი და ორი ქულით უსწრებენ. წინ მთელი მეორე წრეა, ბუნდესლიგაში კი სამი საუკეთესო გუნდი გადადის.

**ბაატა ძგანტალიანი**



გიორგი დეკანოსიძე

# დიდი გადაჯგუფება

## მითხარი, სად იყავი ზამთარში?

*ერთი თვეც აღარ დარჩა საფეხბურთო სეზონის განახლებამდე. 24 თებერვალს ქობულეთში სუპერთასის მატჩია — ქვეყნის ჩემპიონი თასის მფლობელის წინააღმდეგ. ზამთრის ბოლო დღეს კი საგაზაფხულო ეტაპის გათამაშება დაიწყება.*

*დაძაბულობა ნამდვილად მოგველის. თამაშის ხარისხზე ჯერ რა მოგახსენოთ, სერიოზულ სამზადისში კი არიან გუნდები. მოხდა დიდი გადაჯგუფება, რომელსაც ზოგიერთების დასუსტება და ერთეულთა გაძლიერება მოჰყვა.*

*ძირითადი ბრძოლები ექვსეულში შესასვლელად უნდა გაჩაღდეს. აქ ერთია მხოლოდ გასარკვევი, ვინ იქნება მეექვსე, „მერანი" თუ „ბათუმი"? ისე, ამათ დავაში ჩარევა ბოლნისურ „სიონსაც" ძალუძს. ყოველ შემთხვევაში, სპარტაკ არჩვაძის გუნდს გათამაშების კალენდარი ხელს უწყობს და თეორიულ-პრაქტიკული შანსი ჯერაც სუნთქავს.*

*მოდით, უმაღლესლიგელებს ზამთრის ნაშრომი შევუფასოთ და მათ საგაზაფხულო შანსებზეც მოკრძალებული კომენტარი ვთქვათ. თუ ყველაფერი არ ახდება, ნაწილი მაინც ხომ გამართლდება.*

### ლოკომოტივი

რკინიგზელთა მთავარი მიზანი ჩემპიონობა რომ გახლავთ, ამას საჯაროდ აცხადებს კლუბის ხელმძღვანელობა. ისე, არც თასზე იტყოდნენ უარს რკინიგზის დეპარტამენტში. „ლოკომოტივი" ოთხი ქულით უსწრებს „ტორპედოს". ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის დაწყებამდე ხუთიდან ოთხი ურთულესი მატჩია. შეიცვალა მთავარი მწვრთნელი. კონკურენტ გუნდში გადავიდა რევაზ ძოძუაშვილი და თან რკინიგზელთა მთელი დაცვაც გაიყოლია. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „ლოკომოტივის" უკანა ხაზი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემპიონატში.

სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე... ვინღა დარჩა? გამოცდილი ბალაშვილი და ახალგაზრდები, გილაური და ბაქრაძე. გივი ნოდიამ წამსვლელთა შემცვლელად პოლონეთ-ბულგარეთიდან მობრუნებული ზაზა ლაცაბიძე და ნინუა შეიგულა, თუმც მათი მზადყოფნის შესახებ ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ.

ნახევარდაცვაში ყველაფერი რიგზეა — ანჩაბაძე, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, რუსიაც ბრუნდებაო. ნოდიას გოგიჩაიშვილის იმედიც აქვს, რომელსაც ფორვარდობაც ძალუძს.

თავდასხმაში იყო მეტად მწირი არჩევანი, თუმც დიდი პრობლემა, ალბათ, არ შეიქმნება. გოგიჩაიშვილის შესაძლო გაფორვარდებაზე უკვე ვთქვით. არც დავითაშვილი და შენგელია დავივიწყოთ. ისე, ახალი შენაძენი წინა ხაზშიც ჰყავს „ლოკომოტივს". კრივბასელი კაიდარაშვილი ის ფეხბურთელია, რომელსაც წარმატებით თამაში თავდასხმასა და ნახევარდაცვაში ერთნაირად შეუძლია.

რკინიგზელთა ყველაზე დიდი პრობლემა მაინც სათამაშო სქემის შეცვლა გვგონია. ძოძუაშვილი გუნდს დაცვიდან, კონტრშეტევებით ათამაშებდა, ხოლო ნოდია შეტევის მოყვარული მწვრთნელია.

ალბათ, საბოლოოდ კვიპროსში დალაგდება „ლოკომოტივი". ორკვირიანი ნაყოფიერი შეკრება გუნდს დიდად წაადგება, რკინიგზელთა რეალური ძალა კი 24 თებერვალს ქობულეთში გამოჩნდება.

### ტორპედო

ზოგი ჩემპიონობაზე ოცნებობს, ქუთაისური კლუბი კი ამ დროს ივსება და ძლიერდება. „ტორპედოს" დღეს საქართველოში საუკეთესო შემსრულებლები ჰყავს.

კონკურენციაა ყველა რგოლში. ორი ძლიერი მეკარე, მცველები, ნახევარმცველები და თავდამსხმელები თავსაყრელად. დაცვაში — სილაგაძე, ხვადაგიანი, დიდავა, თოდუა, ქემოკლიძე, ჯინჭარაძე... ნახევარდაცვაში — გუჩუა, ასათიანი, ახალკაცი, იონანიძე, ჯანაშია, ჩხეტიანი, ბაბუნაშვილი... თავდასხმაში — იმედაძე, აშვეთია, ბობოხიძე, გვირჯიშვილი...

ეს კიდევ არასრული სია გახლავთ. ვის შეელია „ტორპედო"? „ბათუმში" გაუშვა მეკარე ჭანტურია, „მერანში" გია ჩხაიძე, შალამბერიძე „კოლხეთში", რომელსაც ახვლედიანი და კვეტენაძეც მალე შეუერთდებიანო, კიდევ თურმანიძე, ვაჩიბერაძე, შეყრილაძე, მეგრელაძე...

გუნდი, რომელსაც თამამად შეუძლია, ამდენ მოთამაშეს შეელიოს, მართლაც ძლიერია.

შეიცვლება თუ არა რიონისპირელთა ტაქტიკა? ალბათ, დიდად არა, მაგრამ ძოძუაშვილი რაღაცას თავისებურად რომ შეცვლის, ცხადია. არ გამოვრიცხავთ, „ტორპედო" უფრო თავდაცვაზე ორიენტირებული გახდეს.

სეზონისთვის სამზადისი რიონისპირელებს სოლიდური გამოუდით. ქუთაისი, მოსკოვი, ბელგია... ბოლო წერტილი კი მაინც ქობულეთია.

### დინამო

ძალიან კი ეჩქარება, მაგრამ ვერსად მიდის ათგზის ჩემპიონი. ყველას მობეზრდა იმის მოსმენა, რომ უსაშველოდ უჭირს და ბოლო დღეშია „დინამო". არის ბევრი ლაპარაკი, საქმე ცოტა კეთდება.

იანვრის ბოლოს უნდა გაირკვესო მეპატრონეთა ვინაობა. ესე იგი, ოთხ დღეში. სადაც ამდენი უცდია, ოთხ დღესაც მოითმენს ჭირნახული კლუბი.

სწორედ იქცევა და მართალს ამბობს რევაზ არველაძე — ფეხბურთელს ვერაფერს ვაძლევ, პირობებს ვერ ვუქმნი და რა ნამუსით დავაკავოთო.

გაიქცა და ისევ დაბრუნდა გადელია, თავს უშველეს ქემოკლიძემ და ჯინჭარაძემ. ჯერჯერობით გუნდშია სიჭინავა, მაგრამ... სახვაძემ თავად იპოვა სასურველი კლუბი, მუხლის ტრავმას შეუწუხებია ზირაქიშვილი.

რა იღონოს უფროსმა არველაძემ — მიიღო გერმანიიდან მობრუნებული იაგორაშვილი, „თბილისიდან" გადაიყვანა ჩივაძე, მიკუჩაძე, მანწკავა, ქარდავა.

უცხოურ შეკრებას ვინ ჩივის, საქართველოშიც ვერ ახერხებენ ვერაფერს. „დინამო" ერთადერთი გუნდია ექვსეულისთვის მებრძოლთა შორის, რომელიც საკუთარ ბაზაზე დაასრულებს სეზონისთვის მზადებას.

ჯერაც უცნობია, რომელ მოთამაშეს გაუწყდება მოთმინების ძაფი და წავა. ამიტომ ასე დავასკვნით: ნამდვილად გმირობა იქნება, ათგზის ჩემპიონმა პრიზიორებში თუ შეაღწია.

როცა სხვები ძლიერდებიან და საქმეს აკეთებენ, ამ დროს „დინამო" უკეთესი დროებისა და პატრონის მოლოდინშია.

### ვიტ ჯორჯია

მხოლოდ სამ ფეხბურთელს, ორ ნახევარმცველსა და ერთ მეკარეს შეელია ვიცე-ჩემპიონი. ძირითადის მოთამაშე მხოლოდ გიორგი დეკანოსიძე იყო. ვერ ელეოდნენ ვეტერინარები ნიჭიერ გამთამაშებელს, მაგრამ... სტურუა თსუ-ს დაუთმეს, თაყაძე „დილაში" დაბრუნდა.

შენაძენი გაცილებით სოლიდური გამოვიდა. გოგობერიშვილი, არსოშვილი, წუწუნავა, ადამია, გოცირიძე და ბევრისთვის უცნობი ფეიქრიშვილი.

„ვიტ ჯორჯიას" ძირითად ბირთვს არავინ მოჰკლებია. თემურ მახარაძემ კონკურენცია გააძლიერა და ორი მეკარე, შვიდი მცველი, რვა ნახევარმცველი და ექვსი თავდამსხმელი ჰყავს.

ადრიანად შეუდგნენ ვიტელები საგაზაფხულო ეტაპისთვის სამზადისს. დღეს უკვე იტალიაში, ნორჩაში მიიჩქარიან.

ნელ-ნელა ცვლის გუნდის სათამაშო სახეს თემურ მახარაძე. ლაპარაკია სამი ცენტრალური მცველით და ორი საყრდენი ნახევარმცველით თამაშზე.

ვნახოთ, „ვიტ ჯორჯიას" სიძლიერე მარტის პირველივე რიცხვებში გამოჩნდება.

### კოლხეთი

დიდად გაიხარა სოსო ფილიამ, ჯონი შალამბერიძე დაიბრუნა. თუ მწვრთნელს ვენდობით, ახვლედიანი და კვეტენაძეც „კოლხეთისაა". ამათ დავემატოთ ქვაჩახია, მიხეილ ქობულაძე, წივწივაძე. არაფერს ვამბობთ ახალგაზრდა ახალწვეულებზე.

ათი ფეხბურთელი გაუშვა „კოლხეთმა", მაგრამ ამაზე არ ნაღვლობენ ფოთელები, შალამბერიძე ხომ დაიბრუნეს.

გამოცდილი და სერიოზული შუა ხაზი დააკომპლექტა ფილიამ. კიკლიაშვილი, გოგიაშვილი, შალამბერიძე და ღლონიძე.

დაცვაში ქობულაძე, ტარჩინავა, გოროზია... თავდასხმაში ელდარ გვასალია, წივწივაძე, შავგულიძე... თუ ბიჭი ხარ, მიდი და წააქციე „კოლხეთი" „ფაზისზე". მეტად გაუძნელდებათ ეს საქმე კონკურენტებს და ფოთელებიც მხოლოდ ექვსეულს როდი დასჯერდებიან, ახლა საპრიზო სამეულზე ფიქრობენ.

დიდი ხანია, „კოლხეთი" საგაზაფხულო სამზადისშია. ხვალ-ზეგ ბულგარეთს მიემგზავრებიან. გუნდი ფაქტობრივად დაკომპლექტებულია და ცვლილებებსაც არ უნდა ველოდეთ.

ჰო, გერმანული „ნეოპლანი" სულ დაგვავიწყდა, რომლითაც „კოლხეთი" ალმა-დალმა ივლის. ავტობუსია ისეთი, საჭიროების შემთხვევაში სასტუმროს მაგივრობასაც გასწევსო — ხუმრობენ კოლხები.



გიორგი ჩიხრაძის „ლოკომოტივმა" თასი დავით ჯანაშიას (მარჯვნივ) „ტორპედოს" აართვა. ვინ მოიგებს სუპერთასს?

### მერანი

ავჭალელთა ყველაზე დიდი შენაძენი ახალი მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია გახლავთ, რომელიც თითქმის სამწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა საკლუბო კარიერას.

გაბელიამ გუნდში მიიღო ჩხაიძე და მაღლაკელიძე, წავიდა უკრაინელი პოდლესნი, თუმც კლუბის თავკაცები მწვრთნელს მის სანაცვლო უკრაინელს დაჰპირდნენ.

დანაკლისიც დიდია, ტრავმირებულია აკაკი დევაძე. მართალია, ვერ გავიგეთ, ტრავმა რა სახისაა, მაგრამ სერიოზული რამ არის, ვიცით.

„მერანი" ბაკურიანიდან დღეს ბრუნდება, მერე ქობულეთში აპირებს წასვლას და თურქული შეკრებაც არის დაგეგმილი, თუმცა...

მალე მომჯობინდება ფოცხვერია, რომელიც გუნდის შემტევ პოტენციალს ერთიორად გაზრდის. მიზანი კი ბუნდოვანია — ხან ექვსეულიო, ხანაც მომავალიო. დრო კი თვეზე ნაკლებია.

### ბათუმი

ასლან ბალაძემ ჯანი კარნევალის დროს გაშვებული „ექვეულიდან" არავინ ინდომა. მათ ბედიაშვილი, სოხაძე, ჩოხელი, სიხარულიძე და ქერაშვილიც მიაყოლა. ერთი შენგელია მეორეთი შეცვალა, ჭანტურია ქუთაისიდან გადაიბირა და მეკარის პრობლემაც ამით გადაიჭრა.

„ბათუმს" დაუბრუნდნენ ივანე მახარაძე, მაჭუტაძე, ტუღუში. ამ ზამთარს უქმად არ ყოფილან აჭარლები. ნელ-ნელა რომ უმატებდნენ, მათ მიერ ჩატარებული საკონტროლო მატჩებიდანაც ჩანს.

ბულგარეთს მიემგზავრება ბალაძის გუნდი. წინ კი ორი საშინაო და სამი გასვლითი მატჩი ელით. ექვსეულის პერსპექტივა კი ძალიან ახლოა.

### სიონი

ძირითადის ხუთი ფეხბურთელი წავიდა „სიონიდან". სპარტაკ არჩვაძეს თავდამსხმელიც მოაკლდა, ნახევარმცველებიც და მცველიც.

შემცვლელებიც იპოვა თითქოს არჩვაძემ და შეკრებაც თბილისში მოაწყო. ამას უნდა დასჯერდნენ ბოლნისელები, მეტის საშუალება არ არის. არადა, ექვსეულში შეღწევის შანსი კიდევ არის.

### გორდა

ვინ ჰყავდა და ვის შეელეოდნენ რუსთაველები. იასონ ალადაშვილმა მეკარე დაიბრუნა, მცველები შეიმატა, თავდამსხმელიც ჰყავს და ყოველდღე რუსთავ-თბილისის გზაზე გამოკიდებულა „გორდა". შეკრებაზე ბოლდიში, მაგრამ დილით დიდუბის მანეჟში, ხოლო შუადღეზე საკუთარ „ფოლადზე" წვრთნას არავინ ამაღლის.

### დილა

ცუდ დღეშიაო „დილა", ვიძახეთ და ნელ-ნელა კი წამოჩიტდა. ხაჭაპურიძე, ძმები ჩიტაიები, თაყაძე... შეკრებას, ალბათ, გორშივე გაივლიან და ეგ არის. ხაჩირაშვილმა შეტევაში პრობლემა მოაგვარა. ხორგუაშვილი და ერთ-ერთი ჩიტაია შეწყვილდებიან. დაცვაშიც არა უშავს საქმეს. საფიქრალი ნახევარდაცვალა დარჩა, უფრო სწორად, ციცქიშვილის შემცვლელია საპოვნი.

### თსუ

კიდევ უფრო გაახალგაზრდავდა სტუდენტური კლუბი. გამოცდილი მოთამაშე თითქმის აღარავინ დარჩა. სამაგიეროდ, ათლეტურები და უფრო მებრძოლები გახდნენ. ბოლომდე სანდონი მაინც მეკარეები არიან. სტურუასა და მამარდაშვილს თამაში რომ ძალუძთ, ეს არაერთხელ დაუმტკიცებიათ კიდეც. სტუდენტები შეკრებაზე არიან ყვავილნარში და კიდევ ერთის გავლას აპირებენ. მიზანი ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა, ქულები კი ცოტა.

### იბერია

„იბერიამ" იპოვა სტადიონი, ექნება ცხელი წყალი და სხვა სიკეთეც. შეკრებაზეც წავლენ, მაგრამ ძალიან, ძალიან ახალგაზრდები შერჩა ხელთ ნოდარ აკობიას. მართალია, ქულები რომ განახევრდება, უსაშველოც არ იქნება სხვაობა, მაგრამ ფეხბურთელები...

**მამუკა ძგანტალიანი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა წერეთელი

# ნამხდარი საქმე

## წერეთელი შახტარიდან დაითხოვეს

**მამუკა** წერეთელს ჩვენში ნიჭიერ, ბოლომდე მობრძოლ ფეხბურთელად იცნობენ.

სწორედ მონდომების, დაუღალავი შრომის შედეგი იყო ის, რომ ერთეულების ხვედრი გაიზიარა — 18-წლამდელთა გუნდიდან პირდაპირ ეროვნულ ნაკრებში მოხვდა და სრულიად ახალგაზრდამ ქვეყნის უპირველესი გუნდის მაისურა მოირგო.

გასული საფეხბურთო სეზონი წერეთელმა ვლადიკავკაზურ „ალანიაში" ჩაამთავრა და დეკემბერში უკრაინელ „შახტარს" შეუერთდა. პერსპექტიულ მცველზე უარს რატომ იტყოდნენ უკრაინელები და დონეცკელებმაც ქართველ ფეხბურთელს ორწლინახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს. წერეთელმა ახალი გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე საკონტროლო მატჩიც ჩაატარა და რომ გვეგონა, სეზონის განახლებიდან უკრაინის ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა, დონეცკიდან სულ სხვა ინფორმაცია მოვიდა.

„ახალგაზრდა ქართველმა მცველმა მამუკა წერეთელმა ჩვენი გუნდი დატოვა. ის ერთობ პერსპექტიული ფეხბურთელია, მაგრამ არაფრით არ აღემატება „შახტარის" სხვა მცველებს, ამიტომ ჩვენი გზები გაიყარა" — „შახტარის" მთავარი მწვრთნელის ვიქტორ პროკოპენკოს სიტყვები ერთობ საეჭვოდ გვეჩვენა. სხვა თუ არაფერი, უცნაურია კონტრაქტგაფორმებულ ფეხბურთელს ხელაღებით რომ უშვებენ გუნდიდან. ჩვენი ეჭვები საფუძვლიანი გამოდგა... გუშინ თბილისში დაბრუნებულ მამუკა წერეთელს დავუკავშირდით. მან გვითხრა: „საშინლად იმედგაცრუებული ვარ. ყველაფერი რიგზე იყო, დონეცკელები ჩემი ტრანსფერისთვის მოთხოვნილ თანხას დაუბრკოლებლად იხდიდნენ, მერე კი საქმე გამიფუჭეს, ვითომ მენეჯერების „წყალობით" დღითი დღე მეტ ფულს ითხოვდნენ ჩემს სანაცვლოდ, დონეცკელებმაც არასერიოზულ ხალხთან საქმის დაჭერას ჩემთან გამომშვიდობება არჩიეს. ნებისმიერი გუნდი ასე მოიქცეოდა და გამონაკლისი არც „შახტარი" ყოფილა.

ვინ გაუფუჭა წერეთელს საქმე? — ამ კითხვაზე პასუხს ფეხბურთელი კონკრეტული მიზეზების გამო თავს არიდებს, ერთი კი იცის, რომ უსაქმოდ არ დარჩება.

„შახტარამდე" მოსკოვის „ლოკომოტივიდან" მქონდა მოწვევა, მაგრამ შარშან უკრაინული ვარიანტი ვარჩიე. რკინიგზულ კლუბში ჩემი გადასვლის საკითხი დღის წესრიგიდან ჯერაც არ მოხსნილა. არის მოსკოვის „დინამოს" ვარიანტი. ცოტას დავწყნარდები და მერე მომავალზეც ვიფიქრებ, სავარაუდოდ ალბათ რუსეთის ჩემპიონატში გავაგრძელებ თამაშს". მამუკა წერეთელი ფორმის შესანარჩუნებლად დილმის ბაზაზე ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

**ბაატა ძგანტალიანი**

# რემბიონ — ოზერ — იაგორაშვილი

## მრეტი დინამოსთვის

*ქვეყნის ათგზის ჩემპიონის მომავალი კვლავ ბურუსითაა მოცული, მაგრამ რევაზ არველაძის „დინამო" გულმოდგინედ ემზადება სეზონის განახლებისთვის. გუნდი რამდენიმე ნამყვანმა მოთამაშემ დატოვა, არველაძემ ახალბედებს უხმო, თუმც ერთი ისეთი ფეხბურთელიც შეიმატა, რომელზეც „სარბიელთან" ამასწინანდელ საუბარში განაცხადა, მისი დიდად მეიმედებაო.*

*ვახტანგ იაგორაშვილმა გულშემატკივარს თავი „მრეტებში" თამაშით გააცნო, სადაც თითქმის სამი სეზონი ჩაატარა. მერე დაიწყო მისი გერმანული კარიერა. „დინამოში" მოსვლამდე მისი ბოლო იქაური კლუბი კიოლნის „პროიზერი" იყო, მანამდე კი მან კიდევ სამი გერმანული გუნდი დააჭაშნიკა.*

*ვახტანგ იაგორაშვილი ახლა 25 წლისაა და, ალბათ, კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო შანსი აქვს, თავისი პოტენციალი ნათლად წარმოაჩინოს. შეძლებს თუ არა ამას თბილისის „დინამოში", დრო გვიჩვენებს. ისე კი შეგახსენებთ, რომ თავის დროზე მეტად პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა. იყო 18-წლამდელთა ნაკრების წევრი. ახალგაზრდულ ნაკრებში ორი შესარჩევი ციკლის პერიოდში თამაშობდა, ანუ შოთა ჭეიშვილის და ვლადიმერ გუცაევის მთავარი მწვრთნელობისას.*

*„დინამოს" ამ ახალწვეულთან საუბარი კი „მრეტებიდან" მის პირველ გერმანულ კლუბში გადასვლით დავიწყეთ.*

— ბრაუნშვაიგის „აინტრახტი" მაშინ რეგიონალლიგაში თამაშობდა და მეორე ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად იბრძოდა, მაგრამ ხელი მოეცარა. მეც უკან, „მრეტებში" გამოვბრუნდი, თიაქარის ოპერაციის გამო ექვსი თვე გამიცდა და შემდეგ რეგიონალლიგის „აუგსბურგში" გადავედი, სადაც ორი სეზონი ჩავატარე. მაგრამ მერე ტრავმა მივიღე, ფაქტობრივად, ერთი წელი შევისვენე და მხოლოდ ამის შემდეგ განვაახლე ვარჯიში. კარიერა კი ასევე რეგიონალური ლიგის „როიტლინგენში" გავაგრძელე.

**— საიდანაც მერე, მეთერთმეტე ეროვნულის დაწყებისას, თბილისის „ლოკომოტივში" აღმოჩნდი...**

— „როიტლინგენში" გატარებული 6 თვის შემდეგ შინ კი დავბრუნდი, მაგრამ თვალი მაინც უცხოეთისკენ მეჭირა და ობერლიგის ბინადარ კიოლნის „პროიზერს" მივაშურე.

**— ობერლიგა, ფაქტობრივად, გერმანიის მეოთხე ლიგაა. არ გიჯობდა, „ლოკომოტივში" ყოფილიყავი?**

— არა, ვთვლი, რომ იქ თამაში მაინც უკეთესი პერსპექტივაა. გულახდილად გეტყვით, გერმანულ ფეხბურთთან შეგუება გამიჭირდა, მაგრამ მთავარი მიზეზი იმისა, რომ სრულფასოვნად ვერ გავიხსენი, ტრავმები იყო. მარცხენა ბარძაყის კუნთი სამჯერ გამიწყდა და სამი ოპერაცია დამჭირდა.

ყველაზე კარგი ვარიანტი მაშინ გამომიჩნდა, როცა მეორე ბუნდესლიგის „უნტერჰახინგში" მიმიწვიეს. ეს გუნდი ბუნდესლიგაში გადასასვლელად იბრძოდა. იქ კონტრაქტის გაუფორმებლად ერთი თვე ვივარჯიშე გუნდთან, მაგრამ ბოლო ტურის გადამწყვეტ მატჩში „უნტერჰახინგმა" აუტსაიდერ „ცვიკაუს" ვერ მოუგო და მეორე ბუნდესლიგაში ჩარჩა. კლუბის ხელმძღვანელობა განრისხდა, მთავარი მწვრთნელი გუნდიდან დაითხოვა და მის ნაცვლად გიუნტერ-ლორანც კოსტნერს უხმო, რომელიც დღესაც „უნტერჰახინგის" მწვრთნელია. მან ჩემზე თქვა, ამ ფეხბურთელს რეგიონალლიგაში თამაშით ვიცნობ, თუმც მაინც გამოვცდი და მერე ვნახოთ, გამოადგება თუ არა გუნდსო. ამასობაში ორი კვირით თბილისში გამოვბრუნდი, ვვარჯიშობდი, რათა ფორმა შემენარჩუნებინა, მაგრამ კოსტნერის „უნტერჰახინგში" მისვლა არ დამცალდა — ბარძაყის კუნთი მესამედ გამიწყდა. ყოველივე ეს 1997-98 წლების სეზონის დროს მოხდა. სწორედ ამის მერე, ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ მივაშურე „როიტლინგენს".

**— მას შემდეგ, რაც პირველად დატოვე საქართველო და შარშანწინ „ლოკომოტივში" მიხვედი, ხუთი წელი გავიდა. როგორ შეადარებდი იმდროინდელ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს ახლანდელთან?**

— ადრინდელი ჯობდა, ის უფრო მაღალი დონის იყო, რადგან ჩვენს კლუბებში მაშინ გაცილებით უფრო ძლიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ.

**— ახლა კი „დინამოში" ხარ, სადაც ჯერაც გაურკვეველი და არეულ-დარეული ვითარებაა...**

— საქმე ისაა, რომ კიოლნის „პროიზერშიც" მეტად გაუარესდა სიტუაცია და ფინანსური პრობლემები შეიქმნა. კუთვნილ თანხას ვერ მიხდიდნენ



ვახტანგ იაგორაშვილი

და მეც გუნდიდან წამოვედი. კონტრაქტი „პროიზერთან" ორი წლის შემდეგ მიმთავრდებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ პირობები ვერ შემისრულეს, კლუბის ხელმძღვანელობამ „დინამოში" გადასვლაში ხელი არ შემიშალა.

**— და რატომ მაინცდამაინც „დინამო"?**

— კიოლნში ყოფნისას ახლო ურთიერთობა მქონდა არჩილ არველაძესთან, რეზოს კი ადრეც ვიცნობდი, როცა ისიც გერმანიაში თამაშობდა და ჩემი „დინამოში" მისვლის იდეაც აქედან წარმოიშვა. ფაქტობრივად, დახმარების ხელი გამომიწოდეს, რადგან უგუნდოდ ვიყავი და სატრანსფერო სეზონიც გერმანიაში 15 იანვრამდე [illegible]

**— კი მაგრამ, „დინამოშიც" ხომ ფინანსური პრობლემებია?**

— ამ ეტაპზე ფინანსური მხარე ჩემთვის მეორეხარისხოვანია, რადგან აქ დიდხანს დამრჩენი არ ვარ.

**— გამოდის, რომ ჩემპიონატის ბოლომდე „დინამოში" არ გაჩერდები? რევაზ არველაძეს ხომ შენი იმედიც აქვს...**

— ჩემპიონატის ბოლომდე, ალბათ, „დინამოდან" არსად წავალ. მერე კი ჩემი მენეჯერი რომელიმე უცხოურ კლუბს გამომიძებნის, თუმც არაფერს გამოვრიცხავ — შესაძლოა უფრო მეტი ხნითაც დავრჩე „დინამოში", ვნახოთ.

**— რევაზ არველაძემ, ალბათ, უკვე გითხრა, რომ „დინამომ" კვლავაც მხოლოდ ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს. შენ რას იტყოდი?**

— ამ ეტაპზე ძნელია რაიმეს თქმა, გუნდი დაკომპლექტების პროცესშია. ჩემპიონობისთვის ბრძოლა რთული იქნება, თანაც ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. ისე კი, „დინამოში" თამაში განსაკუთრებული რამ არის, „დინამო" მაინც „დინამოა" — ამ გუნდს ხომ დიდი სახელი და ისტორია აქვს. ჩემი მენეჯერიც კმაყოფილია ჩემი აქ მოსვლით და შემპირდა, თუ „დინამოში" ფეხს მოიკიდებ, კარგ გუნდს გამოგიძებნიო. უცხოეთში „დინამოს" სახელი ბევრს ნიშნავს, „დინამოში" ნათამაშევ ფეხბურთელს სულ სხვა თვალით უყურებენ.

რევაზ არველაძის კი მადლობელი ვარ და ყველანაირად ვეცდები, იმედი გავუმართლო, „დინამოს" გამოვადგე და დავეხმარო.

**— რომელ პოზიციაზე აპირებს ის შენს დაყენებას?**

— არ ვიცი, ამაზე ახლა ჯერ ადრეა ლაპარაკი. გერმანიაში ბოლო დროს თავდამსხმელების უკან გამამწესეს, თუმც მანამდე ნახევარდაცვის ორივე ფლანგზეც შემეძლო თამაში.

**დავით თავართქილაძე**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *გივი ნოდია* | ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა), გონჩაროვი, პარამონოვი (ტრანსფერზე არიან), აბრამიძე (?) | ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (პუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კაიდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი* | ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე, ახვლედიანი (კოლხეთი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0, ჟაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0 |
| **დინამო** *რევაზ არველაძე* | ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), გადელია (?) | იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანჯავა, ქარდავა (დინამო 2) | დილა 4:0, გორდა 4:3 |
| **ვიტ ჯორჯია** *თემურ მახარაძე* | დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), მიხეილ თაყაძე (დილა) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, ნუნუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1, თსუ 2:0 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | ახალკაცი (ტორპედო), მალლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ. ნოვგოროდი, რუსეთი), თედეევი, ჭანტურიძე (კოლხეთი 2), ხუჭუა (?, რუსეთი) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნივნივაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), ვართაგავა (ხობი), შალამბერიძე, ახვლედიანი (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი 2) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | პოდლესნი (ზარია, უკრაინა) | მალლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე (ტავრია, უკრაინა), თარგამაძე (სიონი), ბ. შენგელია, ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი, სიხარულიძე, ქურაშვილი (?) | ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი); | კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ნივნივაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ) | ვიტ ჯორჯია 1:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | დინამო 3:4, მილანი 3:2 |
| **დილა** *ვაჟა ხაჩირაშვილი* | მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა) | რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), მიხეილ თაყაძე (ვიტ ჯორჯია) | დინამო 0:4 |
| **თსუ** *მერაბ კოჭლაშვილი* | გოცირიძე, ნუნუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა, ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ჭილლაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | ვიტ ჯორჯია 2 2:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1 |
| **იბერია შევარდენი** *ნოდარ აკობია* | ს. გოგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

## იტალია

### თასის ნახევარფინალი

I მატჩი

**მილანი 2:2 ფიორენტინა**

0:1 კიეზა (18), 1:1 ამბროზინი (65), 1:2 ბრეშანი (75), 2:2 ჯუნტი (93)
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, მალდინი, კოკო, ხოსე მარი (ბა 81), ალბერტინი, ამბროზინი, სერჟინიო (ბირჰოფი 63), ბობანი (ჯუნტი 46), შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, რეპკა, პიერინი, ვანოლი, კ. ამორუზო, კოისი (ბრეშანი 67), დი ლივიო, რუი კოშტა, ნუნუ გომეში (ადანი 77), კიეზა (ტაროცი 89)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
7 000 მაყურებელი

**„მილანმა"** და „ფიორენტინამ" იტალიის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი „სან სიროზე" ფრედ 2:2 ითამაშეს და ფინალისტის გარკვევა ფლორენციაში ჩასატარებელი მატჩისთვის გადადეს, თუმცა ვინაიდან იმ შეხვედრაში მასპინძელი „ფიორენტინა" იქნება, ოდნავი უპირატესობა, ალბათ, მაინც მის მხარესაა. რომ არა შეცვლაზე შესული მილანელი ფედერიკო ჯუნტი და მატჩის წამატებულ მესამე წუთზე 25 მეტრიდან ფლორენციელთა კარში ჩინებულად შეგდებული ჯარიმა, „ფიორენტინას" უპირატესობა უფრო დიდი ექნებოდა, მაგრამ... „მილანი" თავისი ნახევარმცველის სიყოჩაღემ და ფეხამ გადაარჩინა შინ წაგებას.

ამ მატჩს ერთი ასეთი ინტრიგა უძღოდა წინ: ორიოდ კვირის წინ ფლორენციაში ჩასული მილანელები მასპინძლებმა 4 უპასუხო ბურთით გაუშვეს უკან. ეს იყო სერია A-ს მატჩში. ასე რომ, „სან სიროს" მკვიდრთაგან რევანშს ელოდნენ, რომელიც არ შედგა.

პირველი გოლი კი „ფიორენტინამ" მე-18 წუთზე გაიტანა — მანუელ რუი კოშტას დარტყმული კრისტიან აბიატიმ მოიგერია, იქვე ენრიკო კიეზა გაჩნდა და ბურთი კარში შეაგდო. „მილანმა" ამბროზინის ლამაზი გოლით გაათანაბრა: ნახევარმცველმა მკერდზე მიიღო ბურთი და მაკრატელათი კარში გაგზავნა — ტოლდო უძლური აღმოჩნდა. „მილანი" და სან სირო" შეცვლაზე შესულმა ფლორენციელმა მაურო ბრეშანიმ მეორედ დაამწუხრა, როცა კიეზას კარგი პასი გამოიყენა. ბოლოს კი მსაჯის წამატებულ წუთებზე ჯუნტიმ იყოჩაღა, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

**ნიკა ჩუგლაძე**

# ერაყისთვის მიუღებელია

**ერაყის** ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას გადაწყვეტილება გაუპროტესტა — 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის აზიის ზონის მეექვსე შესარჩევი ჯგუფის მატჩები ნეპალიდან ყაზახეთში რომ გადაიტანეთ, დიდი უსამართლობააო.

თავდაპირველი გადაწყვეტილებით, ამ ჯგუფის შეხვედრები 25-29 მარტს ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში უნდა გამართულიყო, მაგრამ მოულოდნელად ფიფამ თამაშების ჩატარების ახალი ვადა და ახალი ადგილი შეარჩია — 21-25 აპრილს ტურნირს ალმა-ათამ უმასპინძლოსო. ერაყის ფეხბურთის ფედერაციის მამებიც ამ ამბავმა აღაშფოთა.

„ჩვენთვის ალმა-ათაში თამაში სავსებით მიუღებელია, რადგან იქ თამაში მასპინძელ ყაზახეთის ნაკრებს ძალიან დიდ უპირატესობას აძლევს" — წერია ერაყის დიქტატორის სადამ ჰუსეინის უფროსი ვაჟის, უდეი ჰუსეინის მიერ ფიფასთვის გაგზავნილ საპროტესტო წერილში. ცნობისთვის, უდეი ჰუსეინი ირანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია.

ერაყელებმა მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას გამოსავალიც შესთავაზეს — ჯგუფის შეხვედრები ან ნეიტრალურ ქვეყანაში, იორდანიაში გადავიტანოთ, ანაც მატჩები ყველასთვის ნაცნობი პრინციპით, მიმოსვლით (შინ და სტუმრად) ჩავატაროთო.

მეექვსე შესარჩევ ჯგუფში ერაყისა და ყაზახეთის ნაკრებების გარდა მაკაოსა და ნეპალის ეროვნული გუნდებიც თამაშობენ, თუმც მათი დევიზია — „მთავარია მონაწილეობა".

შემდგომ, მეორე ეტაპზე, მხოლოდ პირველ ადგილზე გასული გუნდი მოხვდება. ასე რომ, ყაზახებსა და ერაყელებს დიდი ბრძოლა ელით, რათა წლის ბოლოს მეორე შესარჩევ ეტაპზე ითამაშონ. მეორე ეტაპის ჯგუფში პირველ-მეორე ადგილოსნები 2002 წელს კორეა-იაპონიაში ითამაშებენ.

# აურზაური არაფრის გამო ხალხო, გაიგებინეთ რამე ჯალმინიას

**დღეს** „ბილბაო" — „დეპორტივოს" შეხვედრაში ლაკორუნიელთაგან ჯალმინია ვერ ითამაშებს. ეს ახალი ამბავი არაა: „ვალენსიასთან" მატჩის შემდეგ ფიცხმა ბრაზილიელმა თანაგუნდელ ვიქტორს მუშტი უთავაზა, აქაოდა, დავიდ ალმეიდას მინდორზე საქმეს რომ ვურჩევდი, გაშველება როგორ გაბედაო. გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში მომხდარი ეს ინციდენტი მსაჯმაც შენიშნა და ტელეკამერამაც. მერე ის სადისციპლინო კომიტეტის მსჯელობის საგნად იქცა და ჯალმინიას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოეწერა.

ეს ყველაფერი ადრეც ვთქვით. ისიც გვეწერა, რომ ჯალმინია სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას სასამართლოში აპროტესტებს და გამარჯვების იმედიც აქვს. მისი არგუმენტი ასეთია: ჩხუბი მოედნის გარეთ, მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მოხდა, თან თანაგუნდელთან მოუვიდა უსიამოვნება და არა მეტოქე ფეხბურთელთან. ჰოდა, მე სადღაც რაღაც შემემთხვა, სადისციპლინო კომიტეტს ვინ ეკითხებაო — განსჯის ბრაზილიელი.

სასამართლომ ჯალმინიას არგუმენტი ეგებ საფუძვლიანადაც მიიჩნიოს, მაგრამ პროცესი ჯერ არ შემდგარა, „ბილბაოსთან" მატჩი კი რამდენიმე საათში დაიწყება. ფეხბურთელი თვლის, რომ სასამართლომდე სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას ძალა არა აქვს და ბილბაოს „სან მამესზე" გასვლას ლამობს.

არადა, „დეპორტივოს" მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ გასაგებად თქვა, ჯალმინიასთვის დისკვალიფიკაციის მიცემას კლუბი არ აპროტესტებს და გადაწყვეტილების თანახმად, შემადგენლობაში არ გვეყოლებაო. საერთოდაც, ჯალმინიას ვურჩიეთ, სარჩელი არ შეეტანა — სასამართლოში სირბილს ვარჯიშზე სირბილი ჯობსო.



ჯალმინია სამი კაცის კი არა, მთელი ქვეყნის მოტყუებას ლამობს

ხომ ყველაფერი გასაგებია? დიახ, მაგრამ არა ჯალმინიასთვის და ის მაინც ჯიუტად გაიძახის თავისას, თუმც ცხადია, რომ ირურეტა მის მოთხოვნას ყურად არ იღებს და სადისციპლინო კომიტეტს კლუბის დასჯის საბაბს არ მისცემს.

ამასობაში ბილბაოელები იმუქრებიან, სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება თუ არ შესრულდა და ჯალმინია თუნდაც სათადარიგოთა სკამზე შევნიშნეთ, თამაშს ჩავშლითო.

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანურ** „ვალენსიას" „რივერ პლეიტის" 21 წლის ფეხბურთელის პაბლო აიმარის შეძენა სურს. იუწყებიან, რომ პრიმერადივიზიონელებმა სამხრეთამერიკელებს 18,2 მილიონი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ არგენტინელები არ დათანხმდნენ — თანხა ეცოტავათ, „ვალენსია" კი მეტის გადახდას უარობს. ესპანური კლუბის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, მეტი ფულის შეთავაზება გამართლებული არ იქნება.

**ფრანგულმა „ლიონმა" ბრაზილიელი მცველი კლაუდიო კასაპა და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდი პატრის ლოკო ინათხოვრა. „ატლეტიკო მინეიროს" ფეხბურთელი კასაპა 24 წლისაა. იგი „ლიონში" სეზონის ბოლომდე ითამაშებს, ხოლო ამის შემდეგ კლუბმა, შესაძლოა, საბოლოოდ შეისყიდოს. აღსანიშნავია, რომ მას ბრაზილიის ნაკრებში ოთხი მატჩი აქვს ჩატარებული. „ლიონში" ლოკოც სეზონის ბოლომდე დარჩება. 30 წლის თავდამსხმელი აქამდე მეორედივიზიონური „მონპელიეს" ღირსებას იცავდა, ისე კი, უთამაშია „ნანტში", „პარი სენ ჟერმენსა" და „ლორიანში". ლოკომ საფრანგეთის ნაკრებში სულ 26 შეხვედრა გამართა და 7 გოლი გაიტანა.**

**რუსულმა** „სატურნმა" მწვრთნელი ვლადიმირ იურინი გაათავისუფლა. არადა, 53 წლის სპეციალისტი თანამდებობაზე ოთხი კვირის წინ დანიშნეს, ხოლო ასე მალე იმიტომ დაითხოვეს, რომ „სატურნმა" წინასასეზონო ამხანაგური შეხვედრები წააგო. გუნდს დროებით ვლადიმირ შევჩუკი უხელმძღვანელებს.

**ფრანგულ პსჟ-ს ორი ახალწვეული ჰყავს. უკვე გაუწყეთ, რომ პარიზულმა კლუბმა ნახევარმცველი სტეფან დალმა „ინტერში" გაუშვა, ხოლო სანაცვლოდ „პარკ დე პრენსზე" ბრაზილიელი ნახევარმცველი ვამპეტა გადაიყვანა. იმავდროულად, „პარი სენ ჟერმენში" არგენტინელი მცველი მაურისიო პოჩეტინოც ჩაირიცხა. მის სანაცვლოდ „ესპანიოლმა" 2,8 მილიონი დოლარი მიიღო.**

**ფრანგი** მცველი უილიამ გალასი „მარსელის" მწვრთნელ ხავიერ კლემენტეს შეედავა, რის გამოც კლუბში, ალბათ, აღარ დარჩება. „მან დაცვის ცენტრში თამაში მოითხოვა, სადაც ბრუნო ნგოტი და ზუმანა კამარა არიან გამწესებული. ტაქტიკას მე ვირჩევ და ვუთხარი, რომ სხვა პოზიციაზე ვათამაშებდი. ამიტომაც შევკამათდით" — თქვა კლემენტემ.

# გუშინ ჩემპიონმა ხომ არ ითამაშა?

## გერმანია

**ზუსტად** 40-დღიანი პაუზის შემდეგ წუხელ ბუნდესლიგის ჩემპიონატი განახლდა. დიდი ხანია, ბუნდესლიგის ცხრილის სათავეში ასეთი სიმჭიდროვე არ ყოფილა. „შალკე", „ბაიერნი", „დორტმუნდი", „ლევერკუზენი" — საჩემპიონო სინზე ერთბაშად ოთხი კლუბი აცხადებს პრეტენზიას. პირველ და მეოთხე ადგილზე მყოფს კი სულ სამი ქულა აშორებთ ერთმანეთთან.

არდადეგების დროს სატრანსფერო ბაზარზე დიდი ციებ-ცხელებაა ხოლმე, მაგრამ ამ ზამთარზე ამას ვერ ვიტყვით. „შალკემ" და „ბაიერნმა" პასიურობა ამჯობინეს და სატრანსფერო ბაზრისკენ საერთოდ არ გაუხედიათ. სამაგიეროდ, „დორტმუნდმა" რეკორდი დაამყარა: უცხოელში ერთბაშად 25 მილიონი მარკა გადაიხადა. რეკორდსმენი ჩეხი ტომაშ როსიცკი გახდა, ვისზეც „ბაიერნსაც" ეჭირა თვალი.

35 მილიონი მარკა (17,8 მილიონი დოლარი) დაუჯდათ ლევერკუზენელებს სამი ფეხბურთელი — ლუსიო, დიეგო პლასენტე და ბერბატოვი. „ბაიერნის" პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს თუ ვენდობით, ეს ტრიო „ლევერკუზენმა" იმ თანხით შეიძინა, რომელიც კლუბის სპონსორმა, ფარმაცევტულმა ფირმა „ბაიერმა" სახელმწიფოს დაუმალა. სხვა ხმაურიანი ტრანსფერი არ შემდგარა.

–გერმანიის ჩემპიონატი 21-ე საუკუნეში წუხელ „შალკე" — „ჰანზას" მატჩით განახლდა. ნეტავ, გუშინ ჩემპიონმა ხომ არ ითამაშა?

**ვანო ოქროპირიძე**

## გერმანული ზამთრის ტრანსფერები

| | | |
|---|---|---|
| **ბორუსია (დორტმუნდი)** | | |
| ნავიდნენ | ვლადიმირ ბუტი | (ფრაიბურგი, 386 000 დოლარი) |
| | იბრაჰიმ ტანკო | (ფრაიბურგი, უფასოდ) |
| მოვიდნენ | ტომაშ როსიცკი | (სპარტა, ჩეხეთი, 12 000 000) |
| | იან დერეკ სორენსენი | (რუსენბორგი, ნორვეგია, 720 000) |
| | კონორ კესლი | (პორტლენდ იუნივერსიტი, აშშ, უფასოდ) |
| **ბაიერნი (მიუნხენი)** | | |
| ნავიდნენ | თომას შტრუნცი | (?, უფასოდ) |
| | ენდრიუ სინკალა | (კიოლნი, გაანათხოვრეს) |
| **ბაიერი (ლევერკუზენი)** | | |
| ნავიდა | ტორბენ ჰოფმანი | (მიუნხენ 1860, 720 000) |
| მოვიდნენ | და სილვა ფერეირა ლუსიო | (ინტერნასიონალი, ბრაზილია, 8 400 000) |
| | დიეგო პლასენტე | (რივერ პლეიტი, არგენტინა, 7 000 000) |
| | დიმიტარ ბერბატოვი | (ცსკა, ბულგარეთი, 2 400 000) |
| **კაიზერსლაუტერნი** | | |
| ნავიდნენ | სამირ იბრაჰიმი | (ალ ქაირო, ეგვიპტე, 144 000) |
| | იგლი ტარე | (ბრეშა, იტალია, ?) |
| მოვიდა | ნენად ბიელიცა | (ოსიეკი, ხორვატია, 480 000) |
| **ჰერტა (ბერლინი)** | | |
| ნავიდნენ | ბრაიან როი | (ბრედა, ჰოლანდია, უფასოდ) |
| | რუი მარკეში | (შტუტგარტი, გაანათხოვრეს) |
| მოვიდა | სედ ზელიჩი | (?, უფასოდ) |
| **ვოლფსბურგი** | | |
| ნავიდა | ბრაიან ონილი | (დერბი ქაუნთი, ინგლისი, უფასოდ) |
| მოვიდნენ | სტეფან შნური | (დერბი ქაუნთი, ინგლისი, უფასოდ) |
| | ემეკა იფეიაგვა | (ოსასუნა, ესპანეთი, ინათხოვრეს) |
| **კიოლნი** | | |
| ნავიდა | ივან ვუკომანოვიჩი | (ბორდო, საფრანგეთი, გაანათხოვრეს) |
| მოვიდა | ენდრიუ სინკალა | (ბაიერნი, ინათხოვრეს) |
| **ფრაიბურგი** | | |
| მოვიდნენ | ვლადიმირ ბუტი | (ბორუსია, დორტმუნდი, 386 000) |
| | გიორგი კიკნაძე | (ტორპედო, ქუთაისი, 48 000 მარკა) |
| **მიუნხენ 1860** | | |
| ნავიდნენ | მარტინ ჩიჟეკი | (უნტერჰახინგი, 720 000 დოლარი) |
| | კრისტიან პროსენიკი | (აუსტრია, ავსტრია, უფასოდ) |
| მოვიდნენ | ვიდარ რისეტი | (სელტიკი, შოტლანდია, ინათხოვრეს +48 000) |
| | ტორბენ ჰოფმანი | (ბაიერი, ლევერკუზენი, 720 000) |
| | დანიელ ამოკაჩი | (?, უფასოდ) |
| **ჰამბურგი** | | |
| ნავიდნენ | კრისტოფ ბაბაცი | (მაინცი, 48 000) |
| | ჰარალდ შპიორლი | (ალენი, უფასოდ) |
| მოვიდნენ | ერიკ მეიერი | (ლივერპული, ინგლისი, უფასოდ) |
| | ტომაშ იუჟფალუში | (სიგმა, ჩეხეთი, 1 400 000) |
| **ვერდერი (ბრემენი)** | | |
| მოვიდნენ | ლი დონგი | (პოხანგ სტილერსი, ?, ინათხოვრეს +72 000) |
| | ენრიკო კერნი | (ტენის ბორუსია, ბერლინი, უფასოდ) |
| **უნტერჰახინგი** | | |
| მოვიდნენ | აბდელაზიზ აჰინფუფი | (ჰანზა, 120 000) |
| | მარტინ ჩიჟეკი | (მიუნხენ 1860, 720 000) |
| **ჰანზა (როსტოკი)** | | |
| ნავიდა | აბდელაზიზ აჰინფუფი | (უნტერჰახინგი, 120 000) |
| მოვიდა | ბაშირუ სალუ | (აინტრახტი, ინათხოვრეს +168 000) |
| **აინტრახტი (ფრანკფურტი)** | | |
| ნავიდნენ | ბაშირუ სალუ | (ჰანზა, გაანათხოვრეს) |
| | ალექსანდრ როსენი | (ოსნაბრუკი, უფასოდ) |
| მოვიდნენ | კარელ რადა | (სლავია, ჩეხეთი, 670 000) |
| | პაველ კრიჟალოვიჩი | (ამიცა, პოლონეთი, 1 200 000) |
| | ტომი ბერნსტენი | (ლილესტრიომი, ნორვეგია, 1 400 000) |
| | ანდრეას მენგერი | (?, უფასოდ) |
| **კოტბუსი** | | |
| ნავიდა | ტორალფ კონეცკი | (ზანქტ პაული, უფასოდ) |
| მოვიდნენ | საბინ ილიე | (ვალენსია, ესპანეთი, ინათხოვრეს +96 000) |
| | მოჰამედ ლაქჰოული | (რაჯა კასაბლანკა, მაროკო, ?) |
| **შტუტგარტი** | | |
| მოვიდნენ | რუი მარკეში | (ჰერტა, ინათხოვრეს) |
| | ადემარი | (სან კაეტანო, ბრაზილია, 1 200 000) |
| **ბოხუმი** | | |
| ნავიდნენ | იოახიმ ვებერი | (ობერჰაუზენი, უფასოდ) |
| | რენე მიულერი | (ობერჰაუზენი, უფასოდ) |
| მოვიდნენ | სორენ კოლდინგი | (ბრონდბიუ, დანია, ?) |
| | ტომას კრისტიანსენი | (ჰერფიოლგე, დანია, 480 000) |



# ტოტის კონტრაქტი

„**რომას**“ ხელმძღვანელებს დიდი იმედი აქვთ, რომ კაპიტან ფრანჩესკო ტოტის ახალ კონტრაქტზე მოაწერინებენ ხელს. ხვალ სამხრეთიტალიური დერბია — „რომა“ „ნაპოლის“ ხვდება და დედაქალაქური კლუბის მოხელეთა ვარაუდით, ყველა სავალდებულო ფორმალობა სწორედ ამ თამაშამდე უნდა მოგვარდეს. ტოტი „რომას“ აღზრდილია, ყმაწვილობიდან იქ თამაშობს და გუნდის ქომაგებსაც განსაკუთრებით უყვართ. კლუბის ხელმძღვანელობა ძალიან კარგად ხვდება, რომ სხვა მოთამაშეებზე მეტად სწორედ ფრანჩესკოს გაშვება არ ეპატიება და კონტრაქტის გახანგრძლივებასაც ამიტომ ჩქარობს.

კაპიტანს კლუბთან მიმდინარე შეთანხმება გაისად უსრულდება, მისი გადაბირების მსურველთა რიგი კი ძალიან გრძელია. რამდენიმე თვის წინ ტოტიმ უკმაყოფილება გამოთქვა, რომ შესაფერის ხელფასს ვერ უხდიან. ერთხელ წამოსცდა კიდეც, გაბრიელ ბატისტუტაზე ნაკლები რითი ვარ, იმდენივე ჯამაგირს რატომ არ უნდა ვიღებდეო. მერე დაიმუქრა, ბავშვობიდან მადრიდის „რეალზე“ ვოცნებობ და თუ ჩემი მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეგიძლიათ, ფეხს დავკრავ და რომის „ოლიმპიურიდან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ამოვყოფ თავსო...

„რომას“ მოხელეებმაც კონტრაქტი მოამზადეს. მისი სავარაუდო ვადა 2005 წლამდეა. იმასაც ამბობენ, რომ თუ ტოტი ხელს მოაწერს, უმალ იტალიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. აი, ასეა ტოტის საქმე.



„ჩელსის“ კაპიტანი დენის უაიზი საამიროელ სტიუარდესებთან ერთად

# მიქრის, მიმაფრენს...
## „ჩელსიმ“ არაბული ფულები იშოვა

**ლონდონის** „ჩელსი“ 24 მილიონი გირვანქით გამდიდრდა მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალი სეზონიდან და სამი წლის განმავლობაში მის მაისურებს ახალი სარეკლამო წარწერა, „Fly Emirates“ დაამშვენებს. დუბაის ავიაკომპანიამ დასავლეთლონდონელთა მილიონერ მფლობელ კენ ბეიტსთან ხელშეკრულება დადო და კლუბის ამჟამინდელი სპონსორი, ფირმა „აუტოგლასი“ შეცვალა. ეს გარიგება ამდაგვართა შორის სიდიდით მეორეა მთელს პრემიერლიგაში — შარშან სატელეფონო კომპანია „ვოდაფოუნმა“ თავისი სახელის რეკლამირებისთვის „მანჩესტერ იუნაიტედს“ 35 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

„ეს ფული გუნდის ახალი საწვრთნელი ბაზისა და მოზარდთა აკადემიის გაუმჯობესებას მოხმარდება“ — განაცხადა კენ ბეიტსმა, რომელმაც კვირის დასაწყისში კიდევ ერთი სარფიანი გარიგება გაახერხა — მისი კლუბი კიდევ 10 წელი „უმბროს“ ფორმით ითამაშებს, რისთვისაც ამ ბრიტანულმა ფირმამ 40 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

რაც შეეხება წმინდა საფეხბურთო საქმიანობას, ჩელსელები გამალებით ეძებენ გუნდზე გულაყრილი ფრანკ ლებეფის შემცვლელს და ახლა „მიდლსბროს“ მიადგნენ იტალიელი ცენტრალური მცველის, 31 წლის ჯანლუკა ფესტას საყიდლად. რატომ მაინცდამაინც ფესტა? ალბათ იმიტომ, რომ ეს კაცი თავის დროზე კლაუდიო რანიერის „კალიარიში“ თამაშობდა, ხოლო სად მუშაობს ახლა რანიერი, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ.

**გიგა ძოგახიძე**

# არ იყო არაბეთს დიეგო

**დიდი** ზარ-ზეიმით ემზადებიან არაბთა გაერთიანებული საამიროების ფეხბურთის მესვეურნი თავიანთი ნაკრების კაპიტნის აბდულ რაჰმან მოჰამედის დიდი სპორტიდან გამოსამშვიდობებელი მატჩისთვის. არაბები მთელი მსოფლიოდან უხმობენ ახლანდელ თუ ჩამქრალ ვარსკვლავებს მოჰამედის ბენეფისზე, რომელიც 7 თებერვალს დუბაიში შედგება.

მოწვეულ სტუმართა შორის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი დიეგო არმანდო მარადონა უნდა ყოფილიყო. ბოროტი ენები ამბობენ, მატჩის ორგანიზატორებმა მოჰამედის დაფასებაში 275 ათასი დოლარი შეაძლიესო, თუმც მასპინძლები ამას უარყოფენ — დიეგოს არაბულ მიწაზე დაბიჯების სურვილი წრფელი და უანგარო იყოო.


დიეგო მარადონა: ზამ-თარ-ში!

მოკლედ, შეიკრიბა არაბული ფეხბურთის ფანობა და დარაზმული მიადგა ოთხშაბათ დილით დუბაის საერთაშორისო აეროპორტს, სადაც ფრანკფურტი — დუბაის რეისს დიდი დიეგო უნდა ჩამოჰყოლოდა. გაბრიყვდნენ: ფრანკფურტის თვითმფრინავიც ჩამოფრინდა და ბევრი სხვისიც, ნაკოკაინარისტი მარადონა კი არსად ჩანდა.

გულშემატკივრები, ცხადია, გაავდნენ და დამნაშავის ძებნას შეუდგნენ — საამიროთა ფეხბურთის ფედერაციას მიაკითხეს, უთუოდ თქვენ მოგვატყუებდით, თორემ მარადონა უმსგავსო საქციელს როგორ ჩაიდენდაო.

ფედერაციის პრეზიდენტმა მოჰამედ აბდულ ქარიმ ჯალფარმა (ქარიმ აბდულ ჯაბარში არ აგერიოთ) სიმწრით გააქნია თავი, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ თავადაც მწარედ მოატყუეს და თქვა, ამ საქმეში უბრალონი ვართ, მარადონა ჩამოსვლას მართლაც დაგვპირდა და დაგვაღალატა. თუ არ გჯერათ, მის წარმომადგენელს ჰკითხეთო.

მარადონას წარმომადგენელს ახლო აღმოსავლეთში მოჰამედ ჰამიდა ჰქვია და ამბობს, მარადონამ დამავალა, მისი სახელით ბოდიში მომეხადა და მეთქვა, რომ აუცილებლად ჩამოვაო.

ამ კაცის სიტყვები ფედერაციის სიმართლეს ადასტურებს, თუმცა ჯალფარი მაინც უკმაყოფილოა — მართალია, ჩვენდა უნებურად, მაგრამ ხალხი მაინც შეცდომაში შევიყვანეთ, რაც ჩვენს ავტორიტეტზე იმოქმედებს. ამიერიდან რამეს რომ ვიტყვით, ხალხი აღარ დაგვიჯერებსო.

ბოლოს და ბოლოს, ჩავა დიეგო არმანდო დუბაიში თუ არა? აბა, რა ვიცით. განა მარადონას რამეს გაუგებ? ჯალფარიც ამას ამბობს, მისი აგენტი კი ირწმუნება, ჩამოვაო, მაგრამ სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ ტრაპიდან ჩამომავალს, არ დავიჯერებ. საერთოდ კი უკვე სულერთია, ასეთ ჩამოსვლას რაღა ფასი აქვსო. ფედერაციის პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ მოლაპარაკებისას მარადონას განუცხადებია, მეგობრებთან ერთად ჩამოვალ და მათი ყველა ხარჯიც თქვენ უნდა გაისტუმროთო. პრეზიდენტს ამაზე უარი შეუთვლია, მე შენ გეპატიჟები, თორემ შენი საძმაკაცოს ვალი კი არ მაქვსო. ეგებ, დიეგოს საამიროებში არჩასვლის მიზეზიც ეს იყოს. რას გაიგებ?



ფრანც ბეკენბაუერი

# იღბლიანი კაცი იღბლიან დროს და იღბლიან ადგილზე

„**1984 წელს** გერმანიის ნაკრები ორი წლით ჩავიბარე, მაგრამ ისე მოხდა, რომ თანამდებობაზე 1990 წლამდე ვიმუშავე და ჩემი გარჯა მსოფლიოს ჩემპიონობით დავაგვირგვინე“ — აღნიშნა მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა გაზეთ „ბილდთან“ საუბარში. მას ძველის გახსენება იმიტომ დასჭირდა, რომ მერე ერთი საგულისხმო რამ დაემატებინა — ძალიან ვამსგავსებ ერთმანეთს ჩემს წარსულს და რუდი ფიოლერის მომავალს. მან ახლახან საფეხბურთო კავშირთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ მე თუ მკითხავთ, იგი გუნდში ბევრად მეტხანს უნდა დარჩეს, მაგალითად, 2006 წლის შემოდგომამდე მაინც“.

რას ნიშნავს ბეკენბაუერის სიტყვა გერმანულ ფეხბურთში, ყველას მოეხსენება. იგი უდიდესი გავლენით სარგებლობს. აკი, დაუმის ნარკომანობის დამტკიცების შემდეგ თქვა კიდეც, ფიოლერი უნდა იყოსო. ასეც მოხდა — საფეხბურთო კავშირმა მწვრთნელს დროებითი კონტრაქტის გაუქმება და ახალი ორწლიანი ხელშეკრულების დადება შესთავაზა.

ახლა კი „კაიზერ ფრანცი“ ფიოლერის კიდევ უფრო დიდი ხნით დატოვებაზე საუბრობს და მიზეზად, „მეფე რუდის“ ბოლოდროინდელ შედეგებს ასახელებს.

2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატს გერმანიამ უნდა უმასპინძლოს. იმ ჩემპიონატზეც ფიოლერი უნდა თავკაცობდეს ნაკრებსო — ფიქრობს „ბაიერნის“ პრეზიდენტი, რომელიც რუდის სრულ მხარდაჭერას ჰპირდება.

„რუდი სჭირდება გერმანიის ეროვნულ გუნდს. მან ნაკრებს ახალი სისხლი გადაუსხა, რომელიც აქამდე ასე აკლდა. ფიოლერი იღბლიანი კაცია, იღბლიან დროს და იღბლიან ადგილას. იგი 2006 წლამდე უნდა დარჩეს“ — დასძინა ბეკენბაუერმა.

**განო ოქროპირიძე**

# სადაც ფიგუ, იქაც რუი კოშტა

**ესპანეთში** გავრცელებული ინფორმაციით, მადრიდის „რეალი“ ახლო მომავალში „ფიორენტინას“ ხელმძღვანელობასთან აპირებს მოლაპარაკებების დაწყებას, რათა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კიდევ ერთი პორტუგალიელი, მანუელ რუი კოშტა გადაიყვანოს. „სამეფო კლუბი“ ძლიერ გამთამაშებლებს ეძებს. შეგახსენებთ, რომ მადრიდელებს ზინედინ ზიდანის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ ამ დღეებში მათ იმედები საბოლოოდ გადაეწურათ — ფრანგმა განაცხადა, რომ კარიერის დასრულება ტურინის „იუვენტუსში“ სურს და წასვლას არსად აპირებს.


რუი კოშტა

ამის შემდეგ რუი კოშტას კანდიდატურა წამოიწია. ერთი, რომ მანუელი ძლიერი ცენტრალური ნახევარმცველია და კიდევ — მისი თანამემამულე ლუიშ ფიგუ „რეალში“ თამაშობს. ეს ორი ფეხბურთელი პორტუგალიის ნაკრებში კარგად უგებს ერთმანეთს და თან ძალიან ახლო მეგობრები ყოფილან. ისე, რუი კოშტას გადაბირებაში მადრიდის „რეალს“ კონკურენტიც აღმოაჩნდა — „მილანი“.

ფლორენციული კლუბის ხელმძღვანელთა აზრი ჯერჯერობით უცნობია. არადა, ეს დიდად გასათვალისწინებელი ამბავია, რადგან რუი კოშტამ, რომელმაც „არტემიო ფრანკიზე“ შვიდი წელი გაატარა, შარშან შემოდგომაზე კლუბთან კონტრაქტი 2004 წლამდე გაახანგრძლივა.

რუი კოშტა ლისაბონში დაიბადა და 12 წლიდან „ბენფიკას“ საფეხბურთო აკადემიაში იზრდებოდა, 17 წლისა კი კლუბმა დროებით მესამედივიზიონურ „ფაფაში“ გაანათხოვრა. იქ ერთი სეზონი ითამაშა და დივიზიონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. 1991 წელს რუი კოშტა და მისი პორტუგალიელი თანატოლები ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონებიც გახდნენ. იმავე წელს ნახევარმცველი „ბენფიკამ“ უკან დაიბრუნა. ლისაბონურ კლუბს მაშინ სვენ გორან ერიკსონი წვრთნიდა და შვედმაც სწორედ რუი კოშტას გარშემო ააგო გუნდი და ლიდერის ფუნქცია მას დააკისრა. 1994 წელს რუი კოშტა და „ბენფიკა“ პორტუგალიის ჩემპიონები გახდნენ, ოდნავ მოგვიანებით იგი „ფიორენტინამ“ 8 მილიონ დოლარად შეიძინა.

**ნიკა შუბლაძე**

# შმაიხელმა უნდა დაამტკიცოს, რომ...



პეტერ შმაიხელი

**დანიელ** მეკარე პიტერ შმაიხელს თავის ამჟამინდელ კლუბ ლისაბონის „სპორტინგში" საფუძველი შეერყა.

„არავის ეგონოს, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ჰქონდეს. ეს განსაკუთრებით შმაიხელს ეხება" — განუცხადა მანუელ ფერნანდესმა პორტუგალიელ ჟურნალისტებს.

ორიოდე დღის წინ „სპორტინგის" სამწვრთნელო შტაბში დიდი ცვლილებები მოხდა. გუნდი სწორედ მანუელ ფერნანდესმა ჩაიბარა, კაცმა, რომელიც წლების განმავლობაში თავადაც თამაშობდა „სპორტინგში" და საკმაოდ წარმატებითაც — ორჯერ პორტუგალიის ჩემპიონიც გახდა.

ფერნანდესი გუნდში მისვლისთანავე ფეხბურთელებს გაეცნო, სათითაოდ დაელაპარაკა და მითითებებიც მისცა. რა უთხრა შმაიხელს?

„შენ უნდა დაამტკიცო, რომ ძირითადში ადგილი გეკუთვნის" — სწორედ ეს სიტყვები მოისმინა სახელოვანმა მეკარემ ახალი მწვრთნელისგან.

„სპორტინგს" განაცხადში სულ ორი მეკარე ჰყავს — შმაიხელი და ნელსონი. აქამდე ნელსონი სულ დანიელის ჩრდილქვეშ იდგა, თუმცა ცოტა ხნის წინ ვეტერანმა გოლკიპერმა ტრავმა მიიღო და ნელსონსაც თავის გამოჩენის შანსი მიეცა.

ფერნანდესს თუ ჰკითხავთ, გუნდში ორი თანაბარი ძალის მეკარე ჰყავს, კარის დაცვას კი მას ანდობს, რომელიც კონკრეტული მატჩისთვის უკეთეს ფორმაში იქნება: „მინდა შმაიხელმა იცოდეს, რომ ძირითადში ადგილის დასაბრუნებლად მარტო ტრავმისგან განკურნება არ უშველის. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ნელსონზე ძლიერია. პიტერმა ძირითადისთვის უნდა იბრძოლოს" — აცხადებს ახალი მწვრთნელი.

რას ფიქრობს ამასთან დაკავშირებით 1992 წლის ევროპის ჩემპიონი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ფერნანდესის განცხადება რომ არ მოეწონებოდა, ცხადია. მისთვის საკითხი ასე „მანჩესტერ იუნაიტედშიც" არ დაუყენებიათ, კლუბში სადაც მისი ვარსკვლავი გაბრწყინდა.

ცოტა ხნის წინ შმაიხელი „სპორტინგიდან" წასვლას აპირებდა, თუმცა ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობას კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელებაზე დასთანხმდა.

# ბარტეზს მაინც გავუტან

**„იმედი** მაქვს, მალე საბოლოოდ გამოვჯანმრთელდები და ძველ ფორმას აღვიდგენ, ქომაგებს ჯერ კიდევ ბევრი სიხარული უნდა მივანიჭო" — თქვა მილანის „ინტერის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ლუიშ ნაზარიო და ლიმამ, იგივე რონალდომ ესპანურ გაზეთ „AS"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელსაც აშკარად ოპტიმისტური ელფერი დაჰკრავდა.

„იმას, რაც ვერ შევძელი 1998 წელს, 2002 წელს გავაკეთებ — მსოფლიოს ჩემპიონატზე ფაბიენ ბარტეზს გოლს გავუტან, ოღონდ მთავარია, ჩემმა ჯანმრთელობამ იაპონია-კორეაში თამაშის საშუალება მომცეს" — იმუქრება 24 წლის ფეხბურთელი, რომელსაც აღიარება-ტიტულები არ აკლია.



რონალდოს სიარული აღარ უჭირს

„ჩემი ფეხბურთში დაბრუნების ზუსტ თარიღს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ვფიქრობ, იგი აღარ გაიწელება. უკვე აღარ ვგრძნობ მუხლში ტკივილებს და ეს უდავოდ დიდი პლუსია. დაბრუნებას პირადად მე არ დავაჩქარებ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჩემთვის მთავარია, ბოლომდე გამოვჯანმრთელდე და ძველებურად ავთამაშდე, მაშინდელი ფორმა 100 პროცენტით უნდა აღვიდგინო" — ეიმედება რონალდოს.

1996 და 1997 წლების მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ბრაზილიელი სხვა თემებსაც შეეხო. კერძოდ, ლუიშ ფიგუზე ისაუბრა და გულისტკივილი გამოთქვა, კატალონიელები უსამართლოდ მოექცნენ, ასეთ მოპყრობას არ იმსახურებდაო.

მოგეხსენებათ, პორტუგალიელი ნახევარმცველის ამ ზაფხულს „ბარსელონადან" მადრიდის „რეალში" გადასვლამ კატალონიაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მას შემდეგ ფიგუს „ბარსელონას" ქომაგთაგან მხოლოდ ლანძღვა-გინება ესმის. რონალდომ, რომელმაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის სახელი სწორედ „ბარსაში" თამაშისას მოიხვეჭა, ფიგუს მხარი დაუჭირა.

„მე თვითონაც ვერ დავრჩებოდი ისეთ გუნდში, სადაც პრეზიდენტს ჩემდამი უნდობლობა ექნებოდა. ფიგუ რომ „ბარსელონადან" წავიდა, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. მგონი, მე რომ 1997 წელს ეს კლუბი დავტოვე და „ინტერში" წავედი, არც ამაში ყოფილა რაიმე განსაკუთრებული. მაშინ ეს ამბავი ყველამ ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვა. არადა, მაშინაც აბსოლუტურად ანალოგიური სიტუაცია იყო, „ბარსადან" იმიტომ წავედი, რომ კლუბის მაშინდელი პრეზიდენტი ხოსე ლუის ნუნიესი ზოგიერთ თავის პირობას არ ასრულებდა. გუნდში ველარ გავჩერდებოდი" — თქვა რონალდომ.

ბრაზილიელი გულშემატკივრების მთავარმა იმედმა ისიც დააყოლა, ფიგუ ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთელია, მსოფლიოში საუკეთესოც კი, ამიტომაც გამიკვირდა, ფიფამ საუკეთესო მოთამაშის ტიტული სხვას (ზიდანს) რომ არგუნაო.

***1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს და 98 წლის პირველობის ვერცხლის მედლის მფლობელი, 34 წლის მეკარე კლაუდიო ტაფარელი, რომელსაც ბრაზილიის ნაკრებში 113 შეხვედრა ჩაუტარებია, ახლა სტამბოლის „გალათასარაის" ღირსებას იცავს, სწორედ იმ კლუბის, შარშან უეფას თასი რომ მოიგო. მაშინ თურქთა ბრაზილიელი ფინალის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. გამოცდილი მეკარე „ფიფა მეგეზინის" კორესპონდენტს ესაუბრა და ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა.***



# ტაფარელის ცხოვრება

**— მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი მეკარე ხართ, ბევრს დააინტერესებს თქვენი წარსული...**

— პატარა ქალაქ სანტა როსაში დავიბადე. ეს დასახლება პორტუ ალეგრედან 500 კილომეტრითაა დაშორებული. ბევრი ემიგრანტი ცხოვრობს, განსაკუთრებით იტალიელები და გერმანელები. ბავშვობაში გატაცებული ვიყავი ფრენბურთით, რომელიც სანტა როსაში ძალიან პოპულარულია — თითქმის ყველა ჩემი ნაცნობი ფრენბურთს თამაშობდა. მე ერთ-ერთი გამორჩეული ვიყავი. ათი-თორმეტი წლის ასაკში უკვე სერიოზულად დავინტერესდი ფეხბურთით. კვირაობით ყოველთვის ვთამაშობდით. ოდნავ მოგვიანებით პატარა კლუბ „კრისიუმალში" ჩავირიცხე. იქ ყველა პოზიციაზე მიწევდა თამაში, ნახევარდამცველიც ვიყავი, თავდამსხმელიც და კარშიც ვიდექი. 18 წლის რომ გავხდი, კრისიუმალის მერმა პორტუ ალეგრეში წამიყვანა გასასინჯად. შევუერთდი ბრაზილიაში ერთ-ერთ ცნობილ კლუბ „ინტერნასიონალს". ეს გუნდი მუდამ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეების ძიებაში იყო და მეც მშვენიერი შანსი მომეცა, რაიმე დამემტკიცებინა.

**— გასინჯვის პერიოდმა როგორ ჩაიარა?**

— მამაჩემს, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, მაშინ ვერავინ დააჯერებდა, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი გამოვიდოდი, დედა კი პირიქით, ყოველთვის მხარს მიჭერდა და მამხნევებდა. სწამდა, რომ მე ამას შევძლებდი. მთელი ჩემი წარმატება მისი დამსახურებაა. ჩემსავით გასასინჯად „ინტერნასიონალში" ბევრი ახალგაზრდა იყო მისული, გვავარჯიშებდნენ, გვამოწმებდნენ. მე დავალებებს მშვიდად ვასრულებდი და იმ მომენტში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ „ინტერნასიონალში" უნდა მოვხვედრილიყავი. დიდი იმედი მქონდა, რომ იმ რამდენიმე დღეში გუნდში მოთამაშე რომელიმე ცნობილ ფეხბურთელს შევხვდებოდი. იქ რობერტო ფალკაო ირიცხებოდა, მაგრამ მისი ნახვა მაშინ ვერ შევძელი.

**— საბოლოოდ რა მოხდა?**

— შემოწმება სამ დღეს გრძელდებოდა და ერთობ რთული პროცესიც იყო, მაგრამ მე იმდენად მსურდა დიდი კლუბის მეკარე ვყოფილიყავი, რომ სირთულეებს თითქოს ვერც ვამჩნევდი. უსაზღვროდ გამიხარდა და თან გავოცდი, როცა პირველივე დღის ბოლოს ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს, რომ დიდი შანსი მქონდა, „ინტერნასიონალში" დავრჩენილიყავი. იმ მომენტიდან ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა. როცა პორტუ ალეგრედან სანტა როსაში დავბრუნდი, მთელი ქალაქი შემეგება, ლამის გმირად მთვლიდნენ. ის დღე არასდროს დამავიწყდება.

**— ასე გახდით მეკარე...**

— დიახ, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ მეკარეობა ძალიან რთულია. არც ერთი ფეხბურთელი არ ვარჯიშობს ისე მონდომებით, როგორც მეკარე. მცირეოდენი შეცდომაც არ გეპატიება, ერთიც კი შესაძლოა დამღუპველი გამოდგეს, თორემ გოლს გაუშვებ და შენი ბრალია... არა, მართლაც ძნელია.

**— ახლა სხვა თემასაც შევეხოთ. თქვენ არ ხართ პიროვნება, რომელიც მარტო ფეხბურთით ცხოვრობს. თურმე დიდ დროს უთმობთ ქველმოქმედებას.**

— მართლაც ასეა. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა იტალიაში გადავედი და „პარმაში" ვთამაშობდი. სწორედ იმ დროს გავაფორმე კონტრაქტი, რომ ბრაზილიაში ძალიან ღარიბ და გაჭირვებულ ბავშვებს უნდა დავხმარებოდი: ამ მიზნით ჩრდილოეთ ბრაზილიაში გავემგზავრე, სადაც რვა ბავშვს შემახვედრეს. ისინი განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებდნენ. ამის შემდეგ მრავალ ამგვარ პროექტს ვახორციელებ და ვცდილობ, ასეთ ბავშვებს დავეხმარო.

**— კიდევ რა განიჭებთ დიდ სიამოვნებას?**

— ორი შვილის მამა ვარ და უსაზღვრო ბედნიერებაა, როცა 6 წლის კლაუდიო ანდრესთან და 7 წლის კატერინთან ერთად დისნეილენდში მივდივართ. ჩემი მეუღლე ანდრეა ჟურნალისტია. ჰოდა, ყველაზე დიდ სიამოვნებასაც ოჯახთან ერთად ყოფნა მანიჭებს. ჯანსაღი ცხოვრების მომხრე ვარ. ძალიან მიყვარს ზღვაზე და მთებში დასვენება და კიდევ... გემრიელი საჭმელები, განსაკუთრებით იტალიური. თავად ცუდი მზარეული ვარ. მარტო კვერცხს და ხორცს თუ შევწვავ.

და კიდევ, ვერ ვიტან კომპიუტერს. ბავშვობაში თითქმის არ ვუყურებდი ტელევიზორს და ვთვლი, რომ ამით არაფერი დამკლებია. უცხო ენები მიტაცებს, ვსაუბრობ იტალიურად და ცოტათი ინგლისურადაც.

**— მეკარე რომ არ გამოსულიყავით, რას გააკეთებდით?**

— ჟურნალისტებისთვის ეს აქამდე არ გამიმხელია. ისე, არმია მიტაცებს და ალბათ სამხედრო გავხდებოდი. მამაჩემს ექვსი ძმა ჰყავდა, ექვსივე სამხედრო — მამა ერთადერთი იყო, ვინც ჯარში სამსახური არ ისურვა.

**— ბრაზილიაში ყველა ბავშვი ნახევარმცველობასა და ფორვარდობაზე ოცნებობს, გოლები რომ გაიტანოს. თქვენს არჩევანს რითი ახსნით?**

— მართლაც ასეა. იქ ყველა ათნომრიან მაისურაზე ოცნებობს. მეკარეობა კი უბრალოდ პასუხისმგებლობაა, წაგებული მატჩი ეგებ შენ დაგბრალდეს. მიმაჩნია, რომ ასეთი აზრი არასწორია. ევროპაში თვლიან, რომ ბრაზილიაში კარგი მეკარე ვერ გაიზრდება, მაგრამ ეს არ არის მართალი და ჩვენ ეს უნდა დავამტკიცოთ.

**— თქვენ გმირი იყავით, როცა 94-ში ბრაზილიამ პენალტების სერიით იტალიას მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ასე იყო მაშინაც, როცა „გალათასარაის" კარში იდექით და ამ კლუბმა თურქული ფეხბურთის ისტორიაში პირველი ევროთასი მოიგო.**

— არა მგონია, ამის გამო გმირი ვიყო, ამის პრეტენზიაც არ მაქვს. როცა ბურთს მოვიგერიებ, დიდებული ვარ, როცა გავუშვებ — ცუდი. მაგალითს მოგიყვანთ:

1997 წელს ბრაზილიის ნაკრებმა ბოლივიაში წააგო. იმ თამაშში მე პენალტი მოვიგერიე. მოგვიანებით ერთ-ერთ ჟურნალისტს ვესაუბრე. მან მითხრა: როცა თერთმეტმეტრიანი მოიგერიე, სტატიის სათაური მომზადებული მქონდა — „ტაფარელი გმირი", მაგრამ როცა წააგეთ, ასე გადავაკეთე — „ტაფარელი — გმირობიდან დაცემამდე". ეს ცოტა გულდასაწყვეტიცაა, მაგრამ ვერაფერს იზამ.

**— როცა მსოფლიოს ჩემპიონი გახდით, შემდეგ ერთ-ერთ საეკლესიო გუნდში თამაშობდით. ეს ცოტა უცნაური იყო.**

— უცნაურზე მეტად სახალისო. მაშინ „პარმაში" ვირიცხებოდი. წესის თანახმად, გუნდში სამი უცხოელი უნდა ყოფილიყო. „პარმაში" ასპრილია, ბროლინი და გრიუნი თამაშობდნენ და გუნდის მატჩების ნახვა ხშირად ტრიბუნებიდან მიწევდა. მეგობარმა მკითხა, სან პროსტეროს საეკლესიო გუნდი ერთ-ერთ ტურნირში ასპარეზობს და თუ დაგვეხმარებიო. მორწმუნე კაცი ვარ და სიამოვნებით დავთანხმდი. თან ფორმას შევინარჩუნებდი. მხოლოდ პირობა წავუყენე, რომ ფორვარდის პოზიციაზე უნდა მეთამაშა. ტურნირი მოვიგეთ და მე ბომბარდირი გავხდი. ფინალური მატჩი რეჯიო ემილიის პროვინციაში პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა.

**— თურქეთში თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— ძალიან. ეს ქვეყანა თითქოს ჩემს მეორე სამშობლოდ იქცა. აქ ბევრი მეგობარი შევიძინე. უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა გადავიტანე, როცა ქვეყანაში მიწისძვრა მოხდა და მრავალი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ავადმოსაგონარი დღე.

**— ამ ტრაგედიის დროს სად იყავით?**

— ოჯახთან ერთად თურქეთში ვიყავი. ღამის სამი საათი იყო და გვეძინა. ყველაფერი შეზანზარდა და გაგვაღვიძა, საგნები იატაკზე გადმოცვივდა, კედლები დაიბზარა. მე და ჩემი მეუღლე ბავშვების ოთახში შევცვივდით, ისინი ხელში ავიყვანეთ და როგორღაც ყველამ ქუჩაში გავაღწიეთ. ერთი სართულით მაღლა, ჩემი ოთახის თავზე, რუმინელი გეორგე პოპესკუ ცხოვრობს, მაგრამ ის მაშინ შინ არ ყოფილა. ისე, ახლა იმ შენობაში აღარ ვცხოვრობთ, იქვე შორიახლოს სხვა სახლში გადავედით.

**— ტრაგედიაზე აღარ ვისაუბროთ, ბოლო კითხვას დაგისვამთ. თქვენი სამომავლო გეგმები როგორია?**

— ფეხბურთს მანამ ვითამაშებ, სანამ შემეძლება. მერე ერთი-ორი რესტორნის გახსნა მინდა ევროპასა და ბრაზილიაში. ხომ ვთქვი კიდეც — ჭამა და გემრიელი კერძები მიყვარს.

**თარგმნა ნიბა შუბლაძემ**

# შემოდგომის ვარსკვლავი

## მადრიდელი ინჩასების ახალი გმირი



ჩემპიონთა თასზე „რეალის“ მე-500 გოლი გუტის პირველმა მაკელელემ მიულოცა

**წლევანდელ** სეზონში „რეალში“ მომხდარი მთავარი ამბავი ლუიშ ფიგუს გადასვლა იყო. ფიგუ გუნდს კარგად შეეწყო. შემოდგომის მიწურულს ძირითადში დაბრუნდა მაკმანამანი, ტრავმა მოიშუშა მორიენტესმა, ათამაშდნენ რაული და რობერტო კარლოსიც.

ჩემპიონთა ლიგის საგაზაფხულო ეტაპს „მეფეები“ ქულადაუკარგავად ხვდებიან — ჯგუფის ორივე საწყისი თამაში მოიგეს და წლეულსაც თასის მოგების მთავარი კანდიდატთაგანნი არიან. პრიმერადივიზიონსაც ხომ ლიდერობენ. განა მადრიდელ ქომაგებს სანახაობა ან ვარსკვლავები აკლიათ? მაგრამ ბოლო დროს ერთი რამ განსაკუთრებით უხარიათ — ათამაშდა და გუნდის ლიდერად ყალიბდება მადრიდელი ბიჭი, „რეალის“ გაზრდილი ხოსე მარია გუტიერესი, ანუ უბრალოდ გუტი.

ახლა გუტი 24 წლისაა. მისმა ტოლებმა კარგა ხანია გაითქვეს სახელი. იგივე რაული, რომელიც გუტიზე ერთი წლით უმცროსია, უკვე დიდი ხანია ვარსკვლავად ითვლება. გუტი კი, რაც მას თავის დროზე დამცირება გადაუტანია... სხვას, მის ადგილზე, შეიძლება ფეხბურთზე საერთოდ ჩაექნია ხელი.

„რეალის“ მაისურათი პრიმერადივიზიონში პირველად 1995 წლის დეკემბერში გამოჩნდა „სევილიას“ წინააღმდეგ. სტადიონი ახარხარდა — ეს ვინ გამოიყვანეს, ზანტია და მებრძოლი სულიც აკლიაო. მოკლედ, აითვალწუნეს. იმასაც ამბობდნენ, გოგოები უყვარს ძალიან და სასიყვარულო ფათერაკებს ამჯობინებს პატიოსნად ვარჯიშსო.

გუტი ყველაფერს ფილოსოფიურად აღიქვამდა: „გულშემატკივრები სტადიონზე მოსახვედრად ფულს იხდიან და არც გაემტყუნებათ. ვის დაუსტვენენ და ვის ტაშს დაუკრავენ, მათი ნებაა. თუმც, ვფიქრობ, რომ „რეალის“ ქომაგთა უმრავლესობას ვუყვარვარ. კარგ ფეხბურთელად მთვლიან. სტვენით კი, იმიტომ მისტვენენ, რომ ჩემგან უფრო ნაყოფიერ თამაშს მოელიან. რა ვიცი, მგონი, ასეა“ — ამბობდა ამ ორიოდე წლის წინ.

1998-ში ესპანეთის 21 წლამდელთა ნაკრებთან ერთად რუმინეთში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი მოიგო. იმ გუნდში თამაშობდნენ მისი დღევანდელი თანამებრძოლი მიჩელ სალგადო და „ბარსელონას“ მეკარე ფრანსისკ არნაუ. გუტიმ ტურნირზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ „რეალის“ ძირითადში ფეხი ვერაფრით მოიკიდა.

მებრძოლი სული არ აქვსო და სხვებზე კერკეტი კი გამოდგა. არ გატყდა და თავის დროს დაელოდა. დროც მალე მოვიდა — მთავარ მწვრთნელად ვისენტე დელ ბოსკეს დანიშვნამ მისი ცხოვრება შეცვალა.

დელ ბოსკე გუტის ბავშვობიდან იცნობს. „რეალის“ ჭაბუკთა გუნდში სწორედ ის წვრთნიდა მომავალ ვარსკვლავს და ძალიანაც უყვარდა. „გუტი ტექნიკურია, რომ მოინდომოს, მთელი გუნდის მოტყუება შეუძლია. ჩინებული დრიბლინგიც აქვს. დაიმახსოვრეთ, ამ ბიჭისგან ნამდვილი ოსტატი დადგება“ — ამბობდა მაშინ დელ ბოსკე.

წლევანდელ სეზონში გუტი „რეალის“ ლიდერი გახდა და ზოგ მატჩებში კაპიტნის სამკლავურიც კი გაიკეთა. შარშან, 25 ოქტომბერს, „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე, „რეალ“ — „სპორტინგის“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში კლუბის ისტორიაშიც სამუდამოდ ჩაეწერა. ის თამაში მადრიდელებმა 4:0 მოიგეს, პირველი ბურთი გუტიმ გაიტანა — ეს იყო ჩემპიონთა თასზე გატანილი „რეალის“ მე-500 გოლი. ამიერიდან გუტის მიგელ მუნიოსის, ალფრედო დი სტეფანოსა და ფერენც პუშკაშის გვერდით მოიხსენიებენ. გუშინდელი დუბლიორისთვის ეს არნახული წარმატებაა.

„თამაშის დროს რეკორდებზე საერთოდ არ ვფიქრობ — თქვა „სპორტინგთან“ მატჩის შემდეგ გუტიმ — იმ მომენტში მთავარი იყო, რომ ანგარიში გავხსენით და საკუთარი თავისა უფრო ვირწმუნეთ. სიმართლე რომ ვთქვათ, ის გოლი ფიგუს უფრო ეკუთვნოდა, მომენტი პორტუგალიელმა შექმნა და მე მცველისგან ასხლეტილი ბურთიღა მივიღე. მეკარეს წონასწორობა დაეკარგა და გატანა არ გამჭირვებია“.

თუ გახსოვთ, ახალი სეზონი „რეალმა“ „სან სიროზე“ „მილანთან“ შთამბეჭდავი გამარჯვებით (5:1) დაიწყო. ამ დროს ფიგუ ჯერ მადრიდელი არ იყო, ხოლო რედონდო იტალიურ კლუბში გადაბარგებულიყო. დელ ბოსკემ თამაშის გაძღოლა გუტის დაავალა და შეგირდმაც არ უმტყუნა. „რეალის“ ნახევარმცველი გადაირია. ორი თავად გაიტანა, ორი სხვებს გაატანინა და მოწინააღმდეგეს უამრავი პრობლემა შეუქმნა. ამბობენ, ტრიბუნაზე მჯდარმა „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ მადრიდელებთან მაშინვე გააჩაღა გუტის ყიდვის თაობაზე საუბარი, მაგრამ უარი მიიღო.

გუტი საგონებელში ჩავარდა: „მილანი“ დიდებულ პირობებს სთავაზობდა, „რეალში“ კი ყველაზე დაბალი ხელფასი ჰქონდა — 500 ათასი დოლარი წელიწადში. თანაგუნდელები მასზე ხუთჯერ და რვაჯერ მეტს იღებდნენ. მაგრამ მადრიდელმა მშობლიურ კლუბს არ უღალატა და მალე ხელმძღვანელებს ფლორენტინო პერესსა და ხორხე ვალდანოსაც მოელაპარაკა. გუტის საგრძნობლად გაუზარდეს ხელფასი და კონტრაქტი ხუთი წლით გაუხანგრძლივეს.

ბიჭიც გახელდა. პრიმერადივიზიონის პირველივე ტურებში მინდორს უგოლოდ აღარ ტოვებდა. ჩემპიონთა ლიგაშიც რობერტო კარლოსთან ერთად მადრიდელთაგან ყველაზე მეტი — 4 ბურთი გაიტანა. მაშინ, როცა ელგერას და მორიენტესს — 3-3, ხოლო ფიგუს და რაულს მხოლოდ 2-2 გოლი მოუგროვდათ.

„მართალია, მორიენტესი დაშავებულია, მაგრამ რად გვინდა ახალი თავდამსხმელი, როცა გუტის შეტევის ორგანიზებაც შეუძლია და დამთავრებაც?“ — ამბობდა შემოდგომაზე დელ ბოსკე.

გოლები გოლებად, მაგრამ მწვრთნელს ის უფრო ახარებს, რომ მოსწავლემ შარშანდელთან შედარებით გაცილებით ხარისხიანი ფეხბურთის თამაში დაიწყო. გუტის „გახსნას“ ფიგუსაც მიაწერენ. პორტუგალიელს და მადრიდელს თურმე ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით: „ფიგუს გვერდით თამაში ერთი სიამოვნებაა — აღიარებს გუტი — ის უდიდესი ფეხბურთელია. ჩინებულად გრძნობს პარტნიორის მოძრაობას, არასოდეს ძუნწობს და ძალიან მოსახერხებელი პასები აქვს. რაც გამიტანია, ნახევარზე მეტი ფიგუს დამსახურებაა“.

ვისენტე დელ ბოსკეც იმავე აზრისაა და მიაჩნია, რომ გუტის დიდი პორტუგალიელის თამაშისა ყველაზე კარგად ესმის.

**სოლომონ გულისაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი მუშკეტერი




არნო კლემანი

**კაცები. ნახევარფინალი: არნო კლემანი (15, საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (16, საფრანგეთი) 5:7, 2:6, 7:6 (7:4), 7:5, 6:2.**




არნო კლემანი და სებასტიან გროჟანი ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ, ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ, საუკეთესო მეგობრები არიან და თქვენ წარმოიდგინეთ, საერთო მწვრთნელიც ჰყავთ — დანიელ ჟილბერი. მელბურნში ჩასვლისას მათ ნიძლავი დადეს: ვინც პირველი წააგებდა ტურნირზე სეტს, მეორეს რესტორანში დაპატიჟებდა. გადახდა გროჟანს მოუხდა.

კარიერის უმნიშვნელოვანესი შეხვედრისთვის რაიმე საიდუმლო იარაღის ან მოულოდნელი ტაქტიკური სვლის დამუშავების ნაცვლად ნახევარფინალის წინა დღეს ფრანგებმა ერთად ივარჯიშეს და გაოცებული ჟურნალისტების წინ სურათებიც ერთად გადაიღეს. ორივემ სიტყვა დადო, შეხვედრის დროს მეგობრობას დავივიწყებთ და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევიბმებითო. მართლაც ასეც მოხდა, ოღონდ კაცი იფიქრებდა, რომ მოგება არც ერთს სურდა.

თავიდან ფინალისკენ უფრო ძალუმად გროჟანმა გაიწია. მარსელში დაბადებულმა, ახლა კი ფლორიდაში მცხოვრებმა ფრანგმა ასეთი ჩია გარეგნობის ადამიანისთვის წარმოუდგენლად მძლავრი ფორჰენდით მეგობარი გვარიანად დააწიოკა და ზუსტად საათნახევარში ორი სეტით დაწინაურდა. გამარჯვებას გროჟანს სულ მცირე, უფრო სწორად, ერთადერთი ხეირიანი დარტყმა აშორებდა. ორჯერ, ჯერ 5:3-ზე, მერე კი 5:4-ზე (უკვე საკუთარ მოწოდებაზე), მას მატჩ-პოინტი ჰქონდა.

დიდი გამარჯვების პირას მისული ფრანგი, ეტყობა, სწორედ ამ პერსპექტივამ შეაშინა. სანამ გროჟანი იმაზე ფიქრობდა, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა დიდი სლემის ტურნირის ფინალში გასვლას, კლემამა დრო იხელთა, უმძიმეს ვითარებას რისკიანი თამაშით დაუძვრა და საათზე მეტად გაჭიანურებული, მისთვის კინაღამ სავალალოდ დასრულებული მესამე ხელი ტაი-ბრეიკზე მოიგო.

„იმ მატჩ-პოინტის გამოუყენებლობაზე არანაკლებ დამღუპა მანამდე, 4:2 და 40:0 უპირატესობის ხელიდან გაშვებამ. არნოსთვის ის მოწოდებაც რომ ამერთმია, საბოლოოდ გავტეხდი — გაიხსენა მოგვიანებით გროჟანმა — მაშინ მან ირწმუნა, რომ ჯერ კიდევ შეეძლო მოგება, მე კი საკუთარ თავზე გავბრაზდი, რომ შანსი ხელიდან გავუშვი, ეს ფიქრი ამეკვიატა და ფსიქოლოგიურადაც სწრაფად გავსავათდი“.

დაუღლელი, საოცრად სწრაფი კლემანი აქედან მოყოლებული უპირატესობას დაეუფლა, მეტოქის გახშირებული შეცდომებით შესანიშნავად ისარგებლა, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი უკვე თავად მიატანა გამარჯვებას. 23 წლის ფრაგი ამ დროს აღელდა, გადამწყვეტ ხელში 5:2-ზე ფინალში გასვლა ცოტა ხნით გადაიფიქრა, თუმცა პირველი მატჩ-პოინტიდან ზუსტად 113 წუთის თავზე მეტოქის ხელშეწყობით მატჩს წერტილი მაინც დაუსვა.

ფრანგებმა ბადესთან ღიმილით ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, გროჟანმა კი გამარჯვებულს კვირას ტიტულის მოპოვებაც უსურვა. „ეს მცირე სასწაული იყო — თარჯიმნის დახმარებით განაცხადა პრესკონფერენციაზე კლემანმა — რაც დრო გადიოდა, კორტზე თავს სულ უფრო უკეთ ვგრძნობდი. მატჩის ბოლოშიც კი არ ვიყავი გასავათებული, შემეძლო, კიდევ გამეგრძელებინა“.

### წყვილები

**ქალები, ფინალი: ვინუს უილიამსი და სერენა უილიამსი (აშშ) — ლინდსი დევენპორტი და კორინა მორარიუ (აშშ) 6:2, 4:6, 6:4.**

მარტინა ჰინგისთან მტკივნეული წაგებები დებმა უილიამსებმა მცირედით წყვილებში აინაზღაურეს. ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ შავი დუეტის კოლექციაში ოთხივე დიდი სლემის ტიტულია. დებს წყვილად 197 ათასი დოლარი ერგოთ.

**კაცები. ნახევარფინალი: იონას ბიორკმანი (შვედეთი) და ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) (4) — უეინ არტურსი (ავსტრალია) და ნენად ზიმონიჩი (იუგოსლავია) (11) 4:6, 6:0, 6:2; ბაირონ ბლეკი (ზიმბაბვე) და დევიდ პრინოზილი (გერმანია) (14) — ჯასტინ გიმელსტობი და სკოტ ჰამფრიზი (15, აშშ) 7:6 (7:2), 6:1.**

**ავთანდილ სვანიძე**




დაო, დითა ხარ ძლიერი! სერენა და ვინუს უილიამსები

## სხვადასხვა

**როდესაც** დიდი სლემის ტურნირებზე (უიმბლდონის გარდა) თეთრ ტანისამოსში გამოწყობის სავალდებულო წესი გაუქმდა, ერთ-ერთ მოსალოდნელ დადებით შედეგად იმას ასახელებდნენ, კორტზე ჩოგბურთელთა გარჩევა გაიოლდებაო. ფერების შერჩევაში სრული თავისუფლების მიუხედავად, ეს პრობლემა ავსტრალიის ღია პირველობაზე წლეულს არაერთხელ წამოიჭრა.

მრავალფეროვნების მხრივ განსაკუთრებით დუხჭირად, ეტყობა, ფირმა „ნაიკს“ აქვს საქმე, მთავარ მსხვერპლად კი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი კარლოს მოია იქცა. პირველ წრეში მარსელო რიოსთან შეხვედრის დროს როლან გაროსის 1998 წლის ჩემპიონს ამ უკანასკნელის ალი-კვალი ლურჯი შორტები და თეთრი მაისურა ეცვა. მესამე წრეში ლეიტონ ჰიუიტთან მატჩისთვის მოიამ თეთრის ნაცვლად წითელი მაისურა ჩაიცვა, მაგრამ კორტზე მორიგი მეტოქეც „ნაიკის“ იდენტურ ალკაზმულობაში დაუხვდა. ესპანელს ისღა დარჩენოდა, შუა მატჩში ტანზე გამოეცვალა.

ქალებში ერთადერთი მსგავსი იალლიში მერვედფინალში მოხდა, როდესაც ლინდსი დევენპორტი და ბელგიელი კიმ კლაისტერსი ერთნაირ თეთრ-წითლებში გამოეწყვნენ. სპონსორი აქაც „ნაიკი“ გახლდათ.



ავსტრალიაში კარლოს მოიაც აჭრელდა

* * *

**სერენა და ვინუს უილიამსებს** კორტზე არავის და არასდროს ეშინიათ, პირიქით, თავიანთი მრისხანე გამომეტყველებითა და კომიქსების გმირებივით დაკუნთული გარეგნობით მეტოქეთა დიდ უმეტესობას შეხედვითაც აფრთხობენ. სამაგიეროდ, სულ სხვაგვარადაა საქმე, როდესაც დები კინოთეატრში მიემგზავრებიან, მით უმეტეს, თუ იქ საშინელებათა ფილმი გადის.

„ვიცი, ჩვენზე ამას ვერც წარმოიდგენთ, მაგრამ თვალის დახამხამებაში ავცრემლდები ხოლმე — აღიარებს სერენა — დარბაზში მსხდომთაგან მხოლოდ მე და ვინუსი ვყვირით ისტერიკულად, ვიცინით და ვტირით, ეტყობა, ზედმეტად ემოციურად აღვიქვამთ ყველაფერს“.

სერენას თქმით, ყველაზე მეტად ცხოვრებაში ის ყველა დროის საუკეთესო საშინელებათა ფილმმა „ექსორსისტმა“ დააფრთხო, რომელშიც 12 წლის გოგონას სხეულში ბოროტი სული სახლდება, თუმცა უფროსი და მეორე სერიის სანახავად წაყოლაზე მაინც დაითანხმა.

„ჩვენთან ერთად ფილმის სანახავად სიარული არავის უყვარს, ამიტომ კინოში სულ მარტონი დავდივართ.“

* * *

**ავსტრალიის** ღია პირველობა დროებით მთავარი სპონსორის გარეშე დარჩა: ავტომობილთა წარმოების გიგანტი „ფორდი“ სეზონის პირველ დიდ სლემის ტურნირთან 16-წლიან თანამშრომლობას წყვეტს.

„ჩვენი პრიორიტეტები შეიცვალა. ამიერიდან ჩვენი სპორტული სტრატეგიის მთავარი შემადგენელი ნაწილი მოტოსპორტის დაფინანსება იქნება. სასპონსორო დოლარები გვინდა ისე დავხარჯოთ, რომ ეს „ფორდის“ იმიჯს მაქსიმალურად წაადგეს“ — განაცხადა ფირმის ვიცე-პრეზიდენტმა მარკეტინგის დარგში, ბრიუს მაკდონალდმა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება „ფორდის“ კუთვნილი „იაგუარის“ ფორმულა 1-ში დაბრუნება.

კომპანია ჯერჯერობით მთლიანად არ წყვეტს კავშირს საჩოგბურთო ტურნირთან — მომდევნო 4 წლის მანძილზე ის მანქანების ოფიციალური მიმწოდებელი იქნება. როგორც ამბობენ, გარკვეული როლი ამ გადაწყვეტილებაზე სახელის განთავისების უფლებამაც ითამაშა. ადრე ჩემპიონატს „ფორდის ავსტრალიის ღია პირველობა“ ერქვა, თუმცა რამდენიმე წლის წინ ორგანიზატორთა დაჟინებით ტურნირის სახელიდან „ფორდი“ გაქრა.

ტურნირის დირექტორი პოლ მაკნამი დარწმუნებულია, რომ ახალ მთავარ სპონსორს სწრაფად იპოვიან: „ჯერჯერობით ძებნა არ დაგვიწყია და არც წინადადებები მიგვიღია, მაგრამ ჭორები უმალ ვრცელდება და მალე ბაზარზე გვიხილავთ“.

* * *

**წყვილთა** ჩოგბურთის პოპულარობა ATP ტურზე წლიდან წლამდე კლებულობს. თუ 60-70-იან წლებში კაც ვარსკვლავთა უმეტესობა წყვილებს ერთეულებზე არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა, დღეისთვის პიტ სამპრასი, ანდრე აგასი, მარატ საფინი და სხვა ბობოლები მას ენერგიის ტყუილუბრალო ხარჯვად და ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ.

„ჩვენ იღბლიანად მიგვაჩნია თავი, თუ ხალხი ფინალზე მაინც რჩება“ — ამბობს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მეწყვილე ლეანდერ პაესი.

„ტურნირების დირექტორები ფიქრობენ, რომ წყვილებში მოთამაშეთა უმეტესობა არ იმსახურებს მათთვის გამოყოფილ საპრიზოებს, რადგან შემოსავალი არ მოაქვთ. თავად ჩოგბურთელებიც ცოტა ცხვირაწევით უყურებენ მათ“ — არ მალავს სამხრეთაფრიკელი უეინ ფერერა, რომელიც თავის პარტნიორ ევგენი კაფელნიკოვთან ერთად იმ გამონაკლისებს მიეკუთვნებიან, წყვილებში თამაშს რომ არ თაკილობენ.

მართლაც, განა ბევრს გაუგია ისეთი სახელები, როგორიცაა დანიელ ორსანიჩი, სკოტ ჰამფრიზი, ელის ფერერა, პატრიკ გალბრაიტი. არადა, ისინი დუეტებში არაერთი ტურნირის გამარჯვებულები არიან. ბოლო ვარსკვლავური წყვილი — „ვუდებად“ წოდებული ტოდ ვუდბრიჯისა და მარკ ვუდფორდის შემადგენლობით შარშან ამ უკანასკნელის პენსიაზე გასვლით დაიშალა.

ATP-მ გადაწყვიტა, სერიოზულად მოკიდოს ხელი წყვილების პოპულარიზაციის საქმეს. იმისათვის, რომ ყველასთვის უცნობი წყვილების ოსტატების ბატონობას წინ აღუდგნენ, ტურნირების ძირითად ბადეში მოხვედრა ამიერიდან შეიძლება ერთეულების კლასიფიკაციაზე გახდეს დამოკიდებული. ხელს შეუწყობენ არა ერთჯერადი, არამედ მუდმივი დუეტების შექმნას. იმისთვის, რომ ვარსკვლავები მიიზიდონ, წყვილების მატჩების ხანგრძლივობა შემცირდება და გადამწყვეტ, მესამე სეტის ნაცვლად ტაი-ბრეიკს გაითამაშებენ. ამ ექსპერიმენტმა შერეულ წყვილებში „ოუფენზე“ უკვე გაამართლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დაჩლუნგებული დეზის გაბასრება




საკრამენტო — სან ანტონიო. საკრამენტოელი ვლადე დივაცი ტიმ დანკანის ნასროლს ვერ შესწვდა

25 იანვარი

**დალასი 120:83 ვანკუვერი**

დალასი: ნეში (21), ფინლი (20), ნოვიცკი (19 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (19)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (13 ქულა, 10 მოხსნა), აბდულ-რაუფი (13)

**ინდიანა 82:92 პორტლენდი**

ინდიანა: კროშერი (23 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (18)

პორტლენდი: ვოლესი (22), სმიტი (22), დევისი (16 ქულა, 10 მოხსნა), სტედემაიერი (16)

**მინესოტა 109:100 ორლანდო**

მინესოტა: ელისი (24), შჩერბიაკი (22), ბრენდონი (18), გარნეტი (16 ქულა, 18 მოხსნა, 8 პასი)

ორლანდო: მაკგრეიდი (28), არმსტრონგი (21)

**საკრამენტო 91:97 სან ანტონიო**

საკრამენტო: ვებერი (23 ქულა, 11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (23)

სან ანტონიო: დანკანი (36 ქულა, 21 მოხსნა), ანდერსონი (20)

**იუტა 98:96 დენვერი**

იუტა: მარშალი (24), მელოუნი (22 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), სტოქტონი (15 ქულა, 10 პასი)

დენვერი: მაკდაიესი (24 ქულა, 12 მოხსნა), ლენარდი (23), ვან ექსელი (19)

ზედიზედ ოთხი მატჩის წაგება ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს ნამდვილად არ ეკადრება. ამან „სან ანტონიოს" გვარიანად გაუტეხა სახელი. სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო, უთქვამს ბრძენ კაცს, ექსჩემპიონიც ერთობ თავგამოდებით ცდილობს შელახული რეპუტაციის აღდგენას და იმის დამტკიცებას, რომ ეს მხოლოდ ბრმა შემთხვევითობა იყო. ეს „დეზებმა" გარკვეულწილად მოახერხეს, წაგებათა სერიას ორი გამარჯვება მიაყოლეს, მეორე საკმაოდ მძლავრ „საკრამენტოსთან", რომელიც ყველასთვის ძნელად დასამარცხებელი მეტოქეა, მით უმეტეს, შინაურ კედლებში, სადაც ყველა დანარჩენზე ნაკლები წაუგია.

საკრამენტოელი „მეფეები" თავიანთ რეზიდენციაში უბრძოლველად არავის არაფერს დაანებებენ და ექსჩემპიონის ძლევაც ერთობ მოიწადინეს. თუ „სფურზი" „არკო არენაში" სიხარულს ეწია, უმთავრესად ტიმ დანკანს უნდა უმადლოდეს. სეზონის ნახევარი მიილია, „სან ანტონიომაც" ბლომად თამაშები ჩაატარა, დანკანს კი ასე კარგად ჯერ არ უთამაშია. მასპინძლები იმედოვნებდნენ, რომ არცთუ საუკეთესო ფორმაში მყოფ ტიმს გაუჭირდებოდა მათ ჯილასთან, კრის ვებერთან ჭიდილი, პირიქით კი მოხდა. დანკანმა მწარედ დაჩხვლიტა „მეფეთა" მეფე ვებერი და სრულიად გააქარწყლა ხმები „სან ანტონიოს" უმთავრესი იარაღის დაჩლუნგების თაობაზე. მთლიანობაში არც საკრამენტოელი გარჯილა ურიგოდ, თუმც „კინგზმა" მისგან გაცილებით ნაკლები სარგებელი მიიღო, ვიდრე ელოდა. დანკანის მჭიდრო მეურვეობით შეჭირვებული ვებერი ბევრ იოლ ბურთს აცილებდა, საბოლოოდ 25 სროლიდან სულ რვა ჩააგდო. დანკანი კი დაცვაში ხომ ყოჩაღობდა და შეტევაშიც ბადალი არ ჰყავდა. ვინ არ სცადა მისი მეურვეობა — ვებერმა, ვლადე დივაცმა (9 ქულა), სკოტ პოლარდმა და კიდევ სხვებმა, მაგრამ მის შეჯერებას მაინც ვერ დააყენეს საშველი. ტიმმაც სეზონში სარეკორდო, 36 ქულა მიითვალა და ასევე სეზონში უმეტესი 21 ბურთიც მოხსნა.

სტუმართა წისქვილზე იმანაც დაასხა წყალი, რომ შეტევაში მარჯვე საკრამენტოელთ სროლა არ წაუვიდათ, თუმც ეს ისევ და ისევ დანკანის და მისი თანაგუნდელების თავგამოდების შედეგია. მასპინძლებმა სროლების ოდენ 39 პროცენტი ჩააგდეს. მთლიანობაში კი შეხვედრა ერთობ დაძაბული გამოდგა, რასაც ისიც მოწმობს, რომ ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა თუნდაც ათი ქულით მოსწყვეტოდა მეტოქეს. ლამის ქულა ქულაში მიმდინარე თამაშის ბოლო წუთებზე დანკანმა ორი მნიშვნელოვანი ბურთი ჩაუგდო მოწინაღმდეგეს და თავისიანებს ხუთქულიანი უპირატესობა დაუბევა. „სფურზს" გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ეს სხვაობა და სოლიდურ მეტოქეს გამარჯვებაც გამოსტყუა.

„ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტიმი დაგვიბრუნდა — ამბობდა ნამატჩევს სტუმართა ცენტრი დევიდ რობინსონი — ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია, თამამად გავიხედოთ მომავლისკენ, რომელიც ამ თამაშის შემდეგ გაცილებით ნათლად გვეჩვენება, ვიდრე ერთი კვირის წინ".

ამ გამარჯვების შემდეგ „სან ანტონიო" მაინც ვერ დაწინაურდა შუა დასავლეთის დივიზიონში. დივიზიონის ცხრილს კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს „იუტა ჯაზი", რომელსაც გუშინწინ ასევე ბევრი ოფლის ღვრა მოუხდა კერკეტი „დენვერის" დასაჩოქებლად. „იუტას" შინაურ სარბიელში „დელტა სენთერში" თავმოყრილმა 19 ათასმა გულშემატკივარმა ძველი და ახალი თაობის ვარსკვლავთა სასეირო ჭიდილი იხილა. ბებრულმა „იუტამ" აჯობა ახალგაზრდულ „დენვერს". კარლ მელოუნმა და ანტონიო მაკდაიესმა ერთმანეთს ფარქვეშ გააცალეს სიქა, ჯონ სტოქტონი და ნიკ ვან ექსელი ფარსგარეთ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, საბოლოო გამარჯვება კი ბებერი „ჯაზის" ახალგაზრდა ფრთამ, დონიელ მარშალმა გამოჭედა, რომელმაც თავისი საამმატჩო მონაგრიდან, 24 ქულიდან, 10 ბოლო მეოთხედში გააზერხა და მასპინძლებს ეს თორმეტწუთეული 28:21 მოაგებინა. ენერგიით აღსავსე მარშალი დღეს „იუტას" ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ რომ მოევლინა, აღარავის უკვირს. არადა, სეზონის გარიჟრაჟზე იგი „ჯაზის" მყარი სათადარიგო გახლდათ. სასტარტო ხუთეულში იგი მხოლოდ ბრაიან რასელის ტრავმის შემდეგლა მოხვდა და გამოჯანმრთელებულ ძირითადს ადგილს აღარ უთმობს.

კიდევ ერთ შუადასავლურდივიზიონურ ჭიდილში „დალას მავერიქსმა" „ვანკუვერ გრიზლიზს" მოუგო, თუმც შეხვედრის ჭიდილად მოხსენიება პირობითად თუ შეიძლება. „დალასს" წლეულს ასე არავინ დაუჩაგრავს. მასპინძლებს თურმე გულში ხინჯად ჰქონიათ „ვანკუვერის" წინა სტუმრობა, როდესაც 74:101 წაუგიათ და ახლა დაიწყო თუ არა შეხვედრა, გაავთრებით ეკვეთნენ თავიანთ შემარცხვენელთ. პირველი ტაიმის შემდეგ ტაბლო 71:43 უჩვენებდა, ცხადია, „მავერიქსის" სასარგებლოდ, თუმც მასპინძლები ამან დიდად არ დააკმაყოფილა და საცოდავ ვანკუვერელთა რბევა მეორე ტაიმშიც არანაკლები წარმატებით გაგრძელდა. „დალასი" მაშინღა დაწყნარდა, როცა საფინალო სირენის ხმა გაისმა, რომელიც იქ შეკრებილ ერთობ ნასიამოვნებ აუდიტორიას „დათვების" განადგურების ოფიციალურად ამცნობდა. „დალასმა" რამდენიმე პირადი რეკორდიც დაამყარა. აი, ზოგიერთი მათგანი: პირველად მოიგო 37 ქულის სხვაობით, სეზონში პირველად მოუყარა თავი ამდენ ქულას მთლიანად თამაშში და ერთ ტაიმში (პირველ ნახევარში), მეორე ნახევარში სროლების 70 პროცენტი ჩააგდო, რაც ასევე სეზონის რეკორდია კლუბისთვის.

აღსანიშნავია, რომ კანადურ გუნდს (თუმც იქ მხოლოდ ამერიკელები თამაშობენ) ყველაზე დიდი ლახვარი ნამდვილმა კანადელმა, თანაც თავად ვანკუვერში დაბადებულ-გაზრდილმა სტივ ნეშმა ჩასცა.

ამ თამაშს ესწრებოდა „დალასის" ყოფილი მწვრთნელი დონ ნელსონი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ პროსტატის კიბო აღმოაჩნდა და იძულებული გახდა, მწვრთნელობისთვის თავი მიენებებინა. ნელსონი გადადგა და თავისი ადგილი შვილს, დონი ნელსონს გადაულოცა. შვილიც მამის ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა. „ვფიქრობ, „დალასიდან" ჩემი წასვლით არაფერი გაფუჭებულა. დონი კარგადართმევს საქმეს თავს" — თქვა ნამატჩევს უფროსმა ნელსონმა.

„მინესოტა ტიმბერვულვზი" შინ დაუხვდა მოყოჩაღებულ „ორლანდოს" და მართალია, მის ძლევას დიდი ძალა შეალია, შედეგით უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო. ამასთან ეს გამარჯვება ზედიზედ მეხუთე იყო „მგლებისთვის". ამ თამაშების ოქმებში არ წერია, რომ კევინ გარნეტმა, გუნდის ლიდერმა და ნბა-ს ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ 40-50 ქულა გააკეთა. სუპერვარსკვლავის კვალობაზე იგი მოკრძალებულად თამაშობს და კარგა ხანია, თუნდაც ოცი ქულა არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, იგი გუნდისთვის იღვწის და ამ 211-სანტიმეტრიანმა ყლაყუდამ „ორლანდოსთან" შეხვედრისას ლამის გამთამაშებლობა ითავა. მისი რვა პასი და 18 მოხსნა „მინესოტას" ძალიან გამოადგა, აი, თავად გარნეტმა კი კვლავ ვერ მოუყარა თავი დიდი რაოდენობით ქულებს. „მე პატარა საქმეებით ვარ გართული, როგორებიცაა მოხსნა, დაფარება, პასი. ჩემს თამაშში არ ჩანს „მე". ყველაფერი გუნდისთვის კეთდება" — ამბობს გარნეტი. „მე მხოლოდ მივესალმები იმ ფაქტს, რომ გუნდის საუკეთესო მოთამაშე მზადაა, პირადი ინტერესები დაივიწყოს და საერთო წარმატებაზე იფიქროს. ეს სასიამოვნო მოულოდნელობაა ჩემთვის" — ეს „მინესოტას" თავკაცის, ფლიპ სანდერსის სიტყვებია, გარდა ბევრი მოხსნა-პასისა, გარნეტმა ერთი დიდი სამსახურიც გაუწია „ტიმბერვულვზს". „ორლანდო მეჯიქი" მინეაპოლისში პირადად გარნეტის წინააღმდეგ სათამაშოდ ჩავიდა და მატჩის მსვლელობისას სტუმართა მთელი ყურადღება მისკენ იყო მიმართული, რამაც ხელფეხი გაუხსნა მის თანაგუნდელებს — შჩერბიაკს, ელისს და ბრენდონს, მათ გასაჩერებლად კი ვიღას ეცალა.

ვიცე-ჩემპიონმა „ინდიანამ" პირველი მარცხი იგემა ბოლო ხუთ შეხვედრაში. „პეისერზის" მოგებათა ჯაჭვი „პორტლენდმა" სულ იოლად გაწყვიტა, თუმც გამარჯვებამ მას ვერ დაუბრუნა პირველი ადგილი დასავლეთში, რომელიც ეს რამდენიმე დღეა, საკრამენტოელ „მეფეებს" უპყრიათ. „პორტლენდმა" თავიდანვე ომახიანად დაიწყო და თამაშში პირველი ცამეტი სროლიდან ათი ჩააგდო, რამაც სტუმართ პირველ ტაიმში 14-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. მართალია, მესამე მეოთხედში „ინდიანა" ოდნავ გამოფხიზლდა, რეჯი მილერის სამქულიანის შემდეგ სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა და ანგარიში 69:65 გახდა, მაგრამ ეს იყო მაქსიმუმი, რისი მიღწევაც მასპინძლებმა შეძლეს. მილერის სამქულიანს მაშინვე მოჰყვა სტუმარი სტივ სმიტის ორი ორქულიანი და რაშიდ ვოლესის საშინელი ძალით ჩატენილი ბურთი და „პორტლენდი" ათი ქულით მოსწყდა მეტოქეს.

„პორტლენდში" თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ამ გუნდში სეზონის დაწყებამდე სწორედ „ინდიანადან" გადაბარგებულმა დეილ დევისმა. ამ ვეტერანმა შეხვედრა 16 ქულით, 10 მოხსნით და ოთხი დაფარებით დაასურლა. არ შერცხვა ჯერმენ ონილიც, რომელიც „ინდიანაში" „პორტლენდიდან" დევისის ნაცვლად მივიდა. სამაგიეროდ, საშინლად ითამაშა მასპინძელთა ყველაზე შედეგიანმა და თავისი სტაბილურობით გამორჩეულმა ჯალენ როუზმა. მან აშკარად დაალალატა თავისიანები, 16 სროლიდან სულ სამი ჩააგდო და საბოლოოდ რვა ქულით შემოიფარგლა მაშინ, როცა მისი საშუალო შედეგიანობა სამჯერ მეტია.

**ირაკლი ფირაშვილი**




იუტა — დენვერი. იუტელმა დონიელ მარშალმა მოგებით გაიხარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

# იტალიელებმა ვარსკვლავები ჩააქრეს



გრეგორ ფუჩკა (ბურთით) „ოლ სტარზშიც“ საუკეთესო იყო

ამგვარი თამაშების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ აღწერას და ანალიზს აზრი არ აქვს. მოლოდინისამებრ, კალათბურთელებმა გვარიანად გაახალისეს დარბაზში მყოფი მაყურებლები. მრავლად იყო ჩატენვები, სამქულიანები, ეფექტური პასები და ა.შ. იტალიის ნაკრები თავიდანვე დაწინაურდა და საბოლოოდ 101:83 მოიგო.

მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ იტალიის ნაკრების და „ფორტიტუდოს“ ფორვარდი გრეგორ ფუჩკა დაასახელეს. წარმოშობით სლოვენიელმა და ამჟამად იტალიის მოქალაქე კალათბურთელმა 24 წუთი ითამაშა. მისი მონაგარია 22 ქულა (9 ორქულიანი, ერთი სამქულიანი, ერთი საჯარიმო), 9 მოხსნა და 2 პასი. იგი ორივე გუნდიდან ყველაზე შედეგიანი იყო. შეგახსენებთ, რომ ფუჩკა ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელადაც აღიარეს.

სამქულიანების კონკურსი იტალიის ნაკრების და „ფორტიტუდოს“ 210-სანტიმეტრიანმა ფორვარდ-ცენტრმა ჯაკომო გალანდამ მოიგო. ნახევარფინალში მან 17:16 (25 სროლიდან) დაამარცხა თანაგუნდელი ალესანდრო აბიო, ხოლო ფინალში უკანასკნელ დანტე კალაბრიას შეება. გალანდამ 25-დან 15 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო კალაბრიამ — 12.

ჩატენვების კონკურსი ცალკე არ გამართულა. სპეციალური ჟიური მატჩის მსვლელობაში გაკეთებულ ჩატენვებს აფასებდა და საუკეთესოც იქიდან გამოავლინა. გამარჯვებული ბოლონიის „კინდერის“ ფორვარდი ემანუელ ჯინობილი გამოვიდა. ჟიურიმ საუკეთესოდ ის ჩატენვა აღიარა, რომლითაც ჯინობილიმ მატჩის ანგარიში გახსნა: კალათბურთელმა ბურთი ფარის სიახლოვეს მიიღო, ახტა, ჰაერში შემოტრიალდა და მარცხენა ხელით ჩატენა, გზად კი მეტოქე დენის მარკონატოს ბურთი თავზე გადაატარა. მიღებული პრიზი ჯინობილიმ ამერიკელ კალათბურთელს, შარშან დაღუპულ კონრად მაკრეის ხსოვნას მიუძღვნა. მაკრეი კარგა ხანს თამაშობდა იტალიაში და ჩატენვების დიდოსტატად ითვლებოდა.

ოლ სტარზი

**ვარსკვლავები 83:101 იტალია**

**ვარსკვლავები: პოცეკო (7), სმიტი (17), ჯინობილი (6), ნოლანი (10), გრიფიტი (5); გილმორი (2), სკოტი (16), კალაბრია (3), ბონი, გარბახოსა (2), სეკუნდა**

**მწვრთნელი: კარლო რეკალკატი**

**იტალია: ბულერი (4), აბიო (13), ფუჩკა (22), გალანდა (3), მარკონატო (8); სამბუგარო (12), რიგეტი (7), პეჩილე (11), პოდესტა (5), მაჯოლი (10), დამიაო (2), მონტი**

**მწვრთნელი: ბოგდან ტანიევიჩი**

ამ კვირაში არც სუპროლიგის მატჩებია, არც ევროლიგის და არც იტალიის ნაკრები მონაწილეობს ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. იტალიის კალათბურთის ფედერაციამ ეს „ფანჯარა“ გამოიყენა და ქალაქ ტრიესტში „ოლ სტარზი“ გამართა. იქაური ტრადიციის მიხედვით, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქვეყნის ეროვნული გუნდი და იტალიის ლიგაში მოთამაშე ადგილობრივი და უცხოელი ვარსკვლავები. ცხადია, „ვარსკვლავების“ შემადგენლობა ოპტიმალური არ იყო, რადგან ბევრი უცხოელი კალათბურთელი თავთავიანთი ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავს ევრობასკეტ-2001-ის შესარჩევ თუ ამხანაგურ მატჩებში. იტალიის ნაკრებს მისი მწვრთნელი ბოგდან ტანიევიჩი თავკაცობდა, „ვარსკვლავებს“ — ქვეყნის ჩემპიონის, ბოლონიის „ფორტიტუდოს“ დამრიგებელი კარლო რეკალკატი.

## იტალიური «ოლ სტარზის» ყველა უძვირფასესი მოთამაშე

| თარიღი | ქალაქი | მოთამაშე |
|---|---|---|
| 1982 | მილანი. | მაიკ დანტონი |
| 1983 | კაზერტა | კლაიდ ბრედშოუ |
| 1984 | ტრევიზო | სტან პიეტკევიჩი |
| 1985 | რომი | ჯო ბრაიანტი |
| 1986 | ფლორენცია | ჯო ბრაიანტი |
| 1987 | რომი | ოსკარ შმიდტი |
| 1988 | რომი | რეი რიჩარდსონი |
| 1989 | რომი | ვეს მეტიუზი |
| 1990 | რომი | მაიკლ კუპერი |
| 1991 | რომი | დინო რაჯა |
| 1993 | რომი | რეი რიჩარდსონი |
| 1994 | ვენეცია | ალექსანდრ ჯორჯევიჩი |
| 1995 | რომი | ორლანდო ვულრიჯი |
| 1996 | პეზარო | მაიკ იუზოლინო |
| 1997 | ფლორენცია | ტარლ ბეილი |
| 1998 | ნეაპოლი | ვინჩენცო ესპოზიტო |
| 1999 | ბოლონია | ანდრეა მენეგინი |
| 2001 | ტრიესტი | გრეგორ ფუჩკა |

*სუპროლიგის მე-11 ტურის საუკეთესო მოთამაშედ ბელგიური „ოსტენდეს“ ცენტრი ტომას ვან დენ შპიგელი დაასახელეს. 22 წლის წინ გენტში დაბადებული 214-სანტიმეტრიანი კალათბურთელი თავის გუნდის და ბელგიის ნაკრების ლიდერია. ლევერკუზენის „ბაიერთან“ ვან დენ შპიგელმა საუკეთესო სასუპროლიგო მატჩი ჩაატარა: 24 ქულა (თორმეტიდან ათი ორქულიანი), 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება გააკეთა. „ოსტენდემ“ 88:85 მოიგო, ხოლო ვან დენ შპიგელმა ბელგიელი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.*



ტომას ვან დენ შპიგელი

# ტომას ვან დენ შპიგელი: უნებური აგრესორი

**— კმაყოფილი ხართ „ბაიერის“ წინააღმდეგ თქვენი თამაშით?**

— კარგად ვითამაშე, მაგრამ არა შესანიშნავად. თანაგუნდელები დამეხმარნენ. რამდენჯერმე ისეთი პასი მივიღე, რომ ჩაგდების მეტი აღარაფერი მრჩებოდა. ეს გუნდური გამარჯვება იყო.

**— თქვენ და ლიტველი ვირგინიუს პრაშკევიჩუსი კარგად ხართ შეთამაშებულნი...**

— მართალია. სეზონის დასაწყისშივე გავუგეთ ერთმანეთს. კალათბურთის თაობაზე დაახლოებით ერთნაირი აზრები გვაქვს. პრაშკევიჩუსი ძალიან ბევრს მოძრაობს. შეტევაშიც და დაცვაშიც საკმაოდ აქტიურია, დიდ სამუშაოს ასრულებს და ამით მე სივრცეს მითავისუფლებს.

**— ორივეს დიდხანს გიწევთ მოედანზე ყოფნა. „ბაიერთან“ თქვენ 34 წუთი ითამაშეთ, პრაშკევიჩუსმა — 40...**

— გეთანხმებით, ბევრია, მაგრამ მწვრთნელსაც უნდა გავუგოთ: მას არ სურს ხუთეულის შეცვლა, როცა გუნდს თამაში მისდის. არა უშავს, ახლა დავისვენებთ, მომავალი მატჩი თითქმის ორი კვირის შემდეგ გვაქვს. ისე, ძლიერ მეტოქესთან დაღლა მირჩევნია, ვიდრე სუსტი გუნდის წინააღმდეგ ნახევარი ძალით თამაში. ასე უფრო ვიღლები.

**— ბელგიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილეობს. ამჯერად თქვენ გუნდთან არ ხართ. რატომ? დაიღალეთ?**

— არა, კოჭი მაწუხებს. მკვეთრი მოძრაობისას ტკივილს ვგრძნობ, რომლის დაამებასაც რამდენიმე წუთი სჭირდება. გადავწყვიტე, კოჭი დავასვენო.

**— სეზონის სტარტზე ძალიან ხშირად ჯარიმდებოდით...**

— ასე იყო, სანამ სუპროლიგის თამაშებს ალღოს ავუღებდი. გამოცდილ მეტოქეებთან მიწევს ჭიდილი და, ვცილობდი, მათთვის არაფერი დამეთმო. უნებურად ეს აგრესიულობაში გადამდიოდა და ჯარიმაც არ იგვიანებდა. ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით გამოვასწორე, თუმცა სრულყოფილებამდე ჯერ შორია.

**— „ბაიერთან“ მატჩს დავუბრუნდეთ. ორჯერ ათ-ათი ქულით იყავით წინ, მაგრამ მოგება მაინც გაგიჭირდათ...**

— იმიტომ, რომ „ბაიერი“ მებრძოლი გუნდია. თამაშების უმეტესობა მან ერთი-ორი ქულით წააგო. ლევერკუზენელები არასდროს ნებდებიან, აგერ, ახლაც, ორჯერ გაგვიბათილეს ათქულიანი დაწინაურება.

**— ამ მატჩში თქვენ ცუდად ესროდით საჯარიმოებს...**

— მართალი ბრძანდებით. სროლის დროს ნერვებს ვერ ვიოკებდი. ვარჯიშზე ამას კარგად ვახერხებ, თამაშზე კი არ გამომდის. სამწუხაროა, ბოლო დროს ხშირად ვდგავარ საჯარიმოს ხაზზე და ვერ ვყოჩაღობ. შრომა და ვარჯიში — სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

**— „ოსტენდეში“ დიდხანს დარჩებით?**

— ამ გუნდში თავს კარგად ვგრძნობ. სხვაგან გადასვლაზე იყო რაღაც ლაპარაკი, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. „ოსტენდესთან“ 15 მაისს მიმთავრდება კონტრაქტი. ცხადია, ამის შემდეგ, სადაც მოვისურვებ, იქ წავალ, მაგრამ თუკი ჩემი გუნდი კარგ წინადადებას შემომთავაზებს, ფეხს არსად გავდგამ.

# ვეისის პირველი მოგება

ამხანაგური მატჩი

**გერმანია 63:64 საფრანგეთი**

**გერმანია: პაპიჩი (2), ბეეხუმი (6), ბოგოევიჩი (7), ვუხერერი (12), გარეტი (10), ჰუპმანი (4), ტერდენგე (4), ფემერლინგი (2), ნეესი (1), ოკულაია (15)**

**საფრანგეთი: სკიარა (26), რიგოდო (10), ბერნარი (5), დიუმასი (1), გოტიე (2), ჟულიანი (15), ფრიგუ (2), რუპერტი (3)**

სიდნეის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა საფრანგეთის ნაკრებმა წლეულს პირველი მატჩი გამართა და ძნელი გამარჯვება მოიპოვა გერმანიასთან. შეხვედრა ბრაუნშვაიგში ჩატარდა ოთხშაბათს საღამოს.

„ლურჯებმა“ ტაიმი ორი ქულით (36:34) მოიგეს და თუ გამარჯვება ხელიდან არ გაუშვეს, ეს უპირველესად მათი გამთამაშებლის ლორან სკიარას დამსახურებაა. ვილერბანელი იმ საღამოს მართლაც ბრწყინავდა და ჯამში 26 ქულა დააგროვა. განსაკუთრებით გამეტებით მან გერმანელები მეორე მეოთხედში დაარბია, როცა 16 ქულა მოიხვეჭა. ეს სკიარას პირადი რეკორდია საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში, რამაც „ლურჯების“ ახალ დამრიგებელ ალენ ვეისს ამ თანამდებობაზე თავისი პირველი გამარჯვება მოაპოვებინა.

თავიდან მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს თამაში და მალეც დაწინაურდნენ 17:8, რაც ძირითადად ადემოლა ოკულაიას დამსახურება იყო. თუმცა მოწინააღმდეგე ბანაკში ხომ სკიარა იყო. ექსპარიზელმა თავისიანების უზუსტობების შემხედვარემ თამაში უმალ საკუთარ თავზე აიღო, გამთამაშებელთან ერთად მსროლელის ფუნქციებიც შეითავსა და გერმანელებსაც ნელ-ნელა წამოეწივნენ ფრანგები.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა დაცვას მიხედეს და მინიმალური უპირატესობის შენარჩუნებაზე დაიწყეს ზრუნვა. ამ საქმეებში თავისი სიტყვა თქვა სირილ ჟულიანმაც, რომელიც თავდასხმაშიც და დაცვაშიც მშვენივრად ირჯებოდა. გერმანელებმა კი საჯარიმოების უხეირო ტყორცნას (28-დან 15) უნდა დააბრალონ მარცხი.

თუმცა, რომ არა სკიარა, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნები მაინც წააგებდნენ. გერმანია 63:62 იგებდა და საფინალო სირენამდე რამდენიმე წამი რჩებოდა. ვილერბანელმა ისევ თავის თავზე აიღო ინიციატივა და გამარჯვების მომტანი გარღვევაც განახორციელა.

„ლურჯები“ დღეს კიდევ ერთ თამაშს გამართავენ. ისინი დიჟონში ლიტვას უმასპინძლებენ.

**გაგი გურული**



მატჩის გმირი ლორან სკიარა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 18.30 | 003 | ვერდერი-მიუნხენ 1860 | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.30 | 004 | ფრაიბურგი-უნტერჰახინგი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.30 | 005 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.30 | 006 | ბაიერნი-ბოხუმი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 007 | ბაიერნი-ბოხუმი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.30 | 008 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 009 | დორტმუნდი-კოტბუსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.15 | 010 | აინტრახტი-კიოლნი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 20.30 | 011 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 012 | ლევერკუზენი-შტუტგარტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.30 | 013 | ჰამბურგი-ჰერტა | 2,1 | 2,9 | 3,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 18.00 | 017 | როიტლინგენი-ალემანია | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 18.00 | 018 | მიონხენგლადბახი-ოსნაბრუკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 019 | მიონხენგლადბახი-ოსნაბრუკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 18.00 | 020 | ალენი-ნიურნბერგი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 18.00 | 021 | კიკერსი-მაინცი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.00 | 022 | დუისბურგი-ობერჰაუზენი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 18.00 | 023 | არმინია-ულმი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **29 იანვარი** | | | |
| 23.15 | 024 | ფიურტი-ზაარბრიუკენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 19.00 | 025 | ფულემი-ბირმინგემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 026 | გრიმსბი-პორტსმუთი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 027 | ნორვიჩი-უოტფორდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 29-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 16.00 | 028 | ნორთჰემპტონი-პიტერბრო | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 029 | კემბრიჯი-უოლსოლი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 030 | ლუთონი-რედინგი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 19.00 | 031 | მილუოლი-ბორნმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 032 | ოლდემი-ბრენტფორდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 19.00 | 033 | ოქსფორდი-კოლჩესტერი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 034 | როტერჰემი-პორტვეილი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 035 | სტოკი-უიგანი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 036 | სუინდონი-ბერი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 037 | რექსჰემი-ნოთსი | 2,3 | 3,1 | 2,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 29-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 19.00 | 038 | ბარნეტი-ჰარტლპული | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 039 | ბლექპული-იორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 040 | კარლაილი-მენსფილდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 041 | ჩელტენემი-სკანთორპი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 042 | ჩესტერფილდი-ტორკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 043 | ჩესტერფილდი-ტორკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 044 | ექსეტერი-ბრაიტონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 19.00 | 045 | კიდერმინსტერი-ჰალი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 046 | ლინკოლნი-დარლინგტონი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 047 | მაკლსფილდი-კარდიფი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 048 | პლიმუთი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 049 | საუთენდი-შრიუსბერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 16.00 | 050 | როჩდეილი-ლეიტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-24 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 20.15 | 052 | ლიონი-ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 053 | რენი-ბასტია | 1,9 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 054 | ოსერი-გენგამი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 055 | პსჟ-ლანსი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 056 | სედანი-მეცი | 1,5 | 3,3 | 6,5 |
| 23.00 | 057 | ტულუზი-მონაკო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.00 | 058 | ლილი-სენტ ეტიენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 059 | სტრასბური-ტრუა | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 23.00 | 060 | ბოვე-კრეტეი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 23.00 | 061 | ლე მანი-გენიონი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 23.00 | 062 | ნიმი-ლავალი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 063 | შატორუ-ლე ავრი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 064 | მარტიგი-ლორიანი | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 23.00 | 065 | ნიორი-ნანსი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 066 | აიაჩო-ნიცა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 067 | კანი-სოშო | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 23.00 | 068 | კაენი-ვასკეალი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 20.00 | 069 | ანჟერი-მონპელიე | 3,6 | 2,9 | 2,0 |

### იტალია. სერია A. მე-16 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 18.00 | 070 | ლეჩე-ბოლონია | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.30 | 071 | რეჯინა-პერუჯა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 18.00 | 072 | ბრეშა-მილანი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 18.00 | 073 | ფიორენტინა-ლაციო | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 18.00 | 074 | ინტერი-ბარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 075 | ინტერი-ბარი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 076 | იუვენტუსი-ვიჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 077 | იუვენტუსი-ვიჩენცა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 078 | რომა-ნაპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 079 | რომა-ნაპოლი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 080 | ვერონა-პარმა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 081 | უდინეზე-ატალანტა | 2,0 | 2,8 | 3,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### იტალია. სერია B. მე-20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 იანვარი** | | | |
| 18.00 | 083 | კროტონე-კალიარი | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 18.00 | 084 | პიაჩენცა-ჩიტადელა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 18.00 | 085 | პესკარა-კოზენცა | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 18.00 | 086 | ვენეცია-მონცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 087 | ვენეცია-მონცა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 088 | სალერნიტანა-რავენა | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 089 | ტერნანა-სამპდორია | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 090 | ტრევიზო-სიენა | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 091 | ანკონა-ტორინო | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| | | **29 იანვარი** | | | |
| 23.45 | 092 | პისტოიეზე-ემპოლი | 2,2 | 2,5 | 3,6 |

### იტალია. სერია C1/a. მე-20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 იანვარი** | | | |
| 17.30 | 093 | ალძანო-ვარეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 094 | არეცო-ბრეშელო | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 17.30 | 095 | ჩეზენა-პიზა | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 17.30 | 096 | კომო-ალესანდრია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 17.30 | 097 | ლუმეცანე-მოდენა | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 17.30 | 098 | რეჯანა-ლუკეზე | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 099 | სპალ-კარარეზე | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 100 | სპეცია-ალბინოლეფე | 1,8 | 2,6 | 5,3 |
| | | **29 იანვარი** | | | |
| 23.30 | 101 | ლივორნო-ლეკო | 1,3 | 3,5 | 9,0 |

### იტალია. სერია C1/b. მე-20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 იანვარი | | | |
| 17.30 | 102 | ასკოლი-ჯულიანოვა | 1,45 | 3,0 | 9,0 |
| 17.30 | 103 | ბენევენტო-ლოდიჯანი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 17.30 | 104 | კატანია-დი სანგრო | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 105 | ფ.ანდრია-აველინო | 2,8 | 2,4 | 2,8 |
| 17.30 | 106 | მესინა-ფერმანა | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 17.30 | 107 | ნოჩერინა-ვიტერბეზე | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 17.30 | 108 | პალერმო-პეზარო | 1,4 | 3,2 | 8,0 |
| 17.30 | 109 | ტორესი-აკილა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 17.30 | 110 | სავოია-ატლეტიკო | 1,45 | 3,1 | 8,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. მე-20 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 23.45 | 111 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 24.00 | 112 | მალაგა-ბარსელონა | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 24.00 | 113 | ბილბაო-დეპორტივო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 20.00 | 114 | სელტა-ოსასუნა | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 115 | რაიო ვალეკანო-ვილიარეალი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 20.00 | 116 | ალავესი-ლას პალმასი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 117 | ოვიედო-ნუმანსია | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 118 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 20.00 | 119 | რასინგი-სოსიედადი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 120 | ვალენსია-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 22-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 20.00 | 121 | ატლეტიკო-ლევანტე | 1,8 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 122 | ბეტისი-კომპოსტელა | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| | 123 | ბეტისი-კომპოსტელა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 15.00 | 124 | მურსია-სევილია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 125 | ფეროლი-ხაენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 126 | ბადახოსი-უელვა | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 20.00 | 127 | კორდობა-ხეტაფე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 128 | ესტრემადურა-ლეგანესი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 20.00 | 129 | ეიბარი-ლეიდა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 130 | სალამანკა-ელჩე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 21.00 | 131 | უნივერსიდადი-სპორტინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 132 | ტენერიფე-ალბასეტე | 1,65 | 3,0 | 5,0 |

### პორტუგალია. I ლიგა. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 20.30 | 135 | პორტუ-ბელენენსეში | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 136 | პორტუ-ბელენენსეში 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 137 | სპორტინგი-გიმარაეში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 138 | სპორტინგი-გიმარაეში 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 19.00 | 139 | ავეში-ფერეირა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 140 | სალგეირუში-კამპომაიორენსე | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 141 | ჟილ ვისენტე-მარიტიმუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 142 | ალვერკა-ფარენსე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 143 | ლეირია-ბოავიშტა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 01.00 | 144 | ბეირა მარი-ბენფიკა | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### პორტუგალია. II ლიგა. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 20.00 | 145 | აკადემიკა-ოვარენსე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 19.00 | 146 | ნავალი-შავეში | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 147 | ესპინიუ-რიუ ავე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 19.00 | 148 | ლამაში-ფელგეირაში | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 149 | ლამაში-ფელგეირაში 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 150 | ფრეამუნდე-ლეცა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 151 | ვარზიმი-იმორტალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 152 | ვარზიმი-იმორტალი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.30 | 153 | პენაფიელი-სანტა კლარა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 154 | სეტუბალი-მაია | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.00 | 155 | მარკუ-ნასიონალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 იანვარი** | | | |
| 22.30 | 156 | პსვ-როზენდალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 157 | პსვ-როზენდალი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 158 | ფეიენოორდი-ბრედა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 159 | ფეიენოორდი-ბრედა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-18 ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 160 | იგლსი-ვეენდამი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 161 | დორდრეხტი-ჰელმონდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 162 | კამბური-ეინდჰოვენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 163 | დენ ბოსხი-მაასტრიხტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 17.30 | 164 | ოსი-დენ ჰააგი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**ბელგია. I დივიზიონი. მე-20 ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 165 | ბევერენი-ანდერლეხტი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| 23.00 | 166 | ანტვერპენი-შარლერუა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 167 | გენკი-სენტ ტრუიდენი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 168 | ლიერსი-ვესტერლო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 169 | ლოკერენი-ბრიუგე | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 23.00 | 170 | გენტი-აალსტი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 171 | გენტი-აალსტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 172 | სტანდარდი-ბეერსხოტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 173 | სტანდარდი-ბეერსხოტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 174 | მუსკრონი-მეხელენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 175 | მუსკრონი-მეხელენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 176 | ლუვიე-ჰარელბეკე | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**ბელგია. II დივიზიონი. 21-ე ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 177 | დესელი-ჰეკელგემი | 1,7 | 3,2 | 4,0 |
| 22.30 | 178 | მონსი-სერკლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 179 | დაინცე-გეელი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.00 | 180 | ლიეჟი-ინგელმუნსტერი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 23.00 | 181 | მაასლანდი-ოსტენდე | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 182 | ჰეუსდენი-რუზელარე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 183 | ლომელი-სტრომბეკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 184 | ლომელი-სტრომბეკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 185 | ტურნჰაუტი-ტინენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 18.00 | 186 | მოლენბეკი-დენდერლეუ | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| | 187 | მოლენბეკი-დენდერლეუ 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

**საბერძნეთი. მე-16 ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 188 | არისი-ოფი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 189 | არისი-ოფი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 190 | იანინა-პანათინაიკოსი | 6,5 | 3,4 | 1,5 |
| 19.00 | 191 | ქსანტი-პანაჰაიკი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 19.00 | 192 | პანიონიოსი-პანილიაკოსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 193 | ათინაიკოსი-იონიკოსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 194 | პაოკ-კალამატა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 195 | პაოკ-კალამატა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 196 | ეთნიკოსი-ოლიმპიაკოსი | 4,4 | 3,0 | 1,7 |
| 21.00 | 197 | ირაკლისი-აეკ | 1,8 | 2,9 | 4,4 |

**თურქეთი. მე-19 ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 199 | ადანა-გენჩლერბირლიგი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 15.30 | 200 | ერზურუმი-გალათასარაი | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 16.00 | 201 | ქოჯაელი-ანკარაგიუჯიუ | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 202 | ისთანბული-ფენერბაჰჩე | 3,5 | 3,0 | 2,0 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 203 | სამსუნი-გაზიანთეფი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 15.30 | 204 | რიზე-იეთფა | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 15.30 | 205 | დენიზლი-იოზგათი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 206 | ბეშიქთაში-ანთალია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 207 | ბეშიქთაში-ანთალია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ინგლისი. ასოციაციის თასის 1/16 ფინალი**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 208 | ლიდსი-ლივერპული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 209 | სანდერლენდი-იფსვიჩი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 210 | ბლექბერნი-დერბი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 211 | სიტი-ქოვენთრი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 212 | ქრიუ-სტოკპორტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 213 | საუთჰემპტონი-უენსდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 214 | უიკომბი-ვულვერჰემპტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 215 | ევერტონი-ტრანმერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 216 | ქუინზ პარკი-არსენალი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 19.00 | 217 | ასტონ ვილა-ლესტერი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 218 | ბოლტონი-ბარნლი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 18.00 | 219 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 220 | ჯილინგემი-ჩელსი | 5,0 | 3,5 | 1,5 |

**ჰოლანდია. თასის 1/8 ფინალი**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 224 | ჰერაკლესი-ცვოლე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 225 | სიტარდი-ტვენტე | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 22.00 | 226 | ვენლო-ჰერენვენი | 3,6 | 3,2 | 1,8 |

**შოტლანდია. თასის მე-3 ეტაპი**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 227 | სენტ ჯონსტონი-დანფერმლაინი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 228 | სენტ მირენი-მოზერუელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. აფრიკა**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 502 | მადაგასკარი-კოტ დივუარი | 3,0 | 2,9 | 2,0 |
| 20.00 | 503 | ნიგერია-სუდანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 504 | სამხრეთ აფრიკა-ბურკინა ფასო | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 505 | ტოგო-კამერუნი | 4,7 | 3,4 | 1,65 |
| 18.00 | 506 | განა-ლიბერია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 507 | კონგო-ტუნისი | 3,4 | 3,1 | 1,8 |
| 18.30 | 508 | ანგოლა-ლიბია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.30 | 509 | გვინეა-მალავი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 510 | ეგვიპტე-მაროკო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**კალათბურთი**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 807 | იუტა-სან ანტონიო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 02.30 | 808 | ორლანდო-მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 02.30 | 809 | ჩიკაგო-ტორონტო | 2,8 | 12,0 | 1,25 |
| 02.30 | 810 | მინესოტა-პორტლენდი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 05.00 | 811 | შარლოტი-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 812 | კლივლენდი-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 813 | ვაშინგტონი-ფინიქსი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 05.30 | 814 | მილუოკი-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.00 | 815 | დენვერი-დალასი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 07.00 | 816 | სიეტლი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 817 | კლიპერსი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,2 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 818 | ინდიანა-ფილადელფია | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 23.30 | 819 | ნიუ იორკი-ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

**29 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 820 | ბოსტონი-დეტროიტი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 04.00 | 821 | ვაშინგტონი-კლივლენდი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 822 | ატლანტა-ფინიქსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 823 | მინესოტა-მილუოკი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 06.00 | 824 | დენვერი-იუტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.00 | 825 | ვანკუვერი-ნიუ ჯერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.30 | 826 | გოლდენ სტეიტი-შარლოტი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 827 | კლიპერსი-სან ანტონიო | 3,1 | 12,0 | 1,2 |

**კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 828 | ჰოლანდია-ფინეთი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 19.00 | 829 | შვედეთი-ბოსნია | 2,5 | 12,0 | 1,2 |
| 19.00 | 830 | უკრაინა-მაკედონია | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 19.30 | 831 | ბულგარეთი-ისრაელი | 2,5 | 12,0 | 1,2 |
| 20.00 | 832 | ბელარუსი-ავსტრია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 20.30 | 833 | პორტუგალია-ისლანდია | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 834 | სლოვაკეთი-შვეიცარია | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 21.00 | 835 | ლატვია-ხორვატია | 2,0 | 12,0 | 1,45 |
| 21.15 | 836 | პოლონეთი-საბერძნეთი | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| 21.30 | 837 | ესტონეთი-ჩეხეთი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 22.30 | 838 | ბელგია-სლოვენია | 2,5 | 12,0 | 1,25 |
| 23.30 | 839 | ინგლისი-უნგრეთი | 1,4 | 12,0 | 2,1 |

**ჰოკეი**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 908 | მონრეალი-ვაშინგტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 22.30 | 909 | კაროლინა-ფილადელფია | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 01.00 | 910 | ლოს ანჯელესი-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 911 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.00 | 912 | ტორონტო-რეინჯერსი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.00 | 913 | აილენდერსი-ბუფალო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 914 | პიტსბურგი-ატლანტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 915 | ფლორიდა-ტამპა ბეი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 916 | კოლუმბუსი-ანაჰაიმი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 05.00 | 917 | სენტ ლუისი-სან ხოსე | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 05.00 | 918 | ნეშვილი-კოლორადო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 07.00 | 919 | კალგარი-ვანკუვერი | 2,5 | 4,0 | 1,8 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 920 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 22.30 | 921 | მონრეალი-ოტავა | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 04.30 | 922 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,55 | 4,0 | 3,2 |

**29 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 923 | სენტ ლუისი-ტორონტო | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 04.00 | 924 | კაროლინა-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 925 | რეინჯერსი-ატლანტა | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 06.00 | 926 | ფინიქსი-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

ხელბურთი

# ნეტავი ავად მამყოფა...

**საფრანგეთში,** ხელბურთელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ტური ხუთშაბათს გაიმართა და ზოგიერთი დასკვნის გაკეთება უკვე შეიძლება. კერძოდ, მერვედფინალში თავი დაგულებული აქვთ მასპინძლებს, შვედებს, ესპანელებს, ხორვატებს, გერმანელებს, რუსებს და იუგოსლავიელებს. რამდენიმე გუნდს კი შემდეგ ეტაპზე გასვლის ყველანაირი შანსი გადაეწურა. დანარჩენებიდან ზოგი უკეთეს დღეშია, ზოგი უარესში. ყველაზე გაურკვეველი ვითარება კი D ჯგუფშია. ასეა თუ ისე, შაბათ-კვირას ჯგუფური ეტაპის დანარჩენი ორი ტურიც ჩატარდება და საუკეთესო თექვსმეტეულიც გაირკვევა, რომელიც 31 იანვარს განახევრდება. მეოთხედფინალები პირველ თებერვალსაა დანიშნული. ნახევარფინალები და ფინალი კი მომავალ უქმეებზე გაიმართება.

ბარაქალა ეგვიპტეს — „ჩვენ დაცვითი ტაქტიკა ავირჩიეთ და თითქმის მატჩის ბოლომდე გავუძელით მეტოქეს. ოთხი ექვსის წინააღმდეგ რომ არ დავრჩენილიყავით, შეიძლება ერთი ქულა მაინც აგველო. ეგვიპტე კი შარშანდელთან შედარებით გაცილებით უფრო ძლიერია" — თავისი მძლეველი აქო პორტუგალიელთა მთავარმა მწვრთნელმა ხავიერ კუესტამ.

არადა, კუესტას, წესით, თავისი ბიჭებისთვის უნდა შეესხა ხოტბა, რომ არა შეხვედრის მიწურულს დაშვებული შეცდომები. თავიდან პორტუგალიამ გაცილებით უკეთ დაიწყო და ჩეკულაევის ოსტატობის წყალობით 3:0 დაწინაურდა. ეგვიპტელებმა მყისვე დაინახეს, თუ საიდან ემუქრებოდათ მთავარი საფრთხე და ტომით უკრაინელმა ხელბურთელმაც მთელი დარჩენილი დრო პერსონალურ მეურვესთან ჭიდილში გაატარა. ამან მალე გამოიღო შედეგი, რადგან ევროპელების შეტევებს სიმწვავე მოაკლდა. ეგვიპტელებმაც რამდენიმე ბურთი მოინადირეს, სწრაფი კონტრშეტევები განახორციელეს და მე-13 წუთზე ანგარიშიც გაათანაბრეს (4:4).

მერე, მართალია, პორტუგალიამ რიცხობრივი უპირატესობის ხარჯზე ისევ მოახერხა წინ გასვლა (6:4), მაგრამ თამაში უკვე გათანაბრებული იყო. შესვენების შემდეგ რესენდემ იყოჩაღა და თავისიანები 12:10 დააწინაურა, მაგრამ აფრიკელები თანდათანობით სჯაბნიდნენ მოწინააღმდეგეს. ისინი გუნდურად ძალიან გამართულად თამაშობდნენ, პირინეელები კი მხოლოდ ინდივიდუალური ოსტატობის იმედზე იყვნენ. ჰოდა, 41-ე წუთზე აფრიკის ჩემპიონი პირველად დაწინაურდა (14:13) ფრანგული „მონპელიეს" წევრ აშრაფ ავადის გოლით. ავადმა კიდევ ექვსჯერ გამოიჩინა თავი და თავისიანთაგან ყველაზე შედეგიანი გახდა.

აქედან მოყოლებული, დაახლოებით ათი წუთი, გუნდები ბურთი-ბურთში მიდიოდნენ, ბოლოს კი ეგვიპტელებს პორტუგალიის თავკაცები დაეხმარნენ, როცა მოედანზე ზედმეტი ხელბურთელი შეუშვეს და დაისაჯნენ. „ფარაონებმა" ორით ნაკლები მეტოქე იოლად დაჯაბნეს და საბოლოოდ 23:19 მოიგეს.

წინა ორ ტურში არგენტინამ ორჯერ გაიმარჯვა, ხუთშაბათს კი გამოჩნდა, რომ მსოფლიო ხელბურთის ელიტის ევროპელ წარმომადგენლებზე მთელი ათი თავით დაბლა დგას. სიდნეის ოლიმპიადის ნახევარფინალისტმა იუგოსლავიამ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. განსაკუთრებით კოშმარული არგენტინელებისთვის პირველი ტაიმი გამოდგა, რომელიც მათ 2:15(!) დათმეს. ამაში მთავარი დამნაშავე უდავოდ სლავთა კარის დარაჯი პულიეჟევიჩი იყო, რომელმაც 15-დან 13 ტყორცნა მოიგერია.

შესვენების შემდეგ „პუმებმა" ერთიც გაიტანეს და იუგთა თავკაცმა მეორე მეკარე სტერბიკი ჩართო თამაში, რომელმაც წინამორბედზე უკეთესი დღე არ აყარა მეტოქის თავდამსხმელებს. იუგოსლავია 50-ე წუთზე უკვე 24:8 იგებდა და თან ლამის ნახევარი ძალით თამაშობდა. მაყურებელი მოუთმენლად ელოდა სამხრეთამერიკელთა მეათე გოლს, მაგრამ უფრო ადრე მათ კარში გატანილი ოცდამეათე გოლი იხილა. ალბათ, ეს კოშმარი დიდი ხნით დაამახსოვრდებათ „პუმებს".

ტურის მშვენება უდავოდ C ჯგუფში ხორვატიისა და გერმანიის დაპირისპირება იყო. ხორვატები საფინალო სირენამდე 12 წუთით ადრე 6 ბურთით ჩამორჩებოდნენ, მაგრამ მაინც შეძლეს თამაშის გადარჩენა. პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და იგი გერმანიამ მხოლოდ ერთი ბურთით (13:12) მოიგო. შესვენების შემდეგ იმელმა და კემანმა ორ-ორჯერ იხეირეს და თავისიანები 17:13 დააწინაურეს. 48-ე წუთზე კი ანგარიში უკვე 22:16 იყო. თუმცა შემდგომ ექვსი წუთი ხორვატიამ 6:0 მოიგო და...

როგორც იქნა, გაიმარჯვა უკრაინამ, რომელიც პირველ ორ ტურში კი დამარცხდა, მაგრამ ორჯერვე მძიმე ბრძოლაში. ამჯერად მან ნორვეგიის მძლეველ ტუნისს აჯობა. ევრო 2000-ის საუკეთესო მეგოლე ოლეგ ველიკიც გამოფხიზლდა და ისედაც რიგიანად მოთამაშე უკრაინა კიდევ უფრო გაძლიერდა. ველიკიმ მატჩის საწყისი სამი გოლი შეაგდო და მერეც გვარიანად აწიოკა ტუნისელთა დაცვა. ტაიმი სლავებმა 11:10 მოიგეს. მეორე ოცდაათწუთეულში აფრიკელებს ბუდკომაც არ დააკლო ხელი. ჯგუფში სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა, რადგან ნორვეგიელებმა სლოვენიელთა დამარცხება შეძლეს.

**გაგი გურული**

### მსოფლიოს ჩემპიონატი

24 იანვარი. მეორე ტური

**A ჯგუფი**

ეგვიპტე 23:19 პორტუგალია

ისლანდია 31:23 მაროკო

შვედეთი 29:22 ჩეხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 86:64 | 6 |
| ეგვიპტე | 3 | 2 | 1 | 0 | 77:64 | 5 |
| ისლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 74:66 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 67:64 | 2 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 67:84 | 1 |
| მაროკო | 3 | 0 | 0 | 3 | 63:92 | 0 |

**B ჯგუფი**

საფრანგეთი 29:19 ბრაზილია

ალჟირი 26:13 ქუვეითი

იუგოსლავია 32:10 არგენტინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 82:46 | 6 |
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 86:53 | 6 |
| არგენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 52:67 | 4 |
| ალჟირი | 3 | 1 | 0 | 2 | 59:59 | 2 |
| ბრაზილია | 3 | 0 | 0 | 3 | 61:80 | 0 |
| ქუვეითი | 3 | 0 | 0 | 3 | 43:78 | 0 |

**C ჯგუფი**

ესპანეთი 45:18 აშშ

ხორვატია 23:23 გერმანია

გრენლანდია 20:27 კორეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 102:51 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 89:50 | 5 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 96:61 | 5 |
| კორეა | 3 | 1 | 0 | 2 | 70:79 | 2 |
| გრენლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 51:83 | 0 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 42:126 | 0 |

**D ჯგუფი**

სლოვენია 29:30 ნორვეგია

რუსეთი 29:18 საუდის არაბეთი

ტუნისი 18:24 უკრაინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 82:65 | 6 |
| სლოვენია | 3 | 2 | 0 | 1 | 92:76 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 69:71 | 4 |
| ტუნისი | 3 | 1 | 0 | 2 | 66:66 | 2 |
| უკრაინა | 3 | 1 | 0 | 2 | 75:76 | 2 |
| საუდის არაბეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 54:84 | 0 |

კრივი



ფრენკ მელოუნი: სადა არის აფრიკაში ამდენი ფული?

## ლუის — ტაისონის ჩხუბი აფრიკაში მოიგონეს

**ფრენკ მელოუნს**, ლენოქს ლუისის მენეჯერს, თითქოს განუცხადებია — ლუისსა და მაიკ ტაისონს შორის ბრძოლათა ბრძოლა ნამდვილად გაიმართება, თანაც 21 ივლისს სამხრეთ აფრიკაშიო. სამხრეთაფრიკელმა პრომოუტერმა, ჯო მანიათიმ თქვა, ლუისის ბანაკი თანახმაა, ახლა, სრული უფლება მაქვს ტაისონის ხალხთან ვილაპარაკო და ჩხუბის იოჰანესბურგში მოწყობაზე ვიზრუნოო. ამაზე მელოუნმა მხრები აიჩეჩა, ჩვენგან არაფერი თქმულა და თანაც ვეჭვობ, სამხრეთ აფრიკაში ამ დიდი მოვლენისთვის საკმარისი ფული ჰქონდეთო.

მელოუნმა რადიო 5-ს მისცა ინტერვიუ, სადაც ლუისის ბიზნეს-მენეჯერი და „ლაიონ პრომოუშენზის" წარმომადგენელი ადრიან ოგანი ახსენა. ოგანს მთელი ეს საქმე აბარია და ტაისონთან ბრძოლის თაობაზე მოლაპარაკების გამართვის უფლება არავისთვის მიუცია.

„ეტყობა ხალხს გადაავიწყდა, რომ ლენოქს ლუისს HBO-სთან აქვს კონტრაქტი, ხოლო მაიკ ტაისონს „შოუთაიმთან". ეტყობა, ამ ტელეკომპანიებთან არავინ მისულა და არ უკითხავთ, ჩხუბი სამხრეთ აფრიკაში რომ გავმართოთ, თუ მოგეწონებათო. ანკი სამხრეთაფრიკელ პრომოუტერებს საიდან უნდა ჰქონდეთ ასეთი თანხა, როდესაც თავად ამ ქვეყნის მოკრივეები ფულის გულისთვის საზღვარგარეთ გარბიან" — თქვა მელოუნმა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავად ლუისის ქცევა არ იძლევა გავრცელებული ცნობის დაჯერების საბაბს. ლუისი დაჟინებით ემზადება 21 აპრილს, ლას ვეგასში ჰასიმ რაჰმანთან ჩხუბისთვის. ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ლუისი რაჰმანთან ბრძოლის შემდეგ სულ მცირე, მაისის ბოლომდე დაისვენებს და მხოლოდ ამის შემდეგ თუ დაიწყებს კარიერის უდიდეს მოვლენაზე ფიქრს. და თუ ეს მოვლენა მართლა 21 ივნისს იქნება დანიშნული? მაშინ ლუისმა ვარჯიშის უკიდურესად გადატვირთული კალენდარი უნდა შეადგინოს და თან გარისკოს, რადგან კაცმა არ იცის, იქნება თუ არა ეს ვარჯიში ტაისონთან ჩხუბისთვის საკმარისი.

ცურვა

# შვედური სოციალიზმი: მეც, შენც, მასაც

**შვედეთის** დედაქალაქმა სტოკჰოლმმა მოცურავეთა მსოფლიოს თასის ბოლოსწინა, მეცხრე ეტაპს უმასპინძლა.

ერიკსდალსბადეტის საცურაო კომპლექსში, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძელმა ქალთევზებმა იყოჩაღეს. არცაა გასაკვირი. სკანდინაველ ქალთა ნაკრები ხომ ერთ-ერთი უძლიერესია და შინ რა ღმერთი გაუწყრებოდა?

ასპარეზობის პირველ დღეს 1500-მდე შვედი გულშემატკივარი მსოფლიოს თასის ორი რეკორდის მოწმე შეიქნა. შვედთა გასახარად, ერთ-ერთი მათმა თანამემამულე ტერეზა ალსამარმა დაამყარა, 50 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვაში შარშანდელი მიღწევა (24,43) გააუმჯობესა — 24,39.

აღსანიშნავია, რომ ამავე დისციპლინაში შვედებმა ვერცხლიც და ბრინჯაოც დაისაკუთრეს. ნახევარი დისტანციის გაცურვისას ჩემპიონის თანაგუნდელები — იოანა სიობერგი და ანა-კარინ კამერლინგი იყვნენ წინ, თუმცა ბოლოს მათ შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ასე იყო თუ ისე, არა გვგონია, ასეთი შედეგებით მასპინძლები უკმაყოფილონი დარჩენილიყვნენ.

შესაკრებთა გადანაცვლებით რომ ჯამი არ იცვლება, ამაში შვედები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, როდესაც მათმა თანამემამულეებმა ასპარეზობის მეორე დღესაც იგივე გაიმეორეს, ოღონდ ამჯერად წარმატება უფრო დიდი იყო.

50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში სკანდინაველთა ტრიომ, გარდა იმისა, რომ აქაც არავის დაუთმო საპრიზო ადგილები, წარმატება მსოფლიოს რეკორდით აღნიშნა. ამ შემთხვევაში ყველაზე სწრაფი მოცურავის ტიტული ანა-კარინ კამერლინგმა მოიპოვა. მან 15 დეკემბერს ვალენსიაში თავისივე მსოფლიოს რეკორდი (25,60) დაამხო — 25,36 და ამისთვის მანქანის გასალებიც ერგო. მეორე-მესამე ადგილებზე კი შესაბამისად ტერეზა ალსამარი და იოანა სიობერგი გავიდნენ.

სხვათა შორის, შვედებს სამივე ხარისხის მედლების მოგებაც ძალუძდათ ქალთა 100 მეტრზე ბატერფლაის, 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით, 400 მეტრზე კომპლექსურსა და ვაჟთა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, სადაც საპატიო კვარცხლბეკზე ორ-ორი ადგილი დაიკავეს.

მასპინძლებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ სტოკჰოლმის საცურაო აუზში სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მათი გულის გამხარებელს, ოლიმპიურ ჩემპიონ ლარს ფროლანდერს იხილავდნენ, მაგრამ გაწბილდნენ. ამით ყველაზე გულგატეხილი კი ფროლანდერის ავსტრალიელი მეტოქე მაიკლ კლიმი ჩანდა. მას ფროლანდერთან 100 მეტრზე ბარტერფლაით ცურვაში სიდნეური მარცხი მწარედ ახსოვს, ცხრა მთა და ცხრა ზღვაც კი გადმოლახა, რათა დაკარგული ოლიმპიური ოქროს მედლისთვის შური ეძია, მაგრამ... ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ქლორის გამო ალერგია მაწუხებსო და იმავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაზე უარი განაცხადა.

— აქ, სტოკჰოლმში, ყოველთვის მიუარესდება ჯანმრთელობა. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩემი გულშემატკივრების წინაშე მაიკლ კლიმთან პაექრობა ვერ შევძელი — განაცხადა ფროლანდერმა.

ამიტომაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მაიკლ კლიმს არ გასჭირვებია გამარჯვება (27,72). მიუხედავად იმისა, რომ მას წინააღმდეგობას უწევდა ევროპის ჩემპიონი, მასპინძელი სტეფან ნისტრანდი, რომელიც საბოლოოდ მეორე იყო — 27,96.

მართალია, მსოფლიოს თასის ასპარეზობანი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ თამაშებს ვერ გაუტოლდება, მაგრამ იქ მიღწეული წარმატებებიც გვარიანად უსქელებს ჯიბეს მოცურავეებს. ამისთვის ქულათა მაქსიმუმის დაგროვებაა საჭირო. ქულათა რაოდენობას კი საპრიზო ადგილებთან ერთად მსოფლიოს თასისა და მსოფლიოს რეკორდი განსაზღვრავს. ხოლო ის ქალ-ვაჟი, ვინც ამა თუ იმ ეტაპზე ფხას იჩენს და საკმარის ქულებს დააგროვებს, საპრიზო თანხასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში, შინ მანქანითაც ბრუნდება. ამ მხრივ „რთული ამოცანის" წინაშე დგას ხორვატი გორდან კოჟული. ჯერ იყო და წინა, ბერლინის მერვე ეტაპზე 66 ათას გერმანულ მარკასთან ერთად ავტომობილიც მიართვეს, აქაოდა შენზე მეტი ქულა ბერლინში ვერავინ დააგროვაო, ახლა, სტოკჰოლმშიც იგივე გაიმეორა, როდესაც 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჩემპიონობისთვის და ქულათა მაქსიმუმის დაგროვებისთვის „კრაისლერ პტ კრუიზერის" გასაღები გადასცეს. ვერაფერს იტყვი, ერთ კვირაში ორი მანქანა ურიგო მართლაც არ არის.

საინტერესოა, რომ კოჟულის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია. ალბათ ამიტომაცაა, დანაკარგის ანაზღაურებას მსოფლიოს თასზე რომ ცდილობს და არცთუ ურიგოდ. ხორვატმა მოცურავემ სამ კონტინენტზე გამართული მსოფლიოს თასის ხუთ ეტაპზე 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ათჯერ გაიმარჯვა.

სხვა მონაწილეთაგან თავი გამოიჩინა ავსტრალიელმა ჯიმ პაიპერმა, რომელმაც 200 მეტრზე ბრასით ბერლინის ეტაპზე დამყარებული მსოფლიოს თასის რეკორდი (2.07,74) გააუმჯობესა — 2.07,69.

ქალთა შორის იმავე დისციპლინაში ასეთივე წარმატებას მიაღწია ჩინელმა ჰუი ქიმ, რომელმაც, პაიპერისა არ იყოს, მსოფლიოს თასის რეკორდი დაამყარა — 2.20,28.

ამ ორზე უკეთ 31 წლის გერმანელმა ვეტერანმა სილვია გერაშმა გაცურა, რომელმაც შარშან ნოემბერში, ამავე ასპარეზობის მესამე ეტაპზე, ედმონტონში, 50 და 100 მეტრზე ბრასით ჩემპიონობა იზეიმა. ახლა კი, სტოკჰოლმში, ასეთი მიღწევა 50 მეტრზე იმავე დისციპლინაში ევროპის რეკორდით (31,04) დააგვირგვინა.

— ამ სეზონში ეს ჩემი ბოლო მსოფლიოს თასია — განაცხადა ახალგამომცხვარმა ევროპის რეკორდსმენმა, რომელსაც პარიზის მეათე ეტაპის ნაცვლად გერმანიის რეგიონალურ ჩემპიონატზე ასპარეზობა განუზრახავს, რათა თავის კლუბს დაეხმაროს.

აქვე შეგახსენებთ, რომ დასკვნით, ფინალურ ეტაპს ამ შაბათ-კვირას პარიზი უმასპინძლებს.



ტერეზა ალსამარი

**გიგა გურასაშვილი**



ენდი ნიკოლი, კეიტ ვუდი, რიჩარდ ჰილი, ფაბიენ პელუ, ალესანდრო ტრონკონი და სკოტ ქვინელი

# ხუთმა დაიწყო: ინგლისს სურდო შეეყარა

**რამდენიმე** კვირაში ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უმთავრესი სარაგბო ტურნირი — ექვსი ერის პირველობა იწყება. ამიტომაც, ტრადიციისამებრ ლონდონში თავი მოიყარეს ნაკრებების კაპიტნებმა და ჟურნალისტებს თავიანთი გუნდების გეგმებსა და მიზნებზე ესაუბრნენ. შემოდგომის ტესტების შემდეგ, როცა ევროპელებმა ბობოლა სამხრეთელებს ტოლი არაფერში დაუდეს და რამდენიმე მარცხიც აგემეს (ინგლისმა ყველას მოუგო, თვით მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიასაც), ექვსი ერის პირველობისადმი ინტერესი უდავოდ გაიზარდა. ლონდონელი ბუქმეიკერების ფავორიტები ინგლისი და საფრანგეთი არიან, თუმცა გრიპიანი მარტინ ჯონსონის შემცვლელი რიჩარდ ჰილი და ფრანგი ფაბიენ პელუ სხვა ნაკრებების შანსებსაც არ აფასებენ ძალიან ცუდად.

ინგლისის ვიცე-კაპიტნის თქმით, ისინი თავდაჯერებულნი კი არიან, მაგრამ როცა ექვსი ერის პირველობა იწყება, ამას აღარანაირი მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება ფავორიტობასო, ამბობს ჰილი, ასეთი რამის მტკიცება მხოლოდ ბუქმეიკერებს შეუძლიათო.

„ასეთ მოკლე შეჯიბრში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დასაწყისს. ამიტომაც პირველი მატჩის შინ გამართვა ჩინებულია. ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ ფინალი საფრანგეთისა და ინგლისის შეხვედრა იქნება, მაგრამ სხვათა დავიწყებაც არ ეგების. ექვსი ერის პირველობაზე ნებისმიერს შეუძლია ნებისმიერის დამარცხება და ეს არაერთხელ დამტკიცდა" — საკმაოდ თავმდაბალი გახლდათ პელუც.

ფრანგის აზრს შოტლანდიის კაპიტანი ენდი ნიკოლიც იზიარებს. „ასეთი უპრესტიჟულესი შეჯიბრისთვის ყველა ნაკრები 100 პროცენტითაა მზად და ყველას მიზანი რაც შეიძლება მეტი მატჩის მოგებაა. წასაგებად განწირული მინდორზე არავინ გავა" — თქვა სკოტმა მორაგბემ.

უელსელმა სკოტ ქვინელმა ძირითადად ინგლისელებთან დაპირისპირებაზე ილაპარაკა. „პირველ მატჩს ინგლისთან გავმართავთ კარდიფში. ასეთი რამ უკვე რამდენიმე წელია, არ მომხდარა. „მილენიუმის" სტადიონის რეკონსტრუქციის დროს „უემბლიზე" ვიყავით თავშეფარებულნი, შარშან კი სტუმრად მოგვიწია თამაშმა. ასე რომ, გვიფრთხილდნენ ინგლისელები" — დაემუქრა ექვს ერში თავის მთავარ „მტერს" „წითელი ეშმაკების" ბელადი.

„რაიმე განსაკუთრებული პროგრამა არ გვაქვს. უბრალოდ, იტალიასთან მთელი ძალების მობილიზებით თამაშია საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქომაგები უკვე საფრანგეთთან მატჩზე ფიქრობენ" — თქვა ირლანდიის მთავარმა „სამყურამ" კეიტ ვუდმა.

დაბოლოს, უმრწემესი ძმის, იტალიის კაპიტანმა ალესანდრო ტრონკონმა, წლეულს უფრო უკეთ უნდა გამოვიდეთ, რადგან სამ მეტოქეს აპენინის ნახევარკუნძულზე დავხვდებითო.

ერთი სიტყვით, ექვსი ერის პირველობა უკვე დაიწყო!

**გაგი გურული**



# მარგალიო მაგარიო!

**ორიოდე** დღის წინ იტალიელმა მაურიციო მარგალიომ განაცხადა, ნიცაში, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, იქ მე და ჩემს მეწყვილეს, ბარბარა ფუსარ პოლის, ფრანგების — მარინა ანისინასა და გვენდალ პეიზერას დამარცხების შანსი არ გვქონდა, რადგან ტრიბუნების ფაქტორი გადამწყვეტი იყოო. ახლა, ბრატისლავაში, ევროპის პირველობაზე, ტრიბუნა არც ფრანგულია და არც იტალიური, ის სლოვაკური გახლავთ და... თანაბარძალოვან მეტოქეებს შორის ორიგინალურ ცეკვაში იტალიელებმა გაიმარჯვეს. წინ ყინულზე მოცეკვავეთა დაპირისპირების ბოლო ეტაპია — თავისუფალი პროგრამა.

„ჩვენ შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოვავლინეთ, ახლა სხვების ჯერია. ამიერიდან ჩვენი დამარცხება ძნელზე ძნელი საქმეა" — ეს სიტყვებიც მარგალიომ თქვა, ხოლო რატომ ლაპარაკობს სულ მარგალიო, მისი მეწყვილე ქალბატონი კი დუმს, ნუ გვკითხავთ, არ ვიცით. ალბათ, არ ეხერხება.

ხოლო ცეკვა სხვა საქმეა. ბარბარა ფუსარ პოლის (და, ბუნებრივია, მაურიციო მარგალიოს) ეს საქმე ჩინებულად გამოუდით. ტექნიკა უმაღლესი დონის აქვთ და თეატრალურობაშიც არ ჰყავთ ბადალი. ხუთშაბათს, სწორედ ეს კომპონენტი გახლდათ გადამწყვეტი: ცხრა მსაჯიდან ხუთმა წყვილს 5,9 ქულა მიანიჭა, ხოლო ოთხმა უმაღლესი შეფასება — 6,0 გაიღო.

„საერთაშორისო დონეზე 6,0 პირველად დავიმსახურეთ, თორემ იტალიის ჩემპიონატში, ამ ერთი კვირის წინ, ასეთი ქულა ოცდაოთხჯერ მოგვანიჭეს. ევროპის ჩემპიონატზე მიღებული 6,0 ძალიან ამაღელვებელი გახლდათ" — რა გამოცნობა უნდა, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები.



მარინა ანისინა და გვენდალ პეიზერა

ფრანგულ წყვილს კი ჯერ ერთი, ფოქსტროტში მოუძებნეს წუნი და, მეორეც, იტალიელთა დარი ენერგია აკლდათ. მათი ქულები 5,7 და 5,8 იყო, სამმა მსაჯმა სულაც მესამე ადგილისთვის გასწირა.

რუსებმა კი, მოგეხსენებათ, შარშან პირველად 1968 წლის შემდეგ, საერთოდ ვერ მოიპოვეს მედალი, წლეულს, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პოდიუმი მათ ვერ მოისაკლისებს. მესამე ადგილს, მთელი მსოფლიო ნიძლავს ჩამოვა, ირინა ლობაჩოვა და ილია ავერბუხი დაიკავებენ. ისინი მსოფლიოსა და ევროპის ბრინჯაოსმედალოსნებს, ლიტველებს, მარგარიტა დრობიაზკოსა და პოვილას ვანაგასს უსწრებენ.



# არ არის პრონგერი, არ არის კაცი

25 იანვარი

**ატლანტა — ტორონტო 1:2**

1:0 0:0 0:1 0:1

1:0 ფერარო 12' 56 (18); 1:1 რობერტსი 25' 49 (19), 1:2 მაკეიბი 60' 39 (4)

**ტამპა — ოტავა 2:5**

0:0 1:1 1:4

1:0 რიჩარდსი 23' 32 (14); 1:1 ჩერნიკი 25' 37 (1); 1:2 ჩერნიკი 47' 54 (2); 2:2 ხარიტონოვი 49' 54 (6); 2:3 ფიშერი 56' 48 (3); 2:4 მაკიკერნი 58' 13 (17); 2:5 ზამუნენი 59' 05 (15)

**სენტ ლუისი — ნიუ ჯერსი 4:3**

2:1 0:0 1:2 1:0

1:0 მაიერსი 3' 45 (4); 2:0 ხავანოვი 11' 17 (4); 2:1 ელიასი 19' 59 (18); 3:1 ტარჯონი 40' 55 (21); 3:2 გომესი 43' 28 (8); 3:3 მოგილნი 46' 31 (27); 4:3 ტარჯონი 63' 17 (12)

**ჩიკაგო — ფილადელფია 1:5**

0:2 1:2 0:1

0:1 პრიმო 0' 40 (20); 0:2 მაკგილისი 19' 09 (9); 0:3 განიე 20' 46 (20); 0:4 ჰალი 27' 07 (5); 1:4 ვანდენბუშე 36' 42 (2); 1:5 განიე 47' 23 (21)

**ლოს ანჯელესი — კალგარი 0:3**

0:0 0:1 0:2

0:1 მორისი 37' 06 (4); 0:2 ლოუერი 56' 13 (11); 0:3 სტილმანი 58' 07 (18)

ნიუ ჯერსთან შეხვედრის მესამე პერიოდის ათი წუთი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყველას ნათლად დაენახა, თუ რამდენს ნიშნავს სენტ ლუისისთვის კრის პრონგერი. „ბლუზმენებს" ისე არასდროს გასჭირვებიათ, როგორც ზემოხსენებულ მონაკვეთში. თუმცა ამჯერად მეტოქეც ღირსეული ჰყავდათ. თასის მფლობელი და ამ სეზონშიც ფავორიტად შერაცხული ნიუ ჯერსი წლეულს სენტ ლუისს მხოლოდ ერთხელ ხვდებოდა, ამიტომ ეს მატჩი მეტოქეთათვის მეტად პრინციპული იყო — წლევანდელ სავარაუდო ფინალისტებად ხომ სწორედ ისინი მიიჩნევიან. თუმცა დალასთან დამაჯერებელი მოგების შემდეგ სტუმრები, ცოტა არ იყოს, დაღლილნი ჩანდნენ, მასპინძლები კი, პირიქით, მონდომებით შეუდგნენ საქმეს. შეტევის ხაზში არსებული საკადრო პრობლემების გამო (პრონგერის გარდა სენტ ლუისს სამი წამყვანი ფორვარდიც აკლია) დიდი ჯაფა დაადგა მათ მეოთხე სამეულს. რიდ ლოუ-რიდ სიმპსონი-ჯამალ მაიერსის მეომრულმა სამეულმა, რომლებმაც წლეულს არა ქულების დაგროვებით, არამედ ჩხუბებით გამოიჩინეს თავი, საუცხოო კომბინაცია გაითამაშა. შემდეგ იმავე მაიერსმა ალექსანდრ ხავანოვს ზუსტი პასი მიაწოდა და რუსმა მცველმაც, რომელიც პრონგერს ცვლის, უძლიერესი დარტყმით გააორმაგა ანგარიში. მართალია, პერიოდის დასრულებამდე 0,2(!) წამით ადრე პატრიკ ელიაშმა ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ამან „ეშმაკები" უცებ ვერ გამოაფხიზლა. ძირითადი მოვლენები მესამე მესამედში განვითარდა. სკოტ გომესის ოთხწუთიანი დისკვალიფიკაციით მასპინძლებმა უმალ ისარგებლეს, რამაც სტუმრები საბოლოოდ მოიყვანა გონს. ჯერ იყო და, თავად გომესმა გამოისყიდა დანაშაული, პეტრ სიკორას დარტყმის შემდეგ მას მკერდში მოხვდა შაიბა და კარში შევარდა. მერე კი ნიუ ჯერსიმ რიცხვმრავლობაც მარჯვედ გამოიყენა. ისევ მოგილნი გამოირჩა (ბოლო 20 მატჩში 20 გოლი). და სწორედ შემდეგ დაიწყო „ბლუზმენთათვის" კოშმარული ის ათწუთიანი მონაკვეთი, რომელიც თავში ვახსენეთ. როგორც კი მაღაზე მოსულმა „ეშმაკებმა" ტემპს უმატეს, სენტლუისელთა დაცვა ნამდვილმა პანიკამ მოიცვა. შაიბა გამუდმებით მასპინძელთა ზონაში ტრიალებდა, მეკარე რომან ტურეკიც სულ დასაქმებული იყო და მცველებიც სულს ძლივს ითქვამდნენ. ამ მომენტში სენტ ლუისში კაცი არ გამოჩნდა, ვინც ერთი-ორი ძალისმიერი ილეთითა თუ თავგანწირვით როგორმე მატჩს შემოაბრუნებდა. იღბალი არ ჰქონდათ ნიუჯერსელებს, რომ ვერც პერიოდის დასრულებამდე და ვერც ოვერტაიმში ანგარიში ვერ შეცვალეს. ბედის დაცინვაა ისიც, რომ დამატებით დროში მასპინძელთა მიერ განხორციელებული პირველი სახიფათო შეტევა გოლად იქცა. მაინც ქების ღირსია ნიუ ჯერსი — სენტ ლუისთან ორშაიბიანი სხვაობის გაბათილება იოლი არ არის.

ამ თამაშმა ყველა დანარჩენი დაჩრდილა, მით უმეტეს, რომ სენსაციური არაფერი მომხდარა. ატლანტა ლამის მთელი მატჩის განმავლობაში უტევდა ტორონტოს, მაგრამ მისთვის ავბედითად დაწყებულ 2001 წელს გამარჯვება მაინც ვერ მოიმკო (3 ფრე 13 თამაშში). ახლა ატლანტას თავისი საკლუბო ანტირეკორდიდან 3 მატჩიღა აშორებს.

ტამპამ კი თავისი ახალი მწვრთნელი ჯონ ტორტორელა მხოლოდ მის სადებიუტო შეხვედრაში გაახარა. მას მერე „ელვებმა" ზედიზედ ათი თამაში წააგეს, თუმცა ამჯერად ღირსეულად იბრძოლეს და მხოლოდ ბოლო ოთხ წუთში დანებდნენ. ოტაველთა ლიდერმა ალექსეი იაშინმა, მართალია, გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ ერთი პასის ხარჯზე ქულიანი სერია 9 მატჩამდე (11 გოლი და 5 პასი) გაზარდა.

ჩიკაგოში ფავორიტად ფილადელფია იყო მიჩნეული და ასეც მოხდა. მოგებაში მთავარი წვლილი კვლავ კეიტ პრიმომ (1+2) და სიმონ განიე — დეიმონ ლენგკოუს წყვილმა შეიტანეს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, გუნდს ტრავმირებული ჯონ ლეკლერისა და ხელმძღვანელობასთან მოდავე ერიკ ლინდროსის არყოფნა არ დაატყონ.

მხოლოდ ერთი მატჩის შედეგი იყო ერთგვარად მოულოდნელი. გასვლითი გმირული მოგებების შემდეგ შინ დაბრუნებულმა და შედეგიანად მოთამაშე ლოს ანჯელესმა კალგარი ვერ გატეხა და ფრედ ბრუტუეიტს სეზონში მე-4 შათაუტის გაკეთების შესაძლებლობა მისცა. არადა, წინა ხუთივე მოგებულ თამაშში „მეფეებმა" 23-ჯერ გაუტანეს შაიბა შავკანიან მეკარეს.

**სამველ ლარიბიანი**



ტამპელი პაველ კუბინა ოტაველ მაიკ ფიშერს დააჯდა

## სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო - აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 48 | 28 | 6 | 1 | 13 | 160:118 63 |
| ტორონტო | 50 | 23 | 7 | 4 | 16 | 147:122 57 |
| ბუფალო | 47 | 24 | 5 | 1 | 17 | 122:107 54 |
| ბოსტონი | 49 | 19 | 6 | 5 | 19 | 122:145 49 |
| მონრეალი | 50 | 15 | 5 | 3 | 27 | 122:144 38 |
| **ატლანტა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 48 | 26 | 9 | 1 | 12 | 169:116 62 |
| ფილადელფია | 49 | 24 | 9 | 1 | 15 | 143:133 58 |
| პიტსბურგი | 49 | 23 | 6 | 2 | 18 | 154:150 54 |
| რეინჯერსი | 49 | 20 | 3 | 1 | 25 | 156:173 44 |
| აილენდერსი | 48 | 12 | 5 | 2 | 29 | 111:156 31 |
| **სამხრეთ - აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ვაშინგტონი | 49 | 22 | 8 | 1 | 18 | 131:124 53 |
| კაროლინა | 47 | 21 | 6 | 2 | 18 | 121:129 50 |
| ატლანტა | 49 | 15 | 9 | 2 | 23 | 133:164 41 |
| ფლორიდა | 50 | 10 | 8 | 6 | 26 | 104:150 34 |
| ტამპა | 49 | 13 | 5 | 2 | 29 | 119:171 33 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| სენტ ლუისი | 48 | 33 | 4 | 1 | 10 | 166:101 71 |
| დეტროიტი | 51 | 28 | 4 | 4 | 15 | 148:132 64 |
| ნეშვილი | 52 | 20 | 7 | 2 | 23 | 120:134 49 |
| ჩიკაგო | 48 | 20 | 4 | 2 | 22 | 129:134 46 |
| კოლუმბუსი | 49 | 16 | 4 | 3 | 26 | 110:148 39 |
| **ჩრდილო - დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 49 | 32 | 8 | 1 | 8 | 157:108 73 |
| ვანკუვერი | 50 | 25 | 4 | 4 | 17 | 160:145 58 |
| ედმონტონი | 52 | 23 | 7 | 1 | 21 | 137:143 54 |
| კალგარი | 49 | 17 | 9 | 4 | 19 | 118:138 47 |
| მინესოტა | 49 | 17 | 8 | 2 | 22 | 106:119 44 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 48 | 27 | 8 | 0 | 13 | 139:109 62 |
| დალასი | 49 | 28 | 4 | 1 | 16 | 137:113 61 |
| ფინიქსი | 49 | 23 | 11 | 1 | 14 | 128:115 58 |
| ლოს ანჯელესი | 49 | 22 | 7 | 1 | 19 | 162:150 52 |
| ანაჰაიმი | 51 | 15 | 6 | 4 | 26 | 120:160 40 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიშელინი ბრუნდება




განთქმული საბურავების მწარმოებელ ფრანგულ ფირმა „მიშელინს“ ამ თეთრი ლოვოთი, მხიარული ბიბენდუმი რომ ჰქვია, მთელი მსოფლიო იცნობს. „მიშელინის“ პატრონები, მამა-შვილი ფრანსუა და ედუარდ მიშელინები ერთგვარი სიამაყითაც კი დგანან პარიზის ავტოგამოფენის სალონში — თექვსმეტწლიანი შესვენების შემდეგ „მიშელინი“ ფორმულას უბრუნდება.



# ნასიმს არ ეშინია

პრინც ნასიმ ჰამედი სიხარულით შეერკინება მარკო ანტონიო ბარერას და თავის უძლეველობას დაამტკიცებს. შეფილდში შობილი ტომით იემენელი მოკრივე პრესკონფერენციაზე ისე გახალისებულა, ელვის პრესლივით გადაცმულ მაგან არტისტთან ერთად აცეკვებულა.

# აი, ამან!



ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ორი ფრანგის, არნო კლემანისა და სებასტიან გროჟანის ჭიდილში სწორედ ამან, ბარძაყწამოტკივებულმა კლემანმა იმარჯვა და ახლა ანდრე აგასის უნდა დაუდგეს ბადის აქეთ.

# წყვილად



ასოშეიტედ პრესის ფოტორეპორტიორმა იან ბაუერმა ეს საუცხოო სპორტული სურათი ბერლინში, ცურვის მსოფლიოს თასისთვის შეჯიბრისას გადაიღო. გერმანელმა სანდრა ფოლკერმა რეპორტიორი არ გააწბილა და ფოტოს წმინდა სპორტული მნიშვნელობაც შესძინა, სანდრამ სწორედ ეს გაცურვა მოიგო.

# ქალია-ადამიანი!

ბრიტანელი ელენ მაკარტური და მისი „კინგ ფიშერი“ შარშან, 9 ნოემბერს შეუდგნენ უძნელეს, უშესვენებო „ვენდი გლოუბის“ რეგატას, რომელმაც მარტოხელა აფროსანთა მსოფლიოს გარშემო ცურვაში უპირველესი უნდა გამოავლინოს. სადღეისოდ მაკარტური მეორე ადგილზეა და 72 საზღვაო მილით ჩამორჩება ფრანგ მიშელ დეჟუაიეს. მამაცი ბრიტი ქალის კაცებთან ჭიდილს ზღვათა მბრძანებელიც ეხმარება — ელენს ქარები სწყალობენ და უკეთესი ტაქტიკური პოზიციაც უჭირავს.




# ხვალ

ესეც რუკა, ესეც კიდევ მარშრუტები. ხვალ ავსტრიაში, ტიროლის მხარეში დაიწყება სამთო მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭიდილის ადგილი კარპალის მთაა, სანქტ ანტონის ახლო.





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge